სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე ანგარიში

იანვარი-დეკემბერი 2014

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო
www.Justice.gov.ge
cjrs@justice.gov.ge

გორგასალი 24ა თბილისი, 0114,
(+995 32) 240 50 97

I. შესავალი 3

II. სამდივნოს საქმიანობა 3

III. სისხლის სამართლის კანონმდებლობა 4

IV. პოლიციის რეფორმა..... 6

V. პროკურატურის რეფორმა 6

VI. იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმა 24

VII. სასამართლო რეფორმა 31

VIII. სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა 36

IX. პრობაციის სისტემის რეფორმა..... 41

X. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა 50

XI. იურიდიული განათლების რეფორმა..... 67

XII. სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება..... 68

XIII. სისხლის სამართლის სისტემაში რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია 86

I. შესავალი

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე ანგარიში მომზადდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის/სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) სამდივნოს (შემდგომში „სამდივნო“) მიერ. ანგარიში ეყრდნობა საბჭოს წევრ უწყებათა მიერ მოწოდებული ინფორმაციას სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მდგომარეობის შესახებ.

II. სამდივნოს საქმიანობა

2014 წლის პირველ ნახევარში სამდივნომ დახვეწა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ფორმა და შეიმუშავა ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფორმატი.

სამდივნოს კოორდინაციით და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ხელშეწყობით განახლდა **სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.** განახლებული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხილვები მიმდინარეობდა საბჭოს ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფართო ჩართულობით. განახლებული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, აგრეთვე, სტანდარტები ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურების მიმწოდებელთათვის საბჭომ 2014 წლის 8 ივლისს, რიგით მე-12 სხდომაზე დაამტკიცა.

საანგარიშო პერიოდში სამდივნოს ორგანიზებითა და ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით, სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის მიზნით, გაიმართა სისხლის **სამართლის ექსპერტთა ჯგუფისა და ქვეჯგუფების შეხვედრები,** სულ 32 შეხვედრა. ასევე, საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭოს ფარგლებში სამდივნოს კოორდინაციით ჩატარდა საბჭოს 3 სხდომა, საბჭოს ფარგლებში არსებული სამუშაო ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შეხვედრები (სულ 63 შეხვედრა) შემდეგი მიმართულებით: სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, პენიტენციური სისტემის რეფორმა, პრობაციის სისტემის რეფორმა, იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმა, პროკურატურის რეფორმა, სასამართლო რეფორმა, პოლიციის რეფორმა, სისხლის სამართლის სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, დანაშაულის პრევენცია და განრიდება/მედიაცია.

2014 წლის 8 ივლისს, რიგით მე-12 სხდომაზე საბჭომ განსაზღვრა საბჭოს ფარგლებში

არსებული სამუშაო ჯგუფების შეხვედრების რეგულარობა, ხოლო სამდივნომ შეიმუშავა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების განრიგი.

2014 წლის 27 დეკემბერს, საბჭოს რიგით მე-13 გაფართოებულ სხდომაზე გაიხსნა საჯარო დისკუსია პროკურატურის სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით. პროკურატურის რეფორმის განხილვის პროცესი სამდივნოს კოორდინაციით წარიმართება არამარტო საბჭოს წევრების, არამედ ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართულობით.

III. სისხლის სამართლის კანონმდებლობა

მიზანი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ დახმარებითა და სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭოს სამდივნოს კოორდინაციით 2014 წლის 8-9 თებერვალს კაჭრეთში გაიმართა სისხლის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის გასვლითი შეხვედრა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის გადასინჯვასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე შემუშავდა სამუშაო პროცესის გეგმა და სისხლის სამართლის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მოხდა 4 სამუშაო ჯგუფის ფორმირება და სამუშაოს გადანაწილება. სამუშაო ჯგუფებმა მუშაობა 17 თებერვალს დაიწყეს. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის გადასინჯვის პროცესი მოიცავდა სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, ასევე გაკეთდა შესაბამისი კვლევები და ჩამოყალიბდა საკანონმდებლო ნორმები. 13 ივნისს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი განსახილველად წარედგინა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სამუშაო ჯგუფს და ჯგუფის წევრების მიერ მოწოდებული კომენტარების დამუშავების საფუძველზე მომზადდა პროექტის განახლებული ვერსია. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (ზოგადი და კერძო ნაწილები) 30 ივნისს გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე, ხოლო 9 ივლისს გაიგზავნა ევროპის საბჭოში ექსპერტიზისათვის. 2015 წლის მარტში ევროსაბჭოს მიერ გამოიგზავნა დასკვნა, რომლის შესაბამისად მოხდება კოდექსის ცვლილებების განახლება და სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში განხილვა. პროექტის პარლამენტში გაგზავნა 2015 წლის მეორე ნახევარში იგეგმება.

მიზანი 2. ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

საპროცესო შეთანხმებისა და დაზარალებულის ინსტიტუტის რეფორმის მიზნით იუსტიციის სამინისტრომ ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (შემდგომში:

„ევროკავშირის პროექტი“) და ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით 2013 წელს შეიმუშავა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებათა კანონპროექტები, რომლებიც ძალაში 2014 წლის 6 აგვისტოს შევიდა.

საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული ცვლილებების ძირითად არსს წარმოადგენს სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაუქმება, საპროცესო შეთანხმების ოქმის წარმოების საკანონმდებლო რეგულირება, საპროცესო შეთანხმების პროცესში მოსამართლის უფლებამოსილებების გაზრდა, საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების საფუძვლების გაფართოება და სხვ.

ცვლილებები დაზარალებულის უფლებების შესახებ ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას, მიიღოს ცნობა დანაშულის შეტყობინების შესახებ; მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს; გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები მოსამართლის წინაშე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიუხედავად; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში სასამართლოში გაასაჩივროს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება; მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ და სხვ.

მიზანი 3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

იუსტიციის სამინისტრომ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და ევროკავშირის მხარდაჭერით მუშაობა დაიწყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავებაზე. იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელმაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველადი პროექტი მოამზადა. პროექტი ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტში მყოფი, მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვნების უფლებათა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის დამატებით გარანტიებს, მოსამართლის უფლებამოსილების გაფართოებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, სასჯელთა მრავალფეროვან სპექტრს და სხვ. კანონპროექტი ერთ საკანონმდებლო აქტში გააერთიანებს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პროცესის, სასჯელაღსრულების და სხვა საკითხების მარეგულირებელ ნორმებს, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა კანონმდებლობის სიმარტივეს და სიცხადეს. კოდექსში გათვალისწინებული იქნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტები და თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით 2014 წლის სექტემბრის დასაწყისში გაიგზავნა საერთაშორისო ექსპერტიზაზე. სექტემბრის ბოლოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებმა ექსპერტის მიერ მოწოდებული კომენტარები კოდექსის პროექტში

ასახეს. პროექტი დამატებით კომენტარებისა და შენიშვნების წარმოდგენის მიზნით პასუხისმგებელ უწყებებთან (მთავარი პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, მთავრობის კანცელარია) გადაიგზავნა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტის დეტალური განხილვა იგეგმება საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების ფარგლებში. კოდექსის პროექტი 2015 წლის გაზაფხულზე წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად, რის შემდეგაც კოდექსის პროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

IV. პოლიციის რეფორმა

მიზანი 2.1 შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) დანაშაულთან ბრძოლის, გამოძიების და მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და სრულყოფილი მონაცემთა ბაზებით

ღონისძიება 2.1.1. შსს საგანგებო სიტუაციების ცენტრის - 112-ს პროგრამული უზრუნველყოფა

სსიპ 112 პერმანენტულ რეჟიმში მუშაობს პროგრამის ოპტიმიზაციასა და სისტემურ გამართულობაზე. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს მუშაობა გადაუდებელი დახმარების ინციდენტის ტიპებისა და საქმის პრიორიტეტების განმსაზღვრელ პროგრამაზე, რომელიც მსოფლიოში აღიარებული და აპრობირებული პროგრამული პაკეტია. სისტემის დანერგვის შედეგად, უფრო მყისიერად მოხდება ინციდენტებზე რეაგირება, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს გადაუდებელი დახმარების მიღების დროს. მიმდინარეობს ზემოაღნიშნული პროგრამის მოკვლევა და ანალიზი, სისტემის უპირატესობის, ნაკლოვანებებისა და რისკ-ფაქტორების შეფასება, რათა მოხდეს სისტემის დანერგვაზე სწორი გადაწყვეტილების მიღება.

112-ის მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გადაუდებელი დახმარების მიღებისთვის 112-თან ოპერატიულად დაკავშირების მიზნით, ეტაპობრივად მიმდინარეობს დაკავშირების ისეთი ალტერნატიული არხების დანერგვა, როგორიცაა: მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და ვიდეო ზარის სერვისი შშმ პირთათვის.

2014 წლის აგვისტოში UNDP-თან (გაეროს განვითარების პროგრამა) ერთად შემუშავდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მეტყველებისა და სმენის პრობლემების მქონე პირების მიერ 112-თან მოკლე ტექსტური შეტყობინებების ან ვიდეო ზარის საშუალებით დაკავშირებას. პროექტის წარმატებული იმპლემენტაციისათვის განხორციელდა გარკვეული აქტივობები. მათ შორის: სასწავლო ვიზიტი ირლანდიაში, კრეატიული აზროვნების სემინარი, ტრენინგები ვიდეო ზარისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების სერვისების დანერგვის მიზნით.

112-მა სატელიტური კომუნიკაციით, ე.წ. GPS ტრეკერის საშუალებით გადაუდებელი დახმარების სერვისთან დაკავშირების ალტერნატიული არხი აამოქმედა, რომლითაც შესაძლებელია 112-ზე შეტყობინების გაგზავნა მობილური ოპერატორების დაფარვის ზონის გარეთ არსებული გეოგრაფიული ლოკაციებიდან. ამასთან, SOS განგაშის სიგნალის გაგზავნისას სსიპ 112-ს ასევე გადაეცემა ინიციატორის ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემები, რაც ზრდის დაზარალებული პირისთვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ოპერატიულობის ხარისხს.

ღონისძიება 2.1.2. უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სერვერების დაცვის მიზნით 112-ის ალტერნატიული ცენტრის ინფრასტრუქტურის განვითარება

შსს სსიპ 112-ის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია მრავალი ახალი სერვისის დანერგვა და არსებული ცენტრის გაფართოება. ალტერნატიული ცენტრის სახით დაზღვევის მექანიზმის დაარსების შესახებ საკითხის სიღრმისეული განხილვის შედეგად ქ. რუსთავში გადაწყდა ალტერნატიული ცენტრის აშენება. ამჟამად, მიმდინარეობს მიწის გადმოცემის პროცესი. პროექტი მუშავდება და ხდება ხარჯების დეტალური კალკულაცია.

ღონისძიება 2.1.3. ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში დასრულდა თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორის რემონტი, სადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები. 2014 წლის ნოემბერში სარემონტო სამუშაოები დაიწყო მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში (ქ.მცხეთა). სარემონტო სამუშაოების მიზანია იზოლატორის სრულად განახლებას და ახალი ინვენტარით აღჭურვას. სამუშაოების დასრულება 2015 წლის იანვარში იგეგმება.

2014 წლიდან შსს ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს პროექტს „შსს შესაძლებლობათა გაუმჯობესება ადამიანის უფლებების სათანადო დაცვის უზრუნველყოფისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორებში ტრეინინგებისა და ახალი მუშაობის სტანდარტის დანერგვის გზით“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- ქვეყნის მასშტაბით ყველა იზოლატორისთვის მოხდა ახალი ანტივანდალური ტიპის სანათების შეძენა, რომლებიც უზრუნველყოფენ დღისა და ღამის განათებას და მათი მონტაჟი ეტაპობრივად მიმდინარეობს (დარჩენილია მხოლოდ 2 იზოლატორი - აჭარისა და გურიის რეგიონალური (სამსახური) (ქ.ბათუმი) და ქ.თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორები).
- იზოლატორებისთვის ასევე შეძენილ იქნა 35 ცალი კომპიუტერი, 20 ცალი მულტიფუნქციური პრინტერი და 15 ცალი ფოტოაპარატი. აღნიშნული ტექნიკა

უზრუნველყოფს დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობის ეფექტურობის ზრდას.

- მიმდინარეობს წინასწარი დაკავების საკნებში არსებული საწოლების ეტაპობრივი გადაკეთება და ახალი უსაფრთხო მაგიდებისა და სკამების მონტაჟი (სამუშაოები ამჟამად ჩატარებულია 18 იზოლატორში).

2014 წლის 6 ნოემბერს ცვლილებები შევიდა დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელ ინსტრუქციებში (შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის ბრძანება N108). დოკუმენტი შესაბამისობაში მოვიდა უახლეს საკანონმდებლო ცვლილებებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. ცვლილებები მოიცავდა ისეთ ასპექტებს როგორიცაა: დაკავებულთა შხაპის მიღების და გასეირნების უფლებები, დაკავებულთათვის საკანში გათვალისწინებული ფართი და სხვა.

ღონისძიება 2.1.5 შსს-ს ინფრასტრუქტურის განვითარება არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სფეროში

საქართველოს მიგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით შსს განისაზღვრა წამყვან უწყებად არალეგალური მიგრაციასთან წინააღმდეგ ბროლაში. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, აშენდა და აღიჭურვა კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა დროებითი განთავსების ცენტრი. აღნიშნული ცენტრი ექვემდებარება შსს–ს მიგრაციის დეპარტამენტს. ცენტრში მოხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა განთავსება მათ გაძევებამდე არაუმეტეს სამი თვის ვადით.

ცენტრი უზრუნველყოფილია შესაბამისად ადაპტირებული ოთახით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ასევე იმ პირებისთვის, რომლებიც მიდრეკილნი არიან თვითდაზიანებისკენ და არსებობს მათი მხრიდან გარშემომყოფებისათვის ფიზიკური ზიანის მიყენების საფრთხე. ცენტრში გათვალისწინებულია სასადილო, სამლოცველო და კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები, ბიბლიოთეკა და სპორტული მოედანი. ცენტრში განთავსებული პირებისათვის ხელმისაწვდომია სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება. ასევე, ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით, შექმნილია სათანადო პირობები, რათა არასრულწლოვანმა უწყვეტად მიიღოს განათლება, ასევე მათთვის უზრუნველყოფილია სათამაშო მოედანი.

ღონისძიება2.1.6. საზოგადოებრივი და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება

შსს–ს ერთ–ერთი ამოცანაა ავტოკატასტროფების რიცხვისა და ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული შედეგების სიმძიმის შემცირება. ამ თვალსაზრისით, სამინისტროს პრიორიტეტები მოიცავს საპატრულო პოლიციის შესაძლებლობების გაუმჯობესებას ავტოპარკის გაზრდის გზით, რაც ხელს შეუწყობს ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციას და მომხდარ ავტოკატასტროფებზე დროულ რეაგირებას. საანგარიშო პერიოდში,

სამინისტროს მიერ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ავტოპარკისთვის შეძენილ იქნა 405 მსუბუქი ავტომანქანა და 10 მიკროავტობუსი.

მიზანი 2.2 ტაქტიკურ-ოპერატიული დონე
გაძლიერებულია საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით

ღონისძიება 2.2.1. შსს შესაძლებლობების გაზრდა დაბრუნებისა და რეადმისიის სფეროში

2011 წელს „საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების“ ძალაში შესვლისა და 2011 წლის 17 ივნისის პრეზიდენტის ბრძანებულების ხელმოწერის დღიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურადაა ჩართული შეთანხმების განხორციელების პროცესებში. შსს წარმომადგენლები შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებენ როგორც შეთანხმების, ასევე მისი საიმპლემენტაციო ოქმების შესახებ მოლაპარაკებების წარმოებაში.

2014 წლის 27 მარტს ხელი მოეწერა ოქმს „საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე“. 2014 წლის 6 ოქტომბერს ხელი მოეწერა რეადმისიის ხელშეკრულებას და მის საიმპლემენტაციო ოქმს მოლდოვის რესპუბლიკასთან; 2014 წლის 11 ნოემბერს გაფორმდა რეადმისიის ხელშეკრულება დანიის სამეფოსთან. ხელმოსაწერად მზადაა შეთანხმებების პროექტები შემდეგ სახელმწიფოებთან: გერმანია, პოლონეთი, სლოვაკეთი და ჩეხეთი. მოლაპარაკებების პროცესშია შემდეგ ქვეყნებთან: ბელარუსი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ესპანეთი, ისრაელი, მონტენეგრო, პორტუგალია, საბერძნეთი, სერბეთი.

საანგარიშო პერიოდში, პრაღის პროცესის მიზნობრივი ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა ვარშავაში, სადაც განიხილეს სასწავლო ვიზიტი რუმინეთში ქ. ბუქარესტში. შეხვედრაზე მიღებულ იქნა პროექტის ფარგლებში შემუშავებული რეადმისიისა და დაბრუნების ორგანიზების დირექტივები.

ღონისძიება 2.2.2 სხვადსხვა ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ

შსს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სხვადსხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შსს მოლაპარაკებებს აწარმოებს სხვადასხვა ქვეყნებთან ზემოთხსენებულ საკითხებზე შეთანხმების გაფორმების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ხელი მოეწერა შეთანხმებებს გაერთიანებულ სამეფოსთან (24.01.2014) და გერმანიასთან (09.07.2014).

ხელმოსაწერად მზადაა შეთანხმებების პროექტები შემდეგ სახელმწიფოებთან: ესპანეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი.

ღონისძიება 2.2.3 სხვადასხვა ქვეყნებთან არსებული ხელშეკრულებებისა და ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე თანამშრომლობა

შსს საერთაშორისო თანამშრომლობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში ორმხრივი ხელშეკრულებებისა და ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე განხორციელდა სამუშაო შეხვედრები პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან და პოლიციის ატაშეებთან, რომლის დროსაც გაიწერა სასწავლო პროგრამები და სამომავლო გეგმები, დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი ვიზიტები/ტრეინინგები:

- **10-13 მარტი –** ისრაელის დელეგაციის ვიზიტი; განხილულ იქნა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები;
- **25-26 აპრილი** – გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის დელეგაციის ვიზიტი. განხილულ იქნა თანამშრომლობის საკითხები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალისტიკისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების სფეროებში.
- **19-21 მაისი** – განხორციელდა ფედერალური კრიმინალური სამსახურის დელეგაციის ვიზიტი. განხილულ იქნა თანამშრომლობის საკითხები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალისტიკისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების სფერო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის საკითხები.
- **10-12 ივნისი** – ქ. ანკარაში გაიმართა საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად დაფუძნებული ერთობლივი კომისიის მე–5 შეხვედრა.
- **26-30 ოქტომბერი:** ისრაელის პოლიციის განაღმვის სამსახურის ექსპერტის ვიზიტი საქართველოში სამომავლო სწავლების დაგეგმვის მიზნით.
- **24-28 ნოემბერი:** ტრენინგი კიბერდანაშაულის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ოთხმა თანამშრომელმა.
- **27-28 ოქტომბერი:** სსიპ სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი სლოვაკეთის რესპუბლიკაში. ვიზიტის ფარგლებში შსს დელეგაცია გაეცნო სლოვაკეთის სახ. მატერიალური რეზერვების სისტემას.
- **26 - 28 აგვისტო:** სამუშაო შეხვედრა თბილისში დიდი ბრიტანეთის დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს მეკავშირე ოფიცერთან, რომლის დროსაც დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის საკითხები.

- **7-9 სექტემბერი:** ნიდერლანდების სამეფოს ეროვნული პოლიციის ატაშეს სამდღიანი ოფიციალური ვიზიტი თბილისში, შსს საჭიროებებისა და სამომავლო თანამშრომლობის განხილვის მიზნით.

ღონისძიება 2.2.4 სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ინფორმაციის გაცვლისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების კუთხით

2013 წლის 4 ოქტომბერს მიღებული „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მიზნით, შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა 2014 წლის იანვრის თვის დასაწყისში შეიმუშავა „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის თაობაზე მოთხოვნის შედგენისა და გაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომელიც დამტკიცდა 2014 წლის 15 ოქტომბერს.

მიზანი 2.3 ადამიანური რესურსების განვითარება ტრეინინგებისა და გადამზადების მეშვეობით

ღონისძიება 2.3.1 ერთიანი პოლიციის საგამოძიებო შესაძლებლობების გაზრდა საბაზისო და სპეციალიზებული ტრეინინგის/გადამზადების კურსების მეშვეობით, მათ შორის ტრეინინგები ტაქტიკურ და საგამოძიებო უნარ-ჩვევებში

პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენციისათვის უმნიშვნელოვანესია შსს თანამშრომელთათვის სათანადო განათლების მიცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრო მუდმივად უზრუნველყოფს შსს აკადემიის საფუძველზე თანამშრომელთა მომზადებას/გადამზადებას როგორც საბაზისო და გადამზადების კურსების მეშვეობით, ასევე სპეციალიზებული ტრეინინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზებას დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

საანგარიშო პერიოდში დასაქმების 1111 კანდიდატმა გაიარა შსს აკადემიაში საბაზისო კურსები საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, სასაზღვრო პოლიციაში და ტერიტორიულ ორგანოებში. აღნიშნულ პერიოდში შსს აკადემიაში გადამზადების კურსი გაიარა შსს 441 თანამშრომელმა.

საანგარიშო პერიოდში, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტის TAIEX–ით განხორციელდა ლიტველი ექსპერტების ვიზიტი საქართველოში, რომლებმაც შსს 20 თანამშრომელს ჩაუტარეს ტრეინინგი თემაზე: მასების მართვის სამართლებრივი საფუძვლები და ტაქტიკური უნარ–ჩვევები.

აგრეთვე, საანგარიშო პერიოდში აშშ თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოსა და აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა ტრეინინგი თემაზე ორმაგი დანიშნულების საერთაშორისო გამოძიებები. მომზადება გაიარა შსს 10 თანამშრომელმა.

საანგარიშო პერიოდში, აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით მომზადება გაიარა სპეციალური დანიშნულებისა და ტაქტიკური მომზადების ჯგუფმა (20 კანდიდატი).

ღონისძიება 2.3.2 ოჯახში ძალადობის ეფექტური გამოძიების მიზნით შსს თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება

შინაგან საქმეთა სამინისტრო მუდმივად ახორციელებს თანამშრომელთა მომზადებას/გადამზადებას ოჯახში ძალადობის საკითხებზე როგორც საბაზისო და გადამზადების კურსების, ისე სპეციალიზებული ტრეინინგების მეშვეობით. საანგარიშო პერიოდში, შსს აკადემიაში ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომზადების კურსი გაიარა 482 მსმენელმა.

საანგარიშო პერიოდში, პროექტის – „ძალადობის პრევენციისა და დაძლევისათვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაფინანსებით და ა/ო „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი“-ს მხარდაჭერით ახორციელებს, ჩატარდა 9 ტრეინინგი თემაზე „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი სამართლებრივი მექანიზმები“. მომზადება გაიარა შსს 180 თანამშრომელმა.

2012 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო ესტონეთისა და აშშ–ს ერთობლივი დაფინანასებით ახორციელებს პროექტს თემაზე: "პოლიციელთა შესაძლებლობების ზრდა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში". აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხორციელდება ოჯახში ძალადობის საკითხებზე შსს თანამშრომლების გადამზადება მთელი საქართველოს ფარგლებში. სწავლების დროს ექსპერტები მიმოიხილავენ როგორც ქართულ, ასევე ესტონურ კანონმდებლობას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4 ტრეინინგი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და გადამზადება გაიარა 80 თანამშრომელმა.

ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლების და ცოდნის გაღრმავების მიზნით, მიმდინარე პროექტების პარალელურად, შსს-ს თანამშრომლებისთვის ივლისის თვეში დაიწყო ტრეინინგების ციკლი, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა. აღნიშნულ ტრენინგებს, საქართველოს მასშტაბით, ყველა საუბნო განყოფილებიდან 452 უბნის ინსპექტორმა გაიარა. თითოეული განყოფილებიდან წარმოდგენილი იქნა 2 თანამშრომელი: ერთი მამაკაცი და ერთი ქალი.

განსაზღვრულ უბნის ინსპექტორებს ევალებათ არა მარტო კონკრეტულ ფაქტზე რეაგირება, არამედ კონფლიქტური ოჯახების პერიოდული კონტროლი და საერთო ანალიზი.

საანგარიშო პერიოდში ოჯახში ძალადობის საკითხებზე განხორციელებული სხვა სწავლებები:

- ტრეინინგი თბილისში, თემაზე: ქალთა გაძლიერება შრომითი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და გენდერული ძალადობის დასამარცხებლად – 24 თანამშრომელი;
- სასწავლო ვიზიტი ბუდაპეშტში – 14 თანამშრომელი;
- ტრეინინგი თბილისში ოჯახში ძალადობის საკითხებზე – 55 თანამშრომელი;
- ღია ლექცია: ოჯახში ძალადობა – დაკითხვის ტექნიკა – 65 თანამშრომელი.

ღონისძიება 2.3.3. კორუფციული დანაშაულის პრევენციის, აღკვეთისა და გამოძიების მიზნით შსს თანამშრომელთა მომზადება

საანგარიშო პერიოდში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე შსს აკადემიაში მომზადება/გადამზადება გაიარა 860 თანამშრომელმა. ასევე შემუშავდა შსს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც 2014 წელს ჩაირიცხა 30 მსმენელი.

ღონისძიება 2.3.4 ტრეინინგი შსს თანამშრომლებისთვის ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის საკითხებზე

შსს აკადემია მუდმივად ახორციელებს თანამშრომელთა მომზადებას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საბაზისო და გადამზადების კურსები მეშვეობით. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ თემაზე მომზადება/გადამზადება გაიარა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული დანაყოფების 860 თანამშრომელმა.

გარდა საბაზისო და გადამზადების კურსებისა, შსს პერიოდულად უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის სპეციალიზებული ტრეინინგების ორგანიზებას. საანგარიშო პერიოდში ბათუმსა და ყვარელში ჩატარდა 2 ტრეინინგი: სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SOP) სამართალდამცავთათვის. აღნიშნულ ტრეინინგებში მონაწილეობა მიიღო შსს 24 თანამშრომელმა.

2013 წლიდან ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება პროექტი „ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, საქართველოს და თურქეთის სამართალდამცავი სტრუქტურების ოპერატიული თანამშრომლობის გაღრმავება“. საანგარიშო პერიოდში პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბათუმში 1 ტრეინინგი და მონაწილეობა მიიღო შსს 12 თანამშრომელმა.

2014 წლის 28-29 მარტს შსს-ს აკადემიაში ჩატარდა სამართალდამცავთა ტრეინინგი თემაზე „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმი და თანამედროვე ტენდენციები“. მომზადება გაიარა შსს 18 თანამშრომელმა.

არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა სამინისტროს 2014 წლის განვითარების სტრატეგიის ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საანგარიშო პერიოდში შსს თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ სხვადსხვა სამუშაო შეხვედრებსა და სასწავლო ვიზიტებში:

- 26–27 მარტი, კიშინოვში, მოლდოვის რესპუბლიკა. განხილული საკითხები: არალეგალურად მცხოვრებ მიგრანტთა დაკავება, განთავსების ცენტრების მართვა. მონაწილეობდა 2 თანამშრომელი.
- 2–4 ივნისი ქ. ათენი, საბერძნეთი. განხილული საკითხები: მიგრაციის ტენდენციები, ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემა, მიგრანტთა დაბრუნების შესაძლებლობების გაზრდა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება, ყალბი დოკუმენტების აღმოჩენა. მონაწილეობდა შსს 1 წარმომადგენელი.
- 10–11 ივნისი, ვილნიუსი, ლიტვა. მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებზე გამოცდილების გაზიარება. მონაწილეობდა 1 თანამშრომელი.
- 24–25 აპრილი, თბილისი. არალეგალი მიგრანტების დაკავებისა და დაბრუნების საკითხები. მონაწილეობდა შსს 8 თანამშრომელი.
- სექტემბერი – სასწავლო ვიზიტი პოლონეთში(5 თანამშრომელი);
- ნოემბერი – სასწავლო ვიზიტი საფრანგეთში (3 თანამშრომელი);
- 7–9 ოქტომბერი – სტანდარტული სამოქმედო პროცედურები განთავსების ცენტრებისთვის (20 თანამშრომელი);
- 3–5 ნოემბერი – საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანა (25 თანამშრომელი);
- 6–7 ნოემბერი – მიგრანტთა უფლებები (25 თანამშრომელი);
- 10–14 ნოემბერი – ესკორტირების განხორციელების დროს ადამიანის უფლებების დაცვა (30 თანამშრომელი);
- 18–19 დეკემბერი – გაძევების პროცედურები (17 თანამშრომელი).

საანგარიშო პერიოდში მიგრაციის დეპარტამენტის 25-მა თანამშრომელმა დეპარტამენტის ინიციატივით გაიარა შსს აკადემიის მიერ შემუშავებული მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა მომზადების კურსი. აღნიშნული კურსის მიზანს წარმოადგენდა მიგრაციის სფეროში საბაზისო ცოდნის მიღება და იმ უნარ–ჩვევების გამომუშავება, რომელიც საჭიროა მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ პროფესიული საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის.

ღონისძიება 2.3.5 შსს თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება არასრულწლოვანებთან მოპყრობის სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე/საკითხებზე

2013 წელს შსს და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობით შემუშავდა 4 დღიანი ტრეინინგ–მოდული მოქმედი პოლიციელებისათვის პედაგოგიკა–ფსიქოლოგიაში, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული სწავლება გაიარა 356-მა, ხოლო სერთიფიკატი მიიღო 225 თანამშრომელმა.

2014 წლის 14-17 ოქტომბერს შსს-ს აკადემიაში ტრენინგი ჩატარდა **არასრულწლოვანთა დანაშაულის** თემაზე. სწავლებას ორგანიზებას უწევდა საფრანგეთის საელჩო საქართველოში. ტრეინინგზე მოხდა შემდეგი თემების განხილვა: არასრულწლოვანი მსხვერპლის/სამართალდამრღვევის დაკითხვა (არასრულწლოვანის ინტელექტუალური განვითარება, მეტყველების განვითარების მთავარი ეტაპები, არასრულწლოვანთან კომუნიკაციის საშუალებები), არასრულწლოვანთან გასაუბრება (გასაუბრების სხვადასხვა ეტაპები), მეთოდოლოგია და არასრულწლოვნისგან ინფორმაციის მიღების პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპები. კურსს ესწრებოდა 18 თანამშრომელი.

15–17 დეკემბერს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ორგანიზებით შსს აკადემიაში ჩატარდა ტრეინინგი თემაზე **"არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები და ფსიქო–სოციალური ასპექტები".** მომზადება გაიარა შსს 30-მა თანამშრომელმა.

აღნიშნულის გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციის World Vision International–ის ორგანიზებით ჩატარდა ტრეინინგების სერია ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარ–ჩვევების სწავლებაზე. გადამზადება გაიარა შსს 120 თანამშრომელმა.

ღონისძიება 2.3.6. დროებითი დაკავების იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესება დროებითი მოთავსების იზოლატორების (დმი) პერსონალის მომზადება/გადამზადების კურიკულუმის შექმნითა და სპეციალიზებული ტრეინინგების განხორციელების გზით

2014 წლიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს პროექტს „შსს შესაძლებლობათა გაუმჯობესება ადამიანის უფლებების სათანადო დაცვის უზრუნველყოფისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორებში ტრეინინგებისა და ახალი მუშაობის სტანდარტის დანერგვის გზით". აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2014 წლის ივლისში დაიწყო ტრეინინგები დროებითი მოთავსების იზოლატორთა თანამშრომლებისთვის, რომლის ფარგლებშიც იგეგმება სრული შემადგენლობის გადამზადება (სულ 230 თანამშრომელი). ტრეინინგის ფარგლებში, დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლები სწავლობენ პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების ამოცნობას და მათთან მოპყრობას, ასევე სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის დახმარების

გაწევასაც. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ტრეინინგ–ციკლის 4 ეტაპი (8 ტრეინინგი, სულ მომზადდა 160 თანამშრომელი).

სხვა ტრეინინგები:

- 17–19 ნოემბერი – ტრენინგი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ცალკეულ უფლებებთან მიმართებაში დადგენილ პრეცედენტულ სამართალზე (5 თანამშრომელი);
- 15–16 დეკემბერი – წამალდამოკიდებულების პრევენციის პრინციპები და მეთოდები (4 თანამშრომელი).

ღონისძიება 2.3.7 შსს ოპერატიული თანამშრომლების მომზადება უცხო ენებში

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ხორციელდება უცხო ენის სწავლება შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

2014 წლის მეორე ნახევარში სულ ჩაირიცხა: 478 მსმენელი, დაამთავრა: 322.

ღონისძიება 2.3.8 სისხლის სამართლის საქმეთა ინტეგრირებული მართვის სისტემის (სსიმს) ყოველდღიურ მოხმარებასთან დაკავშირებით შსს თანამშრომლების მომზადება

საანგარიშო პერიოდში შსს აკადემიაში განხორციელდა სწავლება სისხლის სამართლის ინტეგრირებული მართვის სისტემის ყოველდღიურ მოხმარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული კურსი გაიარა შსს 441 თანამშრომელმა.

ღონისძიება 2.3.9 კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება

2013 წელს შსს აკადემიამ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განაახლა კიბერდანაშაულის საგნის კურიკულუმი, რომელსაც გადიან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და ტერიტორიულ დანაყოფებში დასაქმების მსურველი კანდიდატები. განახლებული კურიკულუმის მიხედვით, შსს აკადემიაში 2014 წლის მეორე ნახევარში მომზადება/გადამზადება გაიარა 607 კანდიდატმა და თანამშრომელმა.

გარდა აკადემიაში მიმდინარე საბაზისო კურსებისა, შსს პერმანენტულად უზრუნველყოფს თანამშრომელთა მომზადებას სპეციალიზებული ტრეინინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზებით:

- 5–8 მაისი ქ. გარმიში, გერმანია – კიბერუსაფრთხოების განათლების პრიორიტეტულობა სახელმწიფო მოხელეთათვის, 1 თანამშრომელი

- 25–30 მაისი, პოლონეთი – კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, 2 თანამშრომელი
- 16–20 ნოემბერი, სასწავლო ვიზიტი ესტონეთში – კიბერდანაშაულის ექსპერტიზა და ციფრული სამხილი; 2 თანამშრომელი;
- 26-27 ნოემბერი – რეგიონალური ტრეინინგი კიბერდანაშაულის საკითხებზე; 12 თანამშრომელი;
- 9–11 დეკემბერი – ტრეინინგი კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე; 3 თანამშრომელი.

მიზანი 2.4 ადამიანის უფლებები, საზოგადოებასთან ურთიერთობა და დანაშაულის პრევენცია

ღონისძიება 2.4.1 დაკავებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ დაბეჭდილი მასალის გამოყენებით

დროებითი მოთავსების იზოლატორებში ინახება სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის წესით დაკავებულ პირთა უფლებების ნუსხა 6 ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური, სომხური, არაბული და აზერბაიჯანული), რომელზეც მითითებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის ნომრები, ხოლო თავად ტექსტი შემუშავებულ იქნა სახალხო დამცველის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით. იზოლატორებში დაინერგა პრაქტიკა - ყველა შემოსახლებული პირი ხელს აწერს უფლებათა ნუსხას გაცნობის შემდეგ. ხელმოწერილი უფლებათა ნუსხა ინახება პიროვნების პირად საქმესთან ერთად, ხოლო ასლიეძლევა დაკავებულს.თავად პროცესი მკაცრად კონტროლდება მონიტორინგის სამმართველოს მიერ.

ღონისძიება 2.4.2 ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შსს-ს დანაყოფებისთვის სტანდარტული ოპერატიული პროცედურებისა (SOP) და ქცევის ინსტრუქციების შემუშავება; შსს სისტემაში პერსონალური მონაცემების დაცვის დარეგულირება

2014 წლის იანვრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს „საქართველოს შსს შესაძლებლობების გაუმჯობესება ადამიანის უფლებების სათანადო დაცვის უზრუნველყოფისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორებში ტრეინინგებისა და მუშაობის ახალი სტანდარტის დანერგვის გზით“. პროექტის ფარგლებში დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთათვის იგეგმება სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOP) შემუშავება. ამ მიზნით 2014 წლის მაისში საქართველოში იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ექსპერტი ბატონი ჯეიმს მერდოკი. უცხოელი ექსპერტი ადგილზე გაეცნო დროებითი მოთავსების იზოლატორების ფუნქციონირებას და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს, რაზედაც მოამზადა შესაბამისი ანგარიში. დოკუმენტზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და მომზადებულია პირველადი ვერსიაც. დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელების სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებზე (SOP) მუშაობა 2015 წლის პირველ ნახევარში დასრულდება.

ღონისძიება 2.4.3 დანაშაულის პრევენცია არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლების გზით

2014–2015 სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად განახლდა პროექტ „სამართლებრივი განვითარების პროგრამის“ განხორციელება საქართველოს 34 საჯარო სკოლაში. პროექტი ითვალისწინებს წინასწარ შედგენილი საგნის: „სამართლებრივი კულტურის“ სწავლებას შერჩეული სკოლების მე-9 კლასელთათვის. აღნიშნული საგნის სწავლება მიმდინარეობს სამართალდამცველისა და სკოლის პედაგოგის ერთობლივი აქტივობით. გაკვეთილები ინტერაქტიულია, მოიცავს როლურ თამაშებს და მიზნად ისახავს მოსწავლეებში სამართლის და მართლმსაჯულების სფეროში მათი უფლებების და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნის ამაღლებას. საგანი შედგება შემდეგი თემებისგან:

- არასრულწლოვანი და კანონი;
- ძალადობა (ძალადობა ოჯახში, „ბულინგი“ სკოლებში);
- მავნე ჩვევები და მათი სახიფათო შედეგებისგან თავდაცვა;
- ორგანიზებული დანაშაული (ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით და იარაღით უკანონო ვაჭრობა);
- სასამართლო სამართალწარმოება.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული საგანი გაიარა 2000–ზე მეტმა მოსწავლემ.

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში ხორციელდება სკოლის მოსწავლეთა ვიზიტები შსს სხვადახვა შენობებსა და მათთვის ინტერაქტიული გაკვეთილების ჩატარება. საანგარიშო პერიოდში, 140 სკოლის მოსწავლე ეწვია შსს აკადემიას და ადგილზე გაეცნო პოლიციელთა სწავლების სისტემას.

ღონისძიება 2.4.4 პოლიციის ღონისძიებების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საზოგადოების მუდმივად ინფორმირებით ვებ-გვერდის, სოციალური მედიისა და რგოლების, რადიო გადაცემის, საინფორმაციო ბროშურების საშუალებით

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა შსს-ს საქმიანობის გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად განახორციელა პროექტები, ღონისძიებები და საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელი სოციალური და სხვა კამპანიები:

- საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით, განახორციელდა სოციალური კამპანია, **„არ დაჯდე საჭესთან ნასვამი“** . გამოაცხადა კონკურსი, რომლის მიხედვითაც მონაწილეებს უნდა შეექმნათ ორიგინალური ფოტო, დიზაინი და სლოგანი. 1 თებერვალს გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ ამ კამპანიის გამარჯვებულები. სოციალური კამპანიის ფარგლებში დამზადდა გამარჯვებული ფოტო სურათისა და სლოგანის „პილონი“;

- შეიქმნა შს სამინისტროს **ბრენდბუქი,** რომელიც დამტკიცდა 25 თებერვალს;

- საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განახორციელდა სოციალური კამპანია **„შეიკარი ღვედი“.** გამოცხადდა კონკურსი, რომლის მიხედვითაც მონაწილეებს უნდა შეექმნათ ორიგინალური ფოტო, დიზაინი და სლოგანი, რომელსაც განათავსებდნენ ამ თემაზე შექმნილ facebook- ის გვერდზე. გამოვლინდა 3 გამარჯვებული;

- შს სამინისტრომ განახორციელა მასშტაბური ანტინარკოტიკული კამპანია სლოგანით **„ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“.** კამპანიის ფარგლებში დამზადდა სატელევიზიო ვიდეორგოლები, დაიბეჭდა მაისურები, ბანერები, სამაჯურები, გულსაკიდები; ასევე, შს მინისტრმა და სამინისტროს წარმომადგენლებმა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გამართეს სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან.

- მომზადდა **დოკუმენტური სერიალი** შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მუშაობის შესახებ (9 სერია), რომელიც ეთერში გავიდა 2014 წლის აპრილიდან.

- მომზადდა ყოველ კვირეული რადიოგადაცემა - **„კანონის ფარგლებში“.** 2014 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით მომზადდა 13 გადაცემა. გადაცემების მიზანი იყო მოქალაქეთა ინფორმირება შსს-ში მიმდინარე პროექტებსა და სიახლეებზე;

- სოციალური კამპანია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ – **„არა ძალადობას“.** კამპანიის მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის შესახებ და ამ პრობლემის დასაძლევად საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. კამპანიის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:
    - სატელევიზიო–საინფორმაციო ვიდეორგოლი „ძალადობა დასჯადია“;
    - სატელევიზიო გადაცემებში შსს წარმომადგენელთა მონაწილეობა;
    - სიმღერის ჩაწერა და ვიდეორგოლის მომზადება;
    - საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში (სულ 2023 მოსწავლე-ახალგაზრდა);
    - მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები კამპანიის შესახებ;
    - ნახატების კონკურსი - „სიკეთე უსასრულოა“ და „არა ძალადობას“;
    - ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსი და სხვა;
- მოხდა **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შსს-ს ვებ-გვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.** ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის, კერძოდ, უსინათლოთათვის, ხელმისაწვდომია შსს-ს სიახლეები სამინისტროს ვებ-გვერდის – www.police.ge-ს მეშვეობით. ვებ-გვერდის პრეზენტაცია 2014 წლის შემოდგომაზე შედგა. აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის სამუშაოები ხორციელდებოდა შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტთან ერთად.

საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის დეპარტამენტი ინტერაქტიური პლატფორმებიდან იყენებს შს მინისტრისა და სამინისტროს *youtube*-ის და *twitter*-ის ოფიციალურ არხებს. მათზე მუდმივად ხდება სამინისტროს ღონისძიებებისა და აქტივობების ამსახველი მასალის განთავსება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოქალაქეთა საინფორმაციო მოთხოვნების ოპერატიულად დაკმაყოფილებას. ელექტრონულ ფოსტაზე miapr@mia.gov.ge რომელიც შსს-ს ვებგვერდზეა მითითებული, როგორც სამინისტროს საკონტაქტო ელ-ფოსტა, ახდენს შემოსული წერილების სისტემატიზირებას, აღრიცხვას და კატეგორიზაციას. გარდა ამისა, 2014 წლის მარტიდან მიმდინარეობს იმ მოქალაქეების გამოკითხვა, რომლებმაც ელ-ფოსტის მეშვეობით გამოითხოვეს რაიმე ინფორმაცია. მათ პასუხთან ერთად ეგზავნებათ მიმაგრებული კითხვარი. გამოკითხვა მიზნად ისახავს ინფორმაციის მიწოდების ოპერატიულობითა და ხარისხით მოქალაქეების კმაყოფილების დონის დადგენას სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

V. პროკურატურის რეფორმა

მიზანი 3.1 სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა

2014 წლის განმავლობაში მთავარი პროკურატურა აქტიურად მონაწილეობდა სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავების პროცესში, კერძოდ, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილების, არასრულწლოვანთა კოდექსის, ასევე საპროცესო შეთანხმებასა და დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებული ცვლილებების მომზადებაში.

2014 წლის ბოლოს დაიწყო პროკურატურის რეფორმის ახალი ტალღა. 2014 წლის 27 დეკემბერს, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რიგით მე-13 გაფართოებულ სხდომაზე გაიხსნა საჯარო დისკუსია პროკურატურის სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში საბჭოს სამდივნოს (იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი) დაევალა საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოთა პრაქტიკის შედარებით-სამართლებრივი კვლევის მომზადება თემაზე: პროკურატურის ადგილის შესახებ სახელმწიფო სისტემაში.

დამატებით, 2014 წელს პროკურატურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების მიერ გაანალიზებულ იქნა გავრცელებული დანაშაულები, მათი ჩადენის ხერხები, მიზეზები და მოტივები, რის საფუძველზეც განისაზღვრა არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკა. გაანალიზდა 2014 წლის განმავლობაში ჩადენილი თითოეული ფაქტი, რის შედეგადაც შემუშავებულ იქნა სისხლის სამართლის პოლიტიკა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებსა და ოჯახურ დანაშაულებთან მიმართებით. მსგავსი ანალიზები გაკეთდა სხვა გავრცელებულ დანაშაულებთან მიმართებითაც.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაანალიზებულ იქნა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები, რის საფუძველზეც განისაზღვრა სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვანთა მიმართ. ამ მიმართულებით პროკურატურის მიერ განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვის პროცესში მონაწილეობდნენ როგორც საერთაშორისო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამა თუ იმ მიმართულებით სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავებას საფუძვლად დაედო ასევე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, კერძოდ, 2014 წელს პროკურატურის მიერ გაანალიზდა როგორც განაჩენების, ისე აღკვეთის ღონისძიებებისა და საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა.

საანგარიშო პერიოდში მთავარი პროკურატურის მიერ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ მუხლებზე დისკრეციული უფლებამოსილებისა და განრიდების გამოყენების შესახებ;
- ოჯახური დანაშაულების გამოძიებისას გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ;
- ძალადობის ფაქტების გამოძიებისას გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ.

მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ზონალური პრინციპით ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა რეკომენდაციების შესრულების კონტროლი ყველა იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელსაც ეხება რეკომენდაცია.

მიზანი 3.2 პროკურატურის როლის გაზრდა დანაშაულის პრევენციის პროცესში

საანგარიშო პერიოდში უწყებათაშორისი თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები დანაშაულის პრევენციის მიზნით. დაიწყო ახალი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, იმიტირებული გამოძიება სკოლებში. ასევე დაიგეგმა 2015 წლისთვის ტრეფიკინგის და სხვა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართული პრევენციული ღონისძიებები.

მიზანი 3.3 პროკურორთა შერჩევის პროცედურა და პროფესიული განვითარება

2014 წელს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა სტაჟირების გავლის ახალი წესი, რომელიც არეგულირებს სტაჟიორთა შეფასებას. პროკურორთა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით მიმდინარეობს შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. 2013 წელს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით ასევე დამტკიცდა პროკურატურის მუშაკთა ატესტაციის წესი.

2014 წელს განხორციელდა სტაჟირების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1702-მა აპლიკანტმა. 3 ეტაპიანი კონკურსის გავლის შედეგად, შეირჩა 57 წარმატებული კანდიდატი. შერჩეული კანდიდატები, სტაჟირების გავლის მიზნით, საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში გადანაწილდნენ.

2014 წელს საქართველოს პროკურატურაში დაინიშნა 38 პროკურორი, მათ შორის 23 სტაჟირების გავლის გზით. ასევე, პროკურატურაში მუშაობა დაიწყო 7-მა გამომძიებელმა, მათ შორის 1-მა სტაჟირების ეტაპის გავლის შედეგად. 2014 წელს სამსახურებრივი წარმატებული პროფესიული წახალისდა 343 მუშაკი.

მიზანი 3.4 საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურა

2014 წელს საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში სულ ჩატარდა 146 ღონისძიება: ლექციები სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულის, ოჯახური ძალადობის, ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ, იმიტირებული სასამართლო პროცესი, კულტურული, სპორტული და სხვადასხვა სახის აქციები. ასევე ჩატარდა გამწვანების აქცია სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ანტინარკოტიკული აქცია უფროსკლასელებთან ერთად, სადაც მოხდა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის განადგურება; პროკურატურის ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმდა ორი პრობაციონერი და სხვ.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში გაიმართა 4 შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე. მათ შორის, ჩატარდა ერთობლივი გასვლითი სემინარი ჟურნალისტებისა და პროკურორების მონაწილეობით.

ასევე გაკეთდა ანალიზი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების საქმიანობის შესახებ. კერძოდ, გაანალიზდა დაზარალებულებისა და მოწმეების ძირითადი მოთხოვნები რეგიონალურ ჭრილში, ასევე დანაშაულები, რომლებზეც მოწმეთა და დაზარალებულთა აქტივობა მაღალია.

მიზანი 3.5 ადამიანის უფლებათა დაცვა და საერთაშორისო ვალდებულებები

2014 წლის განმავლობაში განხორციელდა შეხვედრები სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაზიანებით შესახლებულ 159 პატიმართან. აქედან 10 ფაქტზე დაიწყო გამოძიება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში განხილულ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან პროკურატურაში შემოსული - 901 მომართვა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან მიღებული წერილების საფუძველზე, რომლებიც ეხებოდა დანაშაულის შესაძლო ჩადენისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებს, საქართველოს პროკურატურაში გამოძიება დაიწყო 57 სისხლის სამართლის საქმეზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაანალიზების შედეგად პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების სტანდარტების შესახებ.

მიზანი 3.6 პროკურატურის ორგანიზაციული სტრუქტურის მოდიფიცირება სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით

2014 წელს ჩატარდა მასშტაბური კვლევა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ახალი სტრუქტურული ერთეულის - სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორების, გამომძიებლებისა და მოწმისა და

დაზარალებულის კოორდინატორების რაოდენობა. აღნიშნული დეპარტამენტის გამართულად ფუნქციონირების მიზნით დამტკიცდა ახალი საშტატო ნუსხა.

VI. იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმა

მიზანი 4.1. სამსახურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა

2014 წლის 26 იანვარს ძალაში შევიდა იურიდიული დახმარების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომელთა თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახური გამოეყო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა. სამსახური სამართავად გადაეცა 9-წევრიან იურიდიული დახმარების საბჭოს, რომელიც დაკომპლექტებულია ადვოკატთა ასოციაციის 3 წევრით, ასევე - იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის, საია-ს, სამეცნიერო სფეროსა და იურიდიული დახმარების სამსახურის თითო წარმომადგენლით.

საბჭომ სხვადასხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების მიზნით გამართა 20 სხდომა. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საბჭომ 5 წლის ვადით აირჩია იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, დაამტკიცა საკუთარი და სამსახურის დებულებები, ასევე - მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის საქმიანობის მარეგულირებელი და სხვა აქტები.

2014 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესს, რაც განპირობებული იყო 2015 წლისთვის გათვალისწინებული აქტივობების შესრულების, კერძოდ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სამსახურის მანდატის გაფართოების და სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების ვალდებულებით.

იურიდიული დახმარების სამსახურის, იურიდიული დახმარების საბჭოს და საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებული ძალისხმევით, საქართველოს მთავრობასთან და პარლამენტთან ინტენსიური დიალოგის გზით, შესაძლებელი გახდა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სამსახურისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების მნიშვნელოვანი ზრდა. კერძოდ, 2014 წლის ბიუჯეტთან შედარებით, სამსახურის 2015 წლის ბიუჯეტი გაიზარდა 51.7%-ით და შეადგინა 4 მილიონ 500 ათასი ლარი. გაზრდილი საბიუჯეტო დაფინანსების პირობებში შესაძლებელი იქნება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მანდატის გაფართოებისთვის საჭირო კადრების რეკრუტირება, არსებული კადრების სახელფასო ფონდის ზრდა, ასევე დამატებითი ბიუროს ამოქმედება კახეთის რეგიონში, კერძოდ, სიღნაღში.

გარდა ამისა, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, დაიხვეწა სამსახურის დებულება და შინაგანაწესი. ასევე განახლდა სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსდა ინფორმაცია 2008-2014 წლების სტატისტიკისა და დაფინანსების შესახებ.

მიზანი 4.2. იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

ღონისძიება 4.2.1. იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდა

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სამსახურის მანდატის გაფართოების მიზნით მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა ცვლილებების შეტანას „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული ცვლილებები 2014 წლის დეკემბერში მიიღო. ცვლილებების თანახმად, განისაზღვრა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების კატეგორიები, რომლებზეც იურიდიული დახმარების სამსახური სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებას უზრუნველყოფს. გაფართოებული მანდატის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 15 აპრილი. იურიდიული დახმარების საბჭოს მიეცა უფლება, თავისი გადაწყვეტილებით დამატებით განსაზღვროს საქმეთა კატეგორიები, რომლებზეც სამსახური სასამართლოში წარმომადგენლობას განახორციელებს. ადმინისტრაციულ ორგანოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა 2016 წლის 1 იანვრიდან მოხდება.

გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, სამსახურმა დაიწყო სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საკითხებზე სამსახურის არსებული კადრების გადამზადება. 2014 წლის ოქტომბერ-ნოებერში ჩატარდა 4 ტრენინგი, რომლებსაც 20-ზე მეტი იურისტი დაესწრო. არსებული და ახალი კადრების გადამზადების პროცესი 2015 წელსაც გაგრძელდება.

ღონისძიება 4.2.2. ტერიტორიული დაფარვა

2014 წელს იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი გახდა დამატებით კიდევ ერთ რეგიონში. 2014 წლის 12 ნოემბერს ამოქმედდა საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებით გარემონტდა და აღიჭურვა. შესაბამისი სამუშაოები მთლიანად სამსახურის ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ცენტრში დასაქმდა კონკურსის გზით შერჩეული კონსულტანტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით, მოქალაქეებს გაუწევს იურიდიულ კონსულტაციებს და შეუდგენს სამართლებრივ დოკუმენტებს.

2014 წლის აპრილში, იურიდიული დახმარების სამსახურის თელავის ბიურო ახალ, კეთილმოწყობილ ოფისში გადავიდა. ოფისის სარემონტო სამუშაოები დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, სამსახურს გადაეცა საოფისე ფართი სიღნაღში, იურიდიული დახმარების ბიუროსათვის.

2014 წლის მაისში მესტიაში ოფიციალურად გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც მესტიისა და მიმდებარე სოფლების 14 ათასზე მეტ მოსახლეს ემსახურება. აღნიშნული საკონსულტაციო ცენტრი 2013 წლის დეკემბერში გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ამოქმედდა.

2014 წლის დეკემბერში, სამსახურს გადაეცა საოფისე ფართი, რომელშიც 2015 წელს თბილისის ბიურო გადაინაცვლებს. თბილისის ბიუროს არსებულ ოფისს კი სამსახურის ცენტრალური აპარატი დაიკავებს. გარდა აღნიშნულისა, შესრულდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კიდევ ერთი აქტივობა, კერძოდ, თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის ბიუროებში განახლდა მოძველებული კომპიუტერული ტექნიკა.

2014 წლის ნოემბერში, რეფერალური სისტემის ამოქმედების მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურმა და საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ (სიფა) **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი** გააფორმეს. დოკუმენტის თანახმად, სიფა გადახდისუუნარო მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას იმ კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლებზეც იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი არ ვრცელდება.

მიზანი 4.3. მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

ღონისძიება 4.3.1. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

2014 წლის დეკემბერში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დაამტკიცა „სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სახელმძღვანელო წესები“, რომლის მიზანია უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული დახმარების ბიუროებისა და მოწველი საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ უფასო, დროული და კვალიფიციური იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, შემუშავდა შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის კონცეფცია.

ღონისძიება 4.3.2 მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა და უფასო იურიდიული დახმარების სხვა მიმწოდებლებთან თანამშრომლობა.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ეფექტური ადმინისტრირების მიზნით, შეიცვალა რეესტრის ადვოკატებთან დადებული ხელშეკრულების სახე და, შრომითი კონტრაქტების ნაცვლად, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატებთან გაფორმდა ხელშეკრულებები მომსახურების შესყიდვის შესახებ. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა რეესტრში იმ ადვოკატების შენარჩუნება, ვისთვის მანამდე, შრომითი ხელშეკრულება დაბრკოლებას ქმნიდა სხვა შემოსავლების მიღების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, რეესტრში მოხდა 7 ახალი ადვოკატის რეგისტრაცია და 2014 წლის ბოლოსთვის სულ რეგისტრირებული იყო 65 ადვოკატი. იურიდიული დახმარების საბჭომ

ასევე დაამტკიცა სისხლის სამართლის საქმეში რეესტრის ადვოკატთა ჩართვის პროცედურები და ანაზღაურების წესი, ასევე ანგარიშგების წესი და ფორმა. შემუშავდა ანალოგიური დოკუმენტების პროექტები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების სფეროში, რაც 2015 წლიდან იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოებას უკავშირდება.

ღონისძიება 4.3.3. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზაცია

2014 წლის ივნისში დამტკიცდა იურიდიული დახმარების სამსახურის **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების კონცეფცია**. დოკუმენტი აღიარებს აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო ნორმების მნიშვნელობას და საქართველოში მათი ეფექტური იმპლემენტაციის აუცილებლობას. კონცეფციის თანახმად, სამსახურმა აიღო ვალდებულება ყველა იურიდიული დახმარების ბიუროში შეერჩია და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან სამუშაოდ გადაემზადებინა საზოგადოებრივი ადვოკატები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციისათვის შეირჩა 28 საზოგადოებრივი ადვოკატი, რომლებიც წარმოადგენენ სამსახურის თერთმეტივე იურიდიული დახმარების ბიუროს. სპეციალიზაციისათვის შერჩეული ადვოკატებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, ორ ეტაპად, ივნისსა და ოქტომბერში, გაძლიერებული ტრენინგები ჩატარდა.

ღონისძიება 4.3.4 მენეჯმენტის სისტემის გამართვა, იურიდიული კლინიკებისა და სტაჟირების სისტემების გამართვა.

2014 წლის დეკემბერში, ევროკავშირის მხარდაჭერით, საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფმა“ დაიწყო იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურის ანალიზის პროექტი. პროექტი მიზნად ისახავს სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებას ისე, რომ ის მაქსიმალურად ეხმარებოდეს სამსახურს ორგანიზაციული მიზნებისა და სტრატეგიის განხორციელებაში, ხოლო თანამშრომლებს თავისი უნარებისა და კომპეტენციების სათანადოდ რეალიზებაში. პროექტი გულისხმობს არსებული სტრუქტურული გადაწყვეტილებების შესწავლას, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს, ახალი სტრუქტურული მოწყობის მოდელის დამუშავებას და ცვლილებების განხორციელების გეგმის შემუშავებას.

2013 წელს თბილისის ბიუროში **საქმეთა განაწილების სისტემის** დანერგვის შემდეგ, 2014 წლის მარტში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დაამტკიცა საქმეთა განაწილების სისტემა დანარჩენ იურიდიული დახმარების ბიუროებში. აღნიშნული სისტემა არეგულირებს საქმეთა განაწილებას სამუშაო და არასამუშაო დროს, ასევე უქმე და დასვენების დღეებში. საქმეთა განაწილების სისტემის მიზანია ადვოკატებს შორის საქმეთა თანაბარი განაწილება და მაღალხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა.

სისხლის სამართლის საქმეთა მენეჯმენტის დახვეწის მიზნით, იურიდიული დახმარების საბჭომ დაამტკიცა **საქმეთა მენეჯმენტის კომპიუტერული პროგრამა,** რომელიც დანერგილია იურიდიული დახმარების სამსახურის ყველა ბიუროსა და საკონსულტაციო ცენტრში.

იურიდიული დახმარების სამსახური აგრძელებს **იურიდიული კლინიკის** პროექტის განხორციელებას. 2014 წლის პირველ ნახევარში, იურიდიული დახმარების სამსახურის 6 ბიუროში სტაჟირება გაიარა სხვადასხვა უნივერსიტეტის 32-მა სტუდენტმა. სტაჟიორებს ჩაუტარდათ ტრენინგები ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის, სასამართლო ადვოკატირების უნარ-ჩვევების, სამართლებრივი წერის კულტურის, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის, კლიენტთან გასაუბრების ჩატარების საკითხებზე. გარდა ამისა, სტაჟიორები მუშაობდნენ რეალურ სისხლის სამართლის საქმეებზე, ხვდებოდნენ დასაცავ პირებს და ამზადებდნენ სამართლებრივ დოკუმენტებს. სტუდენტებმა იმიტირებული სასამართლო პროცესებიც გამართეს. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა უნივერსიტეტიდან სტაჟირებაში მონაწილეობა მიიღო 20 სტუდენტმა.

ღონისძიება 4.3.5. თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული გადამზადება

2014 წლის განმავლობაში, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ 30 სხვადასხვა ტრენინგს დაესწრნენ. ყველა ადვოკატმა დააგროვა სავალდებულო კრედიტები პროფესიული ეთიკის საკითხზე, ასევე ყველა ადვოკატმა გაიარა ტრენინგი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე. 20-ზე მეტმა ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმებისა და საერთაშორისო სტანდარტებისადმი მიძღვნილ ტრენინგში. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები აგრეთვე გაიარეს მოწვეულმა საზოგადოებრივმა ადვოკატებმა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები მოიცავდა შემდეგ თემატიკას:

- პროფესიული ეთიკა, კლიენტთან ინტერვიუს ჩატარების თავისებურებები და სასამართლო ადვოკატირება;
- შეფასების უნარების განვითარება (სისხლის სამართალი);
- ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში;
- სასამართლო უნარ-ჩვევები;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენება;
- ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ;

- ნაფიც მსაჯულთა შერჩევა;
- ჯვარედინი დაკითხვა;
- საპროცესო შეთანხმება;
- მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და გასაჩივრების მექანიზმები;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის გამოყენება;
- დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სტანდარტები;
- არბიტრაჟი;
- სასაქონლო ნიშნები;
- სისხლის სამართლის პროცესი;
- კრიმინალისტიკა და სასამართლო ექსპერტიზა;
- უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება;
- ტრენერთა ტრენინგი სისხლის სამართლის პროცესში;
- ევროსასამართლოში სარჩელის შედგენის თავისებურებანი;
- მტკიცებულებათა დასაშვებობა და გაცვლა სისხლის სამართლის პროცესში;
- იურიდიული დოკუმენტების შედგენა–მომზადება;
- მედიაცია;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები;
- ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გასაჩივრების მექანიზმები;
- საერთაშორისო ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის წესი;
- სამოქალაქო სამართალი: „ინდიკაციური და კონდიციური სარჩელები“;
- ქონების რეგისტრაცია;
- შესავალი და დასკვნითი სიტყვა.

გარდა ამისა, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები დაესწრნენ ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს შესავალი და დასკვნითი სიტყვებისა და სამართლებრივი მართლწერის თემაზე.

ასევე, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა სწავლება გაიარეს ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ონლაინ სასწავლო პლატფორმის მეშვეობით. აღნიშნულ პლატფორმა შეიცავს სხვადასხვა სამართლებრივ თემაზე მომზადებულ ვიდეო ლექციებს. ონლაინ სასწავლო პლატფორმის მეშვეობით ტრენინგები გაიმართა გორის, მცხეთის, ქუთაისისა და ზუგდიდი ბიუროებში. სწავლებას დაესწრნენ როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის, ისე კერძო სექტორში მოღვაწე ადვოკატები. მათ მოისმინეს ვიდეო ლექციები შესავალი და დასკვნითი სიტყვის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოებისა და ადვოკატის ქცევის წესების, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესახებ.

2014 წლის თებერვალში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) მხარდაჭერით, რამდენიმე საზოგადოებრივ ადვოკატს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: კლიენტის მომსახურება; მოლაპარაკება; სამართლებრივი წერა; საქმის მომზადება და პრეზენტაცია; მოწმის დაკითხვა.

2014 წლის ნოემბერში, ევროპის საბჭოს ორგანიზებით, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები დაესწრნენ ტრენინგს ევროპის სოციალური ქარტიით დაცული უფლებების შესახებ.

2014 წლის იანვარში, ქუთაისსა და თბილისში, იურიდიული დახმარების სამსახურში ახლადმიღებული ადვოკატებისა და კონსულტანტებისთვის ჩატარდა **საორიენტაციო ტრენინგები** პროფესიული ეთიკის, კლიენტთან ინტერვიუს ჩატარების თავისებურებებისა და სასამართლო ადვოკატირების თემებზე. აღნიშნული ტრენინგები განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში.

2015 წლიდან იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის მანდატის გაფართოებასთან დაკავშირებით, ასევე მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით და თანამშრომელთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩატარდა იურიდიული დახმარების სამსახურის **თანამშრომელთა ტრენინგ საჭიროებების კვლევა,** რომლის შედეგად ადვოკატებმა წარმოადგინეს მოსაზრებები 2015 წლისათვის აქტუალური სამართლებრივი საკითხების თაობაზე. აღნიშნული კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება შემდგომი ტრენინგების მიზნობრივად დაგეგმვისათვის.

2014 წლის მაისში, ამერიკის იურისტთა ასოციაციამ იურიდიული დახმარების სამსახურს სამართლებრივი ლიტერატურა გადასცა. 8 სახელმძღვანელოსგან შემდგარი კომპლექტები იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში განაწილდა. სახელმძღვანელოები მომზადდა „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. 2014 წლის ივლისში, ამერიკის იურისტთა ასოციაციამ იურიდიული დახმარების სამსახურს გადასცა დისტანციური სწავლების ორგანიზებისთვის საჭირო აღჭურვილობა.

გარდა ამერიკის იურისტთა ასოციაციისა, იურიდიული დახმარების სამსახურის სამართლებრივი ლიტერატურა ასევე გადასცეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ).

მიზანი 4.4. მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ

2014 წლის 17-18 მაისს, დაბა სტეფანწმინდაში, ცენტრალური და რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის გაიმართა სემინარი, რომლის მიზანიც იყო ჟურნალისტებისთვის იურიდიული დახმარების სფეროში განხორციელებული რეფორმების გაცნობა. შეხვედრას ესწრებოდა 15 ჟურნალისტი, ასევე იურიდიული დახმარების საბჭოს წევრები და იურიდიული დახმარების სამსახურის ცენტრალური და რეგიონული ოფისების თანამშრომლები. ღონისძიება ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა.

სამსახურის სამართლებრივი სტატუსის ცვლილების შესაბამისად, 2014 წლის აპრილში, იურიდიული დახმარების სამსახურმა ახალი ლოგო შეიმუშავა. ახალი ლოგოს საფუძველზე, 2014 წლის მაისში, განხორციელდა სამსახურის ვებგვერდის დიზაინის განახლება.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურმა 200-ზე მეტი სხვადასხვა ღონისძიება განახორციელა, მათ შორის: 40-მდე სემინარი ჩატარდა სხვადასხვა საჯარო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის, 50-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაკებთან (მათ შორის 30-ზე მეტი - ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით), 40-ზე მეტი გასვლითი კონსულტაცია ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა, იმერეთის, და აჭარის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში. მოეწყო ავტოტურები რაჭაში, გურიასა და სვანეთის მაღალმთიან სოფლებში. 30-მდე შეხვედრა გაიმართა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლების სტუდენტებთან, პრობაციონერებთან, სოციალურად დაუცველებსა და დევნილებთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იურიდიული დახმარების ბიუროების საქმიანობა გაშუქდა ქუთაისის, სენაკის, ფოთის, ახალციხისა და რუსთავის რეგიონული ტელევიზიებისა და ელექტრონული გამოცემების მიერ.

VII. სასამართლო რეფორმა

მიზანი 5.1 სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა და სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

2012 წლის ნოემბერში იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით დაიწყო მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური რეფორმის პირველი ეტაპი, რომელიც დასრულდა 2013 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტის მიერ კანონმდებლობაში მთელი რიგი ცვლილებების განხორციელებით. რეფორმის ფარგლებში, სასამართლოში სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვრა სასამართლო პროცესის ფოტო-, კინო, ვიდეოგადაღებისა და ტრანსლაციის პირობები. სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა. სასამართლომ მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს აუდიო-ვიდეოჩანაწერის მხარეებისთვის

ხელმისაწვდომობა. სასამართლო სხდომების საქვეყნოობის ხელშეწყობის მიზნით, საზოგადოებრივ მაუწყებელს მიეცა ნებისმიერი სასამართლო პროცესის შეუზღუდავად ჩაწერის შესაძლებლობა, გარდა სრულად ან ნაწილობრივ დახურული სხდომებისა. ასევე დადგინდა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისთვის ჩანაწერის ხელმისაწვდომობის პირობები.

მიზანი 5.2 დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურის რეფორმა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. მათ შორის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების პროექტი, გაგზავნილ იქნა ვენეციის კომისიაში, რომელმაც დადებითად შეაფასა მიმდინარე რეფორმის ძირითადი პრინციპები. ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში ასახული რეკომენდაციებისა და მოსაზრებების დიდი ნაწილი გაზიარებულ იქნა იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტში. საქართველოს მთავრობამ საკანონმდებლო პაკეტი 2015 წლის 31 მარტის სხდომაზე დაამტკიცა.

იუსტიციის სამინისტროს მიერ სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსამართლეთა წინააღმდეგ წარმართული დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების დახვეწა და მისი ეტაპების ოპტიმიზაცია, ამ პროცესში მოსამართლეთა დაცვის დამატებითი სამართლებრივი გარანტიების შექმნა, აგრეთვე დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

მოქმედი კანონით დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია. რეფორმის შედეგად, მოსამართლე უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს მის მიმართ წარმოებული პროცესის გასაჯაროება, რაც ქმნის მოსამართლის უფლებების დაცვის დამატებით გარანტიებს. ამ ცვლილებით ასევე მიიღწევა დისციპლინური სამართალწარმოების ერთგვაროვნებისა და პროცესზე საზოგადოებრივი კონტროლის მიზანი.

კანონის ცვლილება, რომლითაც სადისციპლინო კოლეგიას ერთმევა უფლება წარდგინებით მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სრულიად ახალი დარღვევის თაობაზე, რომელზეც მხარე არ დავობს, სადისციპლინო კოლეგიას აიძულებს იყოს მიუკერძოებელი არბიტრი და არა ინკვიზიციური ნიშნების მატარებელი ორგანო.

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება მხოლოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დარჩება. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და

სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს აღარ ექნებათ მსგავსი უფლებამოსილება, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეთა თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას.

შეიქმნება დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მოსამართლეთა დაცვის დამატებითი გარანტიები. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, სადაც განიხილება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხი და ამ საკითხებთან დაკავშირებული მასალები, მოწვეული იქნება ეს მოსამართლეც. ამასთან, სადისციპლინო კოლეგია ვალდებული იქნება გაითვალისწინოს, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება უკიდურესი ღონისძიებაა და ის მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იქნეს გამოყენებული.

დისციპლინური სამართალწარმოებისათვის დადგინდება მტკიცების სტანდარტი. სადისციპლინო კოლეგია კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის, აგრეთვე დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ კოლეგიაში საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა მოსამართლის მიერ ამ კანონით დადგენილი დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა.

დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლები საჩივრის (განცხადების/შეტყობინების) ავტორსაც გაეგზავნება.

მიზანი 5.3 იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა და მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმის საკითხებსაც მოიცავს. იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა სასამართლო სისტემის შემადგენელი კომპონენტია, რომელსაც მოსამართლეობის კანდიდატთა მომზადების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, აუცილებელია დაიხვეწოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზაც.

რეფორმის გატარების შედეგად, უკეთ მოწესრიგდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელების მისაღები კონკურსის პროცედურა და ამ პროცესში ერთმანეთისაგან გაიმიჯნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის კომპეტენცია, დაწესდება კონკურსის ობიექტურად და თანასწორად წარმართვისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების

ვალდებულება, უზრუნველყოფილი იქნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობა და მოწესრიგდება ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევა.

კანონპროექტის მიღების შემდეგ შეიქმნება მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც იუსტიციის მსმენელობის კანდიდატების, ისე იუსტიციის მსმენელთა უფლებების დაცვას. უმაღლესი სკოლის მსმენელობის კანდიდატებს მიენიჭებათ სკოლაში ჩარიცხვაზე უარის შესახებ დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა. ამ მიზნით შეიქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელიც მსმენელობის კანდიდატების განაცხადებს განიხილავს. საბოლოო გადაწყვეტილებას, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, დამოუკიდებელი საბჭო მიიღებს.

გაიზრდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობა. კერძოდ, დამოუკიდებელი საბჭო ვალდებული იქნება სხდომამდე ერთი კვირით ადრე იუსტიციის უმაღლესი სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს სხდომის თაობაზე ინფორმაცია და სხდომის დღის წესრიგი, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება, სხდომის ოქმთან ერთად - სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სავალდებულო იქნება მსმენელთა მისაღები კონკურსის თაობაზე და სკოლაში მისაღები მსმენელების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის განთავსება.

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ეტაპის სხვა სიახლეები

ამ ეტაპზე უფრო მეტი აქცენტი კეთდება თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებსა და სასამართლოს საქმიანობაში მის ჩართულობაზე. გარდა ამისა:

- ✓ საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება მოსამართლეობის **კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები და მათი მახასიათებლები.** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა შერჩევისას დაეყრდნობა ორ ძირითად კრიტერიუმს - კეთილსინდისიერებას და კომპეტენტურობას. დგინდება მოსამართლეობის კანდიდატის თაობაზე სანდო ინფორმაციის მოძიების წესი, ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევები და მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების **გასაჩივრების შესაძლებლობა;**

- ✓ მოსამართლეობის ყველა კანდიდატი **თანამდებობაზე განწესდება კონკურსის წესით.** მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თანაბარ პირობებში მოექცევიან იუსტიციის მსმენელები და ის პირები, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან;

- ✓ უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდება მოსამართლის **საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიები**. კანონში მიეთითება, რომ არავის აქვს უფლება მიუთითოს მოსამართლეს, თუ როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე;

- ✓ სასამართლოს **თავმჯდომარეებს და თავმჯდომარეების მოადგილეებს თავად აირჩევენ** შესაბამისი რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები;

- ✓ სასამართლოთა თავმჯდომარეები ვალდებული იქნებიან **პირადად განიხილონ საქმეები;**

- ✓ რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების **თავმჯდომარეებს შეეზღუდებათ ადმინისტრაციული ფუნქციები.** ისინი მხოლოდ ზედამხედველობას გაუწევენ სასამართლოს აპარატის მუშაობას. სასამართლოს აპარატის უშუალო ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას განახორციელებს სასამართლოს მენეჯერი;

- ✓ შემოღებული იქნება **საქმეთა ავტომატური განაწილების პრინციპი.** რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები განაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ახალი წესის თანახმად, მხოლოდ ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას იქნება დასაშვები მიერ საქმეების ელექტრონული სისტემის გარეშე განაწილება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც კანონით დადგენილი წესისა და პირობების დაცვით;

- ✓ **მოწესრიგდება მოსამართლეთა მივლინების პროცედურა.** მივლინება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოსამართლის თანხმობითნ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით. მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინება ტერიტორიულად ახლომდებარე სასამართლოდან დასაშვები იქნება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები და თუ კანონით დადგენილი წესით (რეზერვში მყოფი მოსამართლეები, მოსამართლეები საკუთარი თანხმობის საფუძველზე) ვერ მოხდა მოსამართლის შერჩევა, რისთვისაც ასევე სავალდებულოა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების არსებობა;

- ✓ გაიზრდება **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხი.** საბჭო ვალდებული იქნება საბჭოს ვებგვერდზე განათავსოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასთან ან მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, აგრეთვე ინფორმაცია მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და მისი შედეგების შესახებ. ამასთან, საბჭო ვალდებული იქნება საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 2 დღით ადრე უზრუნველყოს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება;

- ✓ გაიზრდება უზენაესი სასამართლოს როლი მართლმსაჯულების პროცესში და გაფართოვდება **საკასაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები,** მათ შორის, იმ კუთხით, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად ცნოს საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, თუ იგი წინააღმდეგობაშია ადამიანის

უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეზე საკასაციო საჩივარი დასაშვები იქნება ნებისმერი შემთხვევაში, თუ საქმე ეხება არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენას;

VIII. სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა

მიზანი 6.1 პენიტენციურ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემატიური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა

პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები:

- შემუშავებულია და მიღებულია პატიმრობის კოდექსის ცვლილებები;
- მიღებულია მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულებისა და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №157;
- მიღებულია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №145;
- მიღებულია თავისუფლების აღკვეთისა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამის - „ატლანტისი“ განხორციელების ინსტრუქციები (სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №160 და №161);
- შემუშავებულია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის (სრულწლოვან მსჯავრდებულთათვის) პროექტი;
- შემუშავებულია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის პროექტი და დამტკიცდება უახლოეს მომავალში;
- შემუშავებულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დებულების პროექტი;
- მიმდინარეობს მუშაობა დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების პროექტზე;
- მიმდინარეობს მუშაობა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების პროექტზე;
- მუშაობა დასრულებულია და დამტკიცდება უახლოეს მომავალში რისკის სახეები, რისკის შეფასების კრიტერიუმები, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესი, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესი და პირობები, აგრეთვე მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობის განსაზღვრის წესის პროექტზე;

- პარლამენტში ინიცირებულია პატიმრობის კოდექსის ცვლილებების პროექტი. ცვლილებები აისახება შიდა რეგულაციებში.

ღონისძიება 6.2.1 სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების სრულყოფა

შემუშავდა კონკრეტული თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის გათვალისწინებით განთავსდა ვაკანსიები კვალიფიციურ თანამშრომელთა მოზიდვის მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge). შემუშავდა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები; ასევე განხორციელდა სხვადასხვა სასწავლო პროგრამების განხორცილების ხელშეწყობა.

ღონისძიება 6.2.2. სპეციალიზებული ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის

2014 წელს სასჯელაღსრულების სისტემის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომელთათვის მომზადდა ახალი სპეციალიზებული და პროფესიული სასწავლო პროგრამები, ასევე განახლდა არსებული სასწავლო პროგრამები რომელთა შორის აღსანიშნავია:

- გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელთათვის;
- საბაზისო პროგრამები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთათვის;
- სპეციალური სასწავლო პროგრამები უსაფრთხოების, საბადრაგო, სოციალური და სარეაბილიტაციო და სხვა სამსახურებისათვის;
- სპეციალური პროგრამები ადამიანის უფლებებისა და წამების აკრძალვის საკითხებზე;
- სასწავლო პროგრამები მსჯავრდებულთა განსაკუთრებული კატეგორიებისათვის.

ზემოაღნიშნული სასწავლო პროგრამების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში გადამზადდა სასჯელაღსრულების **1827** თანამშრომელი, პრობაციის ეროვნული სააგენტოს **371** თანამშრომელი და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის **60** თანამშრომელი.

ღონისძიება 6.3.1 სასჯელაღსრულების დაწესებულებათა განახლებული კლასიფიკაციის შესაბამისად შექმნილი სხვადასხვა რისკისა და საჭიროების დაწესებულებები

დასრულდა ლაითურის ახალი დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სარემონტო და ძირითადი სარეჟიმო კორპუსის შავი კარკასის სამშენებლო სამუშაოები.

ღონისძიება 6.3.2 სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული დაწესებულებების გარემონტება და აღჭურვა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ 2014 წელს სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ჩატარდა მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა საცხოვრებელი პირობები, კერძოდ: სარემონტო სამუშაოები ჩატარდა დაწესებულებების სამედიცინო პუნქტებში, მოეწყო პირველადი ჯანდაცვის (ოთახები, გარემონტდა საშხაპეები, საკნები, საცხოვრებელი კორპუსები, დაწესებულებების ეზოებში მოეწყო დამატებითი გამწვანების ზონები.

ღონისძიება 6.3.3 სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებულ პატიმართა კვებით უზრუნველყოფა

შენარჩუნებულია პატიმრების უზრუნველყოფა სამჯერადი კვებით, განახლებულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კვების რაციონი და განსაკუთრებული კატეგორიის მსჯავრდებულებისათვის ჩამოყალიბებულია მათ საჭიროებებს მორგებული კვების რაციონი.

ღონისძიება 6.3.4 სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებულ პატიმართა უზრუნველყოფა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისთვის საჭირო საშუალებებით

პენიტენციურ სისტემაში განთავსებული ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100% უზრუნველყოფილია რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი საჭირო საშუალებებით.

ღონისძიება 6.3.5 მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა

გრძელვადიანი ვიზიტებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა შეიქმნა სასჯელაღსრულების **N3** დაწესებულებაში. ასევე **N12** დაწესებულებაში, სადაც შესაძლებელია ერთდროულად განხორციელდეს სამი გრძელვადიანი შეხვედრა.

ღონისძიება 6.3.6 თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრების და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად მოძიების, მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პაემნების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით მომსახურების გაუმჯობესება

დასრულდა მშენებლობა და ექსპლუატაციაში შევიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N11 დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღები, ხოლო N14 დაწესებულებაში მისაღების მშენებლობა დაიწყება და დასრულდება 2015 წელს.

ღონისძიება 6.3.7 პენიტენციური ჯანდაცვა

პირველადი პენიტენციური ჯანდაცვის მოდელი დანერგილია სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში. პირველადი ჯანდაცვის /ამბულატორიულ დონეზე განხორციელდა 214 567 ვიზიტი;

დაიწყო C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა. 8711 პატიმარს ჩაუტარდა სკრინინგი C ჰეპატიტზე, ხოლო 180 პაციენტმა წარმატებით დაასრულა C ჰეპტიტის მკურნალობის კურსი;

სტანდარტული სიკვდილიანობის მაჩვენებელი (SMR) ყოველ 10.000 ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე - 27.

ღონისძიება 6.4.1 მსჯავრდებულთა შრომის შესაძლებლობების გაზრდისათვის საწარმოო ზონების და მინი დასაქმების კერების შექმნა დაწესებულების ტერიტორიაზე

2014 წელს დასრულდა N16 დაწესებულების მიმდებარე საწარმოო ზონის სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპი, ხოლო ექსპლუატაციაში მიღება იგეგმება 2015 წელს.

პატიმრობის კოდექსი ითვალისწინებს საწარმოების ფუნქციონირებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში დასაქმდა **865 მსჯავრდებული**, ხოლო 2013 წელს დასაქმდა 464 მსჯავრდებული.

ღონისძიება 6.4.2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განათლების მიღების შესაძლებლობა/სახელობო კურსების დანერგვის მეშვეობით

საანგარიშო პერიოდში პროფესიულ სასწავლო პროგრამებში ჩართული იყო 1303 მსჯავრდებული. აქედან სახელობო/პროფესიულ კურსებში 625 მსჯავრდებული, ხოლო სატრენინგო/კომპიუტერის სასწავლო კურსებში 678 მსჯავრდებული. პროფესიულ პროგრამებში სერთიფიცირებულ იქნა 960 მსჯავრდებული (625 სახელობო/პროფესიული; 335 სატრენინგო/კომპიუტერული).

ღონისძიება 6.4.3 მსჯავრდებულებთან მიმართებაში ინდივიდუალური მიდგომების შემუშავება

სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პილოტირება დაიწყო სასჯელაღსრულების **N5 და N6** დაწესებულებებში. ამასთან, მსჯავრდებულთა მიმართ ინდივიდუალური მიდგომებთან მიმართებით ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- ტრენინგი სოციალური მუშაკის უნარ-ჩვევებში - გადამზადდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის **164 სოციალური მუშაკი** ;
- სპეციალიზებული ტრენინგი რისკებისა და საჭიროებების შეფასების საკითხებზე- გადამზადდა 24 თანამშრომელი;

მიზანი 6.5 პირობით ვადამდე გათავისუფლება, მაჩვენებლის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციასთან მიახლოება და ადგილობრივი საბჭოს საქმიანობა

პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოსა და მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა განახლდა (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენელი ჩაანაცვლა უმაღლესი საგანმანათლებლო/ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა). ამასთან, გაიზარდა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოების რაოდენობა ხუთამდე, მათ შორის შეიქმნა ქალ პატიმართა საქმეების განმხილველი საბჭო. ასევე გაიზარდა ზეპირი მოსმენის სხდომების რაოდენობა.

გაიზარდა დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის მაჩვენებელი.

მუდმივმოქმედი კომისიის შეკრებისა და შესაბამისად, განხილული საქმეების რაოდენობა შემცირდა. მოხდა საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება მუდმივმოქმედი კომისიის გაუქმების მიზნით;

ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილება პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმების უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით.

ღონისძიება 6.6.1 პატიმართა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების შესახებ საჩივრების, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან მიმართებაში

პატიმართა უფლებების შესახებ მომზადდა და დაიბეჭდა **912** ბროშურა მოთხოვნის შესაბამისად. ასევე, 2014 წლის ბოლოს მომზადდა ბროშურა განახლებული რედაქციით პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად.

ღონისძიება 6.6.2 პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა

საანგარიშო პერიოდში ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მოთხოვნისამებრ, შესაბამის ადრესატებთან გაიგზავნა 8329 კონფიდენციალური საჩივრის კონვერტი.

მიზანი 6.7 სად-ის მონიტორინგის სამმართველოს ინსტიტუციონალური განვითარება

2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების 14 დაწესებულებაში განხორციელდა გეგმური-სრული მონიტორინგი. საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სამმართველოში მიღებული და განხილულ იქნა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 653-მდე საჩივარი/განცხადება. პერიოდულად ხორციელდებოდა არაგეგმური მონიტორინგი, კერძოდ 2014 წლის განმავლობაში განხორციელდა 132 არაგეგმური ვიზიტი.

IX. პრობაციის სისტემის რეფორმა

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ პრობაციონერთა სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში და სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში ჩართვამ შეამცირა პირობით მსჯავრდებულებს შორის განმეორებითი დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებელი, რამაც საანგარიშო პერიოდში **637 (4,2%)** ერთეული შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 878 ერთეულით ნაკლებია.

რისკის შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური გეგმიდან გამომდინარე გამოცხადების რეჟიმი შეუმსუბუქდა **420** პირობით მსჯავრდებულს.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველმა მუდმივმოქმედმა კომისიამ, პირობითი მსჯავრი გაუუქმა და ნასამართლობა მოუხსნა **147** პირობით მსჯავრდებულს.

გამოსაცდელი ვადის გასვლით დასრულდა საქმეთა **93,5%.** (აღნიშნულ მაჩვენებელში შესულია შეწყალების მონაცემები).

მიზანი 7.1 პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება

2014 წლის პირველ ნახევარში ამოქმედდა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება.

2014 წელს, პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის მიზნით, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, **სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო,** რომელიც პრობაციონერთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ყველა რეგიონში ახორციელებს სერვისებს, რაც ხელს უწყობს პრობაციონერთა რეაბილიტაციას და ამცირებს რეციდივის რისკებს. სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო დაკომპლექტდა საჯარო კონკურსის შედეგად შერჩეული თანამშრომლებით, მათ შორის დასაქმდა 33 სოციალური მუშაკი და 11 ფსიქოლოგი.

პრობაციის სისტემაში ეფექტურად ფუნქციონირებს მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა, საჭიროებიდან გამომდინარე პერმანენტულად მიმდინარეობს ბაზის განახლება და დახვეწა.

პრობაციის სისტემაში დასრულდა პირობით მსჯავრდებულთა სააღსრულებო საქმეების ელექტრონული არქივის შექმნა.

ღონისძიება 7.1.1 პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები
საანგარიშო პერიოდში 99 ერთეულით გაიზარდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა რაოდენობა და შეადგინა 324 საშტატო ერთეული.

ღონისძიება 7.1.4 პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირება ისე, რომ ქვეყნის მასშტაბით, ერთ პრობაციის ოფიცერი საშუალოდ 150-მდე პრობაციონერის საქმეს აწარმოებდეს
2014 წლის განმავლობაში შემცირდა ოფიცერთა დატვირთვა. ქვეყნის მასშტაბით ოფიცერს, საშუალოდ წარმოებაში აქვს 70 საქმე, რაც შესაძლებელს ხდის, რომ უფრო აქტიურად განხორციელდეს პრობაციონერებთან ინდივიდუალური მუშაობა.

ღონისძიება 7.1.5 პრობაციის სამსახურის ფინანსური ადმინისტრირების სისტემის შეფასება და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება
პრობაციის ეროვნული სააგენტო მუდმივად ახორციელებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა ტრეინინგ პროგრამებს. საანგარიშო პერიოდში ყველა ოფიცერმა, სოციალურმა მუშაკმა, ფსიქოლოგმა და ცენტრალური ოფისის თანამშრომლებმა გაიარა სხვადასხვა სახის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო კურსები, მათ შორის:

- განრიდებისა და მედიაციის პროგრამა;
- ლიდერის უნარ-ჩვევების ტრენინგი;
- მენტორთა ტრენინგი;
- ჯანსაღი გარემოს შექმნა და დაავადებათა პრევენცია დახურული ტიპის დაწესებულებებში;
- სრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებთან მუშაობის სპეციფიკა, საქმისწარმოების ახალი წესი;
- არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებთან მუშაობის სპეციფიკა, საქმისწარმოების ახალი წესი;
- ძალადობრივი ქცევისა და დამოკიდებულებების მოდიფიკაცია;
- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ყველა თანამშრომელმა გაიარა საბაზისო ტრენინგი;
- სარეაბილიტაციო სამმართველოს ყველა თანამშრომელმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი;
- პრობაციის ყველა ახალმა ოფიცერმა გაიარა საბაზისო ტრენინგი.

ღონისძიება 7.1.6 პრობაციის სამსახურის სტრუქტურისა და პერსონალის როლის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა; სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების პროცედურის განსაზღვრა. სააგენტოს თანამშრომელთათვის ხელფასის ზრდა
საანგარიშო პერიოდში 99 ერთეულით გაიზარდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა რაოდენობა და შეადგინა 324 საშტატო ერთეული.

ღონისძიება 7.1.7 ცენტრალურ დონეზე ადამიანური რესურსების საკითხების კოორდინატორების დანიშვნა

ცენტრალურ დონეზე, ადამიანური რესურსების საკითხების კოორდინატორად დანიშნულია 2 პირი.

ღონისძიება 7.1.8 თანამშრომელთა სწავლების გაუმჯობესება: პრობაციის სამსახურის ტრეინინგის სტრატეგიის და ყოველწლიური ტრეინინგის გეგმების შემუშავება; ტრეინინგის მოდულების სტანდარტების შემუშავება, მიღება და გამოყენება; სასწავლო პროგრამების პერიოდული შეფასება და განვითარება; პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა და სტაჟიორ ოფიცერთა მომზადება შემუშავებული ტრენინგ-მოდულების მიხედვით

ყველა ოფიცერს გავლილი აქვს საბაზისო ტრენინგი. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით დგება ყოველწლიური ტრენინგ გეგმა. გეგმის მიხედვით პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა წლის განმავლობასი გაიარეს სასწავლო პროგრამები შემდეგ საკითხებზე:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
2. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება;
3. სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა;
4. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამა EFLOW;
5. მსჯავრდებულთა მონაცემების ელექტრონული ბაზის მართვა-წარმოება;
6. პრაქტიკული მეცადინეობები;
7. საქართველოს კონსტიტუცია;
8. მენტორინგი პრობაციის სისტემაში;
9. პატიმრობის ალტერნატივებთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტები;
10. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
11. ეფექტური კომუნიკაცია და შეფასება;
12. ეფექტური კომუნიკაციის კომპონენტები;
13. აღქმის უნიკალური ხერხები;
14. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;
15. პირველადი სამედიცინო დახმარება;
16. განრიდება და მისი კონცეფცია;

ღონისძიება 7.1.9 არასრულწლოვნებთან კოორდინირებულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პრობაციის ოფიცრების დანიშვნა

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და მათთან სამუშაოდ გამოყოფილია სპეციალურად გადამზადებული 12 ოფიცერი.

მიზანი 7.2 - საკანონმდებლო ბაზის განვითარება

2014 წელს კანონში „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ შევიდა ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს:

- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მხრიდან გამოვლენილი კარგი ყოფა-ქცევის შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ (ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი; მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ 2/3; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ 3/4) დაწესებულების დირექტორს შეუძლია წარდგინებით მიმართოს სასამართლოს მსჯავრდებულისთვის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების თაობაზე;
- თუ მსჯავრდებულს საქართველოს ტერიტორიაზე არ გააჩნია ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი, სასამართლოში (პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიაში ან ადგილობრივ საბჭოში) აღსრულების აქტის მიღებისას, მან უნდა მიუთითოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ის ტერიტორიული ორგანო, რომელშიც აღნიშნული პირი გამოცხადდება.

ღონისძიება 7.2.1 პრობაციის საკანონმდებლო ბაზის შეფასება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და რეკომენდაციების მომზადება

ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება პრობაციის კანონმდებლობის განახლება (დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ ღონისძიება 7.2.2.

ღონისძიება 7.2.2 შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად პრობაციის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა და მიღება

- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მხრიდან გამოვლენილი კარგი ყოფა-ქცევის შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ (ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი; მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ 2/3; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ 3/4) დაწესებულების დირექტორს შეუძლია წარდგინებით მიმართოს სასამართლოს მსჯავრდებულისთვის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებიდან ვადაზე ადრე

გათავისუფლების თაობაზე (ცვლილება ძალაში შევიდა 2014 წლის 30 აპრილს);

- თუ მსჯავრდებულს საქართველოს ტერიტორიაზე არ გააჩნია ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი, სასამართლოში (პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიაში ან ადგილობრივ საბჭოში) აღსრულების აქტის მიღებისას, მან უნდა მიუთითოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ის ტერიტორიული ორგანო, რომელშიც აღნიშნული პირი გამოცხადდება (ცვლილება ძალაში შევიდა 2014 წლის 30 აპრილს).

ღონისძიება 7.2.3 ახალი ალტერნატიული სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – პატიმრობის კანონის 681მუხლი) ტესტირება და პილოტირება (საცდელი ღონისძიების გატარება) პრობაციის სააგენტოს მიერ

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ხორციელდება ალტერნატიული სასჯელების მონიტორინგი. 2014 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღსასრულებლად შემოვიდა **1397** საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის საქმე და აღსრულდა **1160** საქმე.

საანგარიშო პერიოდში სააგენტომ სხვადასხვა რეგიონში 4887 პირობით მსჯავრდებული ჩართო ფსიქო-სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ კულტურულ ღონისძიებებში. მათ შორის:

- ფსიქო-სოციალური პროგრამები გაიარა 1665 პირობით მსჯავრდებულმა;
- საგანმანათლებლო პროგრამებში ჩაერთო 807 პრობაციონერი;
- საზოგადოებრივ-კულტურულ ღონისძიებაში ჩართული იყო 2315 პირობით მსჯავრდებული.

ღონისძიება 7.2.4 არასრულწლოვანთა საქმეებზე პილოტირებული სქემების განხორციელებით, პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიებში და სასჯელის მისჯამდე პრობაციის სოციალური მუშაკების ჩართულობის მექანიზმების შემუშავება

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და მათთან სამუშაოდ გამოყოფილია სპეციალურად გადამზადებული 12 ოფიცერი, ასევე 33 სოციალური მუშაკი და 11 ფსიქოლოგი. ამავდროულად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 11 სოციალური მუშაკი და 56 ოფიცერი ჩართული იყო განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში.

მიზანი 7.3 ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება

პრობაციის სისტემაში ეფექტურად ფუნქციონირებს მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა, ყველა ოფისში რეგისტრაცია მიმდინარეობს დაქტილოსკოპიური აპარატის გამოყენებით.

ღონისძიება 7.3.1 საქმის წარმოებისთვის სპეციალური ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, გამოყენება (დანერგვა) და რეგულარული განახლება

პრობაციის სისტემაში ეფექტურად ფუნქციონირებს მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომლის განახლება და დახვეწა ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე. შეიქმნა არასრულწლოვანთა საქმის წარმოების ელ-სისტემა.

ღონისძიება 7.3.2. თითის ანაბეჭდების რეგისტრაციის სისტემის პილოტირება და გამოყენება (დანერგვა)

პრობაციის ყველა ოფისში დანერგილია თითის ანაბეჭდით რეგისტრაცია.

ღონისძიება 7.3.3. მსჯავრდებულებზე რისკის-შეფასების ინსტრუმენტისა და ინდივიდუალური გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება, პილოტირება შესაბამისი ტრეინინგების მხარდაჭერით

პრობაციის ბიუროებში წარმატებით მიმდინარეობს რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიით მუშაობა. აღნიშნული მეთოდოლოგიით მუშაობა მიმდინარეობს პრობაციონერთა საერთო რაოდენობის 83,4%–ის მიმართ (არასრულწლოვნები 85,7%, ქალები 89%).

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით 100-მდე პირობით მსჯავრდებულმა გაიარა უფასო სამედიცინო გამოკვლევა.

კონკურსის წესით შერჩეულ 3 პირობით მსჯავრდებულს, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ დაუფინანსა სწავლება, თითოეულს 2250 ლარის ფარგლებში.

პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ, კონკურსის წესით შერჩეული საუკეთესო 3 პირობითი მსჯავრდებულის ბიზნეს პროექტის ავტორი დააფინანსა 3000-დან 7000 ლარამდე ოდენობით.

ღონისძიება 7.3.4 პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობენ მსჯავრდებულებთან

ყველა პირობით მსჯავრდებულთან მუშაობა მიმდინარეობს რისკებისა და საჭიროებებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მეთოდოლოგიით.

ღონისძიება 7.3.5 საქმის წარმოების სისტემის დანერგვა; სახელმძღვანელოს შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სტანდარტული სამუშაო პროცესი (პროცედურები) და შესაბამისი ტრეინინგების ჩატარება

სააგენტოში დაინერგა და წარმატებულად ფუნქციონირებს საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა, რომელიც საანგარიშო პერიოდში განახლდა საქმის წარმოების ახალი წესის დანერგვის შესაბამისად

ღონისძიება 7.3.6. საზოგადოებრივი სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის) დაკისრების იმპლემენტაციის გაუმჯობესება

2014 წლის განმავლობაში სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმიდან გამომდინარე, იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციით დასაქმდა 145 პრობაციონერი.

ღონისძიება 7.3.7. საზოგადოებრივი სანქციების იმპლემენტირებისა და ეფექტურობის (ასევე საზოგადოებრივი სანქციების ღონისძიებების გატარების) თაობაზე რეგულარული ინფორმაციის არსებობა და ხელმისაწვდომობა

რეგულარულად ვრცელდება ინფორმაცია პირობით მსჯავრდებულთა სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობის შესახებ, ასევე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სტატისტიკა.

ღონისძიება 7.3.8. სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და პრობაციას შორის კავშირის გაუმჯობესება რეგულარული შეხვედრებით, გაუმჯობესებული ინფორმაციის გაცვლითა და თანამშრომლობით

სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მომართვის საფუძველზე პირობით ვადამდე განთავისუფლების კომისიისათვის ამზადებენ არასრულწლოვნის ოჯახის შეფასებას.

მიზანი 7.4 სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება

პრობაციონერთა საჭიროებების უზრუნველყოფისა და ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელს ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა სხვადასხვა პროფილურ ორგანიზაციებთან (საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰილფსვერკ ავსტრია“ და იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, „სოციალური მომსახურების სააგენტო“, სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი „ახალი გზა“, დაცული ტერიტორიების სააგენტო, „კავშირი ადამიანებისთვის, განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“).

ღონისძიება 7.4.1. სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს გამართული ფუნქციონირება

პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის მიზნით, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, **სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო**, რომელიც პრობაციონერთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ყველა რეგიონში ახორციელებს სერვისებს, რაც ხელს უწყობს პრობაციონერთა რეაბილიტაციას და ამცირებს რეციდივის რისკებს. სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ხელშეწყობით, ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამები გაიარა 1665

პირობით მსჯავრდებულმა; პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული იყო 807 პირობით მსჯავრდებული.

ღონისძიება 7.4.2. შერჩეული პრობაციონერთა ჯგუფისათვის არასამთავრობო ორგანიზაციის სექტორთან თანამშრომლობით სულ მცირე ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავება და პილოტირება

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სარეაბილიტაციო პროგრამები:

- პროექტი „საზოგადოებაში დაბრუნების ხელშეწყობა: სოციალური ბიუროების დაარსება ყოფილი პატიმრების, პატიმრებისა და პრობაციონერებისთვის“. განმახორციელებელი: საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა" (აჭარა, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი);
- პროექტი პატიმარ, პრობაციონერ და ყოფილ მსჯავრდებულ ქალთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა კანონმორჩილი ცხოვრებისათვის; განმახორციელებელი: საქართველოს ასოციაცია “ქალი და ბიზნესი“ (სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი, იმერეთი, შიდა ქართლი);
- პროექტი „ინტეგრირებული ტრენინგი, მენტორობა და სოციალური საწარმოები მდგრადი რეაბილიტაცია და რესოციალიზაციისათვის“; განმახორციელებელი: *Hilfswerk Austria International &* იძულებით გადაადგილებულ ქალთა (იგპ) ქალთა ასოციაცია "თანხმობა“ (შიდა ქართლი);
- პროექტი „ყოფილი პატიმრების, პატიმართა ოჯახებისა და პრობაციონერების რეაბილიტაციის კამპანია“; განმახორციელებელი: დემოკრატიის ინსტიტუტი (აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი).

ღონისძიება 7.4.4 პრობაციის ოფიცრებისათვის რეაბილიტაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ტრეინინგების დაწყება

სხვადასხვა სახის რეაბილიტაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ ტრენინგებში ჩაერთო პრობაციის 32 ოფიცერი.

მიზანი 7.5 - უწყებათა შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ დაბეჭდა პრობაციონერთა უფლება-მოვალეობების გასაცნობი 30000 ფლაერი, რომლებიც პირობით მსჯავრდებულებს გადაეცემათ სასჯელის მისჯის შემდეგ: 300 ერთეული ორენოვანი ჟურნალი „6 თვის ანგარიში“, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების საინფორმაციო ბუკლეტი 400 ერთეული.

2014 წლის განმავლობაში პრობაციის სისტემის სიახლეები აქტიურად შუქდებოდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ და facebook-ის გვერდებზე, ინტერნეტ საინფორმაციო გვერდების მეშვეობით ინტენსიურად ვრცელდებოდა პრობაციის სისტემის

სიახლეები, სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემებში პრობაციის შესახებ გავიდა რამდენიმე სიუჟეტი, ასევე სხვადასხვა ცენტრალური და რეგიონული ტელევიზიები აქტიურად აშუქებდნენ პრობაციის ეროვნული სააგენტოს აქტივობებს.

ღონისძიება 7.5.1 უწყებათაშორის კოორდინაციის გაუმჯობესებისთვის რეფორმის სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის შექმნილ შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა

პრობაციის ეროვნული სააგენტო პერმანენტულად მართავს პრობაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს. სააგენტო ასევე ჩართულია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფში; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში; დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფში; არასრულწლოვანთა დელინქვენტობის კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფში. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია რესოციალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფში.

ღონისძიება 7.5.2 ყოველწლიურად რეგულარული მრგვალი მაგიდების მოწყობა რეგიონულ და სახელმწიფო დონეებზე პარტნიორების მონაწილეობით

ჟურნალისტებისთვის მოეწყო 6 თვის განმავლობაში სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის გაცნობა. ასევე სააგენტომ პრობაციის საკითხებზე ორგანიზება გაუწია საერთაშორისო კონფერენციას, სადაც მოწვეულნი იყვნენ ევროპის ქვეყნების პრობაციის სამსახურების წარმომადგენლები. ღონისძიება ფართოდ გაშუქდა მედიის სხვადასხვა საშუალებებით.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტელე-რადიო თემატურ გადაცემებში.

ღონისძიება 7.5.3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის ინიცირება – მუდმივად განახლებული ინფორმაციის მედიისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

მუდმივად ხდება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდისა და facebook გვერდის განახლება. სიახლეების შესახებ რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს.

X. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა

მიზანი 8.1 კანონმდებლობის დახვეწა

ღონისძიება 8.1.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავება

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის სამინისტრომ ქართველი და უცხოელი ექსპერტების, ასევე ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) რეკომენდაციების საფუძველზე, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით შეიმუშავა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი. ახალი კოდექსი ერთ საკანონმდებლო აქტში აერთიანებს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პროცესის, სასჯელაღსრულების და სხვა საკითხების მარეგულირებელ ნორმებს, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა კანონმდებლობის სიმარტივეს და განჭვრეტადობას. ასევე, დაინერგება არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ახალი მექანიზმები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით 2014 წლის სექტემბრის დასაწყისში გაიგზავნა საერთაშორისო ექსპერტიზაზე. სექტემბრის ბოლოს იუსტიცის სამინსიტრომ უზრუნველყო ექსპერტის მიერ მოწოდებული კომენტარების კოდექსის პროექტში ასახვა. პროექტი გადაიგზავნა პასუხისმგებელ უწყებებთან (მთავარი პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, მთავრობის კანცელარია) დამატებით კომენტარებისა და შენიშვნების წარმოდგენის მიზნით.

ღონისძიება 8.1.4 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთათვის მომსახურების მიწოდების სტანდარტების დამტკიცება

იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის კოორდინაციით შემუშავდა სტანდარტები ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურების მიმწოდებელთათვის, რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ან დევიაციური ქცევის მოზარდებთან. აღნიშნული სტანდარტები დამტკიცდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2014 წლის 8 ივლისს.

ღონისძიება 8.1.5 პატიმრობის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანა

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების პროექტები მომზადებულია.

ღონისძიება 8.1.6 ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აკრძალვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დახვეწა საჭიროებისამებრ

საქართველოს მთავარი პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდნენ იუსტიციის სამინისტროსთან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტის შემუშავების პროცესში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი ორიენტირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე და შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც გამორიცხავს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას არასრულწლოვნის მიმართ ნებისმიერი სახის ზეწოლის, ძალადობის განხორციელების შესაძლებლობას.

ღონისძიება 8.1.7 მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვნებთან მომუშავე პროფესიონალების ქცევის მარეგულირებელი ნორმების, ეთიკის ნორმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გადასინჯვა

საანგარიშო პერიოდში მთავარი პროკურატურის მიერ შეიქმნა სახელმძღვანელო არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორებისთვის, რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს არასრულწლოვნებთან მუშაობის სპეციფიკის შესახებ. სახელმძღვანელოში მოცემულია მითითებები არასრულწლოვნის განრიდების, მედიაციის საკითხებთან დაკავშირებით; მასში განზოგადებულია საერთაშორისო რეგულაციებით და შიდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რომელთა დაცვა პროკურორებისთვის სავალდებულოა. სახელმძღვანელოში მოცემულია ასევე არასრულწლოვანთა დაკითხვის მეთოდოლოგია, რომელიც საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში არასრულწლოვანთა მიმართ მათი ასაკის, განვითარების დონის და სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებით, განსაკუთრებულ მიდგომებს აწესებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, 2013 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი პოლიციის შესახებ, რომლის ნორმები სრულ შესაბამისობაშია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან. ამავე წლის 31 დეკემბერს, დამტკიცდა „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №999 ბრძანება. შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური ინსპექციის და სხვა არსებული მონიტორინგის მექანიზმების საშუალებით უზრუნველყოფს აღნიშნული აქტებით განსაზღვრული ნორმების აღსრულებას და დარღვევაზე რეაგირებას.

საანგარიშო პერიოდში მოხდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ არასრულწლოვნებთან მომუშავე პროფესიონალების ქცევის მარეგულირებელი ნორმების, ეთიკის ნორმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებენ ცვლილებებს. მომზადდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებისათვის (პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) პროფესიული ეთიკის სტანდარტებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის აღწერილობა და განისაზღვრა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან

არასრულწლოვნებთან მომუშავე სამივე სპეციალისტი, ასევე გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ წარმომადგენლები.

ღონისძიება 8.1.9 ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის კონცეფციის შემუშავება
საანგარიშო პერიოდში მთავარ პროკურატურაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო ხელისუფლებასთან თანამშრომლობით მუშაობს ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის კონცეფციის შემუშავებაზე.

მიზანი 8.2. დანაშაულის/სამართალდარღვევის და ძალადობის პრევენცია

ღონისძიება 8.2.1 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის დამტკიცება
საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის კოორდინაციით, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შეიქმნა პრევენციის ქვეჯგუფი. აღნიშნული ქვეჯგუფის ფარგლებში განახლდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და შემუშავდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. სამოქმედო გეგმაზე მუშაობა გრძელდება და განახლებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დამტკიცდება სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ.

ღონისძიება 8.2.2 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკოორდინაციო მექანიზმის (რეფერალური მექანიზმის) განვითარება
საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა პრევენციის ქვეჯგუფი. აღნიშნული ქვეჯგუფის ფარგლებში, დანაშაულის პრევენციის ცენტრის კოორდინაციით განახლდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და შემუშავდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია.

ღონისძიება 8.2.4. დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციისა და სკოლებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მანდატურის სამსახურის როლის გაძლიერება; უსაფრთხო სკოლის პროგრამის განვითარება
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2014 წლის გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მანდატურის სამსახურის როლის გაძლიერება და უსაფრთხო პროგრამის განვითარება. ზემოაღნიშნული გეგმის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთა გადამზადება. გადამზადების კურსის მიზანი იყო მანდატურების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება დანაშაულის გამოვლენის, ადგილზე

პირველადი იდენტიფიკაციისა და შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად. გადამზადებული მანდატურები ეფექტურად უზრუნველყოფენ დანაშაულის გამოვლენას, ადგილზე პირველად იდენტიფიკაციასა და შემდგომი რეაგირებისათვის სუბიექტის გადამისამართებას სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში;

ღონისძიება 8.2.5. ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების და საკოორდინაციო მექანიზმის დახვეწა

საანგარიშო პერიოდში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებისა და საკოორდინაციო მექანიზმის დახვეწის ფარგლებში სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა მოამზადა დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და მოზრდების გამოვლენისათვის საჭირო პროცედურების, კრიტერიუმებისა და განსახორციელებელი მოქმედებების მარეგულირებელი დოკუმენტის პროექტი. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეიმუშავეს და დაამტკიცეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობასთან დაკავშირებული (რეფერირების) შიდა წესები. სკოლებში დაინიშნა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებზე პასუხისმგებელი პირები - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, მანდატურის არარსებობის შემთხვევაში სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე.

ღონისძიება 8.2.6. არასრულწლოვნებში სამართლებრივი განათლების გაღრმავება პროექტების და ერთჯერადი აქციებით

- *საგანი „სამართლებრივი კულტურა“*

2014–2015 წლის სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად განახლდა პროექტ „სამართლებრივი განვითარების პროგრამის“ განხორციელება საქართველოს 34 საჯარო სკოლაში. პროექტი ითვალისწინებს წინასწარ შედგენილი საგნის: „სამართლებრივი კულტურის“ სწავლებას შერჩეული სკოლების მე-9 კლასელთათვის. აღნიშნული საგნის სწავლება მიმდინარეობს სამართალდამცველისა და სკოლის პედაგოგის ერთობლივი აქტივობით. გაკვეთილები ინტერაქტიულია, მოიცავს როლურ თამაშებს და გამიზნულია მოსწავლეებში სამართლის და მართლმსაჯულების სფეროში მათი უფლებების და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნის ამაღლებისკენ. საგანი შედგება შემდეგი თემებისგან:

- არასრულწლოვანი და კანონი,
- ძალადობა (ძალადობა ოჯახში, „ბულინგი“ სკოლებში);
- მავნე ჩვევები და მათი სახიფათო შედეგებისგან თავდაცვა,
- ორგანიზებული დანაშაული (ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით და იარაღით უკანონო ვაჭრობა)
- სასამართლო სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნული საგანი გაიარა 2000–ზე მეტმა მოსწავლემ.

- *საჯარო სკოლებში ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია*

ოჯახში ძალადობის და ოჯახური ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებით ახალგაზრდა თაობის უკეთ ინფორმირების მიზნით, თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები გაიმართა საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. იმისათვის, რომ შეხვედრები ეფექტური ყოფილიყო შეიქმნა შსს-ს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომდგენლებითა და ფსიქოლოგით დაკომპლექტებული ჯგუფი.

ინტერაქტიული შეხვედრები 2014 წლის საანგარიშო პერიოდში, თბილისის 18 საჯარო სკოლაში და რეგიონის 5 საჯარო სკოლაში გაიმართა. სკოლასთან ერთად შეხვედრები გაიმართა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან, თბილისისა და რეგიონებში შეხვედრები ჩატარდა 10 უმაღლეს სასწავლებელში.

საანგარიშო წლის განმავლობაში, განხორციელდა სკოლის მოსწავლეების ვიზიტები, შსს აკადემიის, საექსპერტო – კრიმინალისტიკური, საგანგებო სიტუაციების მართვის „112“ და რაიონული განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობებში; სადაც შსს თანამშრომლებმა მოსწავლეებს გააცნეს პოლიციის მუშობის სპეციფიკა და დანაშაულის გამოვლენა, გამოძიების და აღმოფხვრის თანამედროვე ტექნოლოგიები.

მიზანი 8.3 სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება

ღონისძიება 8.3.1 განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განვითარება

- *არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შედეგები*

2014 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განრიდებულ იქნა 203 არასრულწლოვანი, აქედან 8 არასრულწლოვანმა ჩაიდინა განმეორებით დანაშაული. 203 განრიდებულიდან 36 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 28 მედიაციის საერთო შეხვედრა (მათ შორის 6 ჯგუფური მედიაცია, ხოლო დანარჩენი ინდივიდუალური. გარკვეულ შემთხვევებში დაზარალებულებმა უარი განაცხადეს მედიაციაში მონაწილეობის მიღებაზე).

2010 წლიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სულ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებულ იქნა 742 არასრულწლოვანი.

- *საკანონმდებლო ცვლილებები*

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიმდინარეობისას გამოიკვეთა არაერთი ხარვეზი, რის გამოც გადაწყდა შესულიყო ცვლილება „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის #216 ბრძანებაში, ასევე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის ბრძანებებში.

2014 წლის ნოემბერში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში აღმოიფხვრა ხარვეზები და პროგრამა გადავიდა ახალ ეტაპზე:

- გაუქმდა პირველად ჩადენილი დანაშაულის ცნება და პროგრამა გავრცელდა არასრულწლოვნებზე, რომლებსაც არ აქვთ ნასამართლობა და არ არიან მანამდე განრიდებულები;
- განრიდებისა და მედიაციის პროგრამა გავრცელდა მძიმე დანაშაულებზეც;
- განრიდებისა და მედიაციისათვის აუცილებელ პირობად აღარ განისაზღვრება არასრულწლოვნის მზადყოფნა, ბოდიში მოიხადოს დაზარალებულის წინაშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აანაზღაუროს ზიანი. ასევე დაზარალებულის უარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. აღნიშნული გარემოებები შესაძლებელია აისახოს ხელშეკრულების პირობად;
- მედიატორი ადრეულ ეტაპზე ჩაერთვება განრიდებისა და მედიაციის პროცესში. როგორც კი პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას განარიდოს არასრულწლოვანი, მედიატორი ხვდება დაზარალებულს, უხსნის პროგრამის არსს და სთავაზობს მიიღოს მონაწილეობა მედიაციაში;
- დაიხვეწა პროცედურები: პროგრამაში ჩართულ პროფესიონალებისათვის დაწესდა ვადები და არსებული ვადები გაიზარდა პრაქტიკის მიხედვით გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად;

- *პროგრამის საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესება*

საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით, 2014 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა რეგიონალური სამუშაო შეხვედრები განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისათვის (პროკურორები, სოციალური მუშაკების/პრობაციის ოფიცრები, მედიატორები). სულ ჩატარდა 3 შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 85-მდე პროფესიონალმა, მათ შორის 35-მდე სპეციალიზებულმა პროკურორმა, 35-მდე სოციალურმა მუშაკმა/პრობაციის ოფიცერმა და 11-მა მედიატორმა. თითოეული შეხვედრის ხანგრძლივობა იყო 3 დღე. ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრებმა ხელი შეუწყო ადგილობრივ დონეზე განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალების საკოორდინაციო და, მათ შორის, კომუნიკაციის მექანიზმების

გაძლიერებას. შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები. სამუშაო შეხვედრების ნაწილი დაეთმო პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ნაწილი კი მათ შორის კომუნიკაციის გაღრმავებას.

2014 წლის დეკემბერში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის 4 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სადაც შეჯამდა გასული წლის შედეგები და განხილულ იქნა ეს შედეგები გასული 4 წლის შედეგებთან მიმართებაში. ასევე, დაჯილდოვდნენ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 2014 წლის საუკეთესო პროკურორები, სოციალური მუშაკები და მედიატორები. ამავე შეხვედრაზე დასახული იყო სამომავლო გეგმები, განხილულ იქნა პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემები და დაისახა მათი გადაჭრის გზები.

- ***პროგრამაში ჩართული პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლება***

განრიდებისა და მედიაციის საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერებისა და პროგრამაში მონაწილე პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ორგანიზებით და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით 2014 წლის მაისის ჩათვლით ჩატარდა ტრეინინგები. კერძოდ, 2014 წლის 30 იანვარიდან 4 თებერვალამდე განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე თბილისში მომუშავე პროკურორებისათვის, მედიატორებისათვის და სოციალური მუშაკებისათვის ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც დაესწრო პროგრამაში ჩართული 50 პროფესიონალი. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მოხდა მათთვის პროგრამის შედეგების წარდგენა, ამავე ტრენინგში გათვალისწინებული იყო პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სპეციალური სესიების ჩატარება.

2014 წლის 7-8 მარტს დანაშაულის პრევენციის ცენტრში ჩატარდა ტრენინგი მედიატორებისათვის, რომლის ფარგლებშიც კვალიფიკაცია აიმაღლა დანაშაულის პრევენციის ცენტრის 11-მა მედიატორმა და პროგრამის მენეჯერებმა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მედიატორების მომზადებას სამომავლო ცვლილებებისათვის.

2014 წლის მარტში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა განრიდებისა მედიაციის პროგრამაში ჩართული რაიონული პროკურორებისა და პრობაციის ბიუროს უფროსებისათვის, რომლსაც ესწრებოდა 32 მენეჯერული პოზიციის მქონე პროკურორი და 12 პრობაციის ბიუროს უფროსი. ამავე შეხვედრას დაესწრნენ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორი, მთავარი პროკურორის მოადგილე და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი. შეხვედრა გაიმართა ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში 27-31 მარტს 2 ნაკადად.

2014 წლის 14-16 მაისს PH International-თან თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი მედიატორებისათვის, რომელსაც უძღვებოდნენ ამერიკელი ექსპერტები - ემი ჰალოვეი (ვერმონტის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაზარალებულთა სერვისების პროგრამების დირექტორი) და ქეით სირლსი ბრაიტონი (საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის დირექტორი). ტრენინგს ესწრებოდა 11 მედიატორი, 3 სოციალური მუშაკი და განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯმენტის წარმომადგენლები. ტრენინგზე ამერიკელმა ექსპერტებმა თავიანთი გამოცდილება და ცოდნა გაუზიარეს ქართველ მედიატორებს, განიხილეს რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა მათი პრაქტიკიდან და შემდეგ როლური თამაშის საშუალებით მედიტორებმა თავად დაინახეს პრაქტიკაში როგორ გამოიყენება მედიაციის ამერიკული მოდელი. შეხვედრაზე ასევე წარიმართა საინტერესო დისკუსია საქართველოში მათი გამოცდილების დანერგვის საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტებმა ამავე ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართეს სისხლის სამართლის რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან.

- *განრიდებული არასრულწლოვნებისათვის სერვისების გაუმჯობესება*

საანგარიშო პერიოდში, იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა კანონთან კონფლიქტში მყოფი და დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე არასრულწლოვნების რესოციალიზაციის მხარდამჭერი საგრანტო პროგრამა. საგრანტო კონკურსში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციები განახორციელებენ შემდეგ პროექტებს რეგიონებში:

- პროექტი „ ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდაჭერა“ - აჭარის რეგიონი (ბათუმი), სამეგრელოს რეგიონი (ზუგდიდი), იმერეთის რეგიონი (ქუთაისი), შიდა ქართლის რეგიონი (გორი);
- პროექტი „ ელექტრონული წიგნის პროგრამა“ - თბილისი;
- დანაშაულის გაცნობიერებაზე მიმართული პროგრამა - თბილისი.

ღონისძიება 8.3.2 მედიაციის მექანიზმის განვითარება და მისი გამოყენების გაფართოება სამართალწარმოების სხვა ეტაპებზე

2014 წელს თბილისში, ნაძალადევის რაიონში გაიხსნა მედიაციის სახლი, რომელიც არის სპეციალური სივრცე მედიატორებისათვის მედიაციის მოსამზადებელი შეხვედრებისა და მედიაციის კონფერენციის გასამართად. ამავე სივრცეში განთავსდა სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის განრიდებისა და მედიაციის სამმართველო.

დანაშაულის პრევენციის ცენტრი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუშაობდა მედიაციის სფეროს განვითარების პერსპექტივების შეფასებაზე. პირველ ეტაპზე დაგეგმილია მედიაციის ინსტიტუციონალური განვითარება სისხლის სამართლის სფეროში, ხოლო შემდგომი ეტაპი იქნება საოჯახო მედიაციის სფეროს განვითარება.

განრიდებისა და მედიაციის საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერებისა და პროგრამაში მონაწილე პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ორგანიზებით და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით 2014 წლის მაისის ჩათვლით ჩატარდა შემდეგი ტრეინინგები:

- **2014 წლის 30 იანვარი - 4 თებერვალი** - განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე თბილისში მომუშავე პროკურორებისათვის, მედიატორებისა და სოციალური მუშაკებისათვის ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც დაესწრო პროგრამაში ჩართული 50 პროფესიონალი. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მოხდა მათთვის პროგრამის შედეგების წარდგენა, ამავე ტრენინგში გათვალისწინებული იყო პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სპეციალური სესიების ჩატარება;
- **2014 წლის 7-8 მარტი** - კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი მედიატორებისათვის, რომელშიც მონაწილეობდა 11 მედიატორი;
- **2014 წლის 27-31 მარტი, ყვარელი** - სამუშაო შეხვედრა განრიდებისა მედიაციის პროგრამაში ჩართული რაიონული პროკურორებისა და პრობაციის ბიუროს უფროსებისათვის, რომლსაც ესწრებოდა 32 მენეჯერული პოზიციის მქონე პროკურორი და 12 პრობაციის ბიუროს უფროსი;
- **2014 წლის 14-16 მაისი** - PH International-თან თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგები მედიატორებისათვის, რომელსაც უძღვებოდნენ ამერიკელი ექსპერტები - ემი ჰალოვეი (ვერმონტის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაზარალებულთა სერვისების პროგრამების დირექტორი) და ქეით სირლს ბრაიტონი (საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის დირექტორი). ტრენინგებზე ამერიკელმა ექსპერტებმა თავიანთი გამოცდილება და ცოდნა გაუზიარეს ქართველ მედიატორებს. ტრენინგს ესწრებოდა 11 მედიატორი, 3 სოციალური მუშაკი და განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯმენტის წარმომადგენლები;

გარდა ამისა, 2014 წელს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრმა პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ჩაატარა ერთობლივი სამუშაო შეხვედრები განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისათვის (პროკურორების, სოციალური მუშაკების/პრობაციის ოფიცრების და მედიატორების) საქართველოს ყველა რეგიონიდან. საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 3 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა 35 სპეციალიზებული პროკურორი, 35 სოციალური მუშაკი/პრობაციის ოფიცერი და 11 მედიატორი. თითოეული შეხვედრის ხანგრძლივობა იყო 3 დღე. ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრებმა ხელი შეუწყო ადგილობრივ დონეზე განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალების საკოორდინაციო და კომუნიკაციის მექანიზმების გაძლიერებას. სამუშაო შეხვედრების ნაწილი დაეთმო პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ნაწილი კი მათ შორის კომუნიკაციის გაღრმავებას.

2014 წლის დეკემბერში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის 4 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სადაც შეჯამდა გასული წლის შედეგები და განხილული იქნა ეს შედეგები ბოლო 4 წლის შედეგებთან მიმართებაში. შეხვედრაზე დაისახა სამომავლო გეგმები, განხილულ იქნა პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

მიზანი 8.4 პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში

ღონისძიება 8.4.1 არასრულწლოვან ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში N11 არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება გარდაიქმნა სარეაბილიტაციო დაწესებულებად და გაფართოვდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა წახალისების ფორმები და განახევრდა არასრულწლოვანთა ხანგრძლივი პაემნების ღირებულება. ასევე, N 11, N2 და N8 დაწესებულებებში განახლდა ინფრასტრუქტურა.

მიზანი 8.5 რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია

ღონისძიება 8.5.1 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის გამოყენების მექანიზმების დახვეწა (პენიტენციური სისტემა)

არასრულწლოვანი ბრალდებულებისათვის შემუშავდა ინდივიდუალური მიდგომების ფორმები, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის განახლდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმისა და ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების ფორმები.

ღონისძიება 8.5.2 რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმების დახვეწა (პრობაციის სისტემა)

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა დანერგილია პრობაციის სისტემაში. შეფასების მექანიზმი მოიცავს ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების კომპონენტს. შემუშავებულია მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის კონცეფცია და ფორმა; ყველა არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულისთვის შემუშავებულია რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის გათვალისწინებით, რომელიც განიხილება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.

ღონისძიება 8.5.3 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულთათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრულია პატიმრობაში მყოფი და მსჯავრდებული არასრულწლოვანთა განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რისთვისაც ხორციელდება „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის“ პროგრამა. პროგრამის ფარგლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებული

მოსწავლე ირიცხება სსიპ ქ. თბილისის N123 საჯარო სკოლაში. მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს შესაძლებლობა ეძლევათ სპეციფიურ გარემოში შეისწავლონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები.

2014 წლის მარტში ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის ექსტერნად დარეგისტრირდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი 11 მოსწავლე. აქედან 10 მსჯავრდებულთან, (რომლებიც იმყოფებოდნენ #11 არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში) გამოცდების ჩატარება უზრუნველყო სსიპ ქალაქ თბილისის №123 საჯარო სკოლამ. აღნიშნული გამოცდები დაძლია 8 მსჯავრდებულმა, პროგრამის სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე.

2014 წლის მაისში 2013-2014 სასწავლო წლის განმავლობაში XII კლასის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ექსტერნატის გამოცდებისათვის დარეგისტრირდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 3 მსჯავრდებული/ბრალდებული მოსწავლე. სამივე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და დაძლია ექსტერნატის გამოცდები.

2014 წლის მაისის თვეში უზრუნველყოფილ იქნა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეების 2013-2014 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობა. დარეგისტრირებული იყო 17 მსჯავრდებული/ბრალდებული მოსწავლე. აღნიშნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 9 მოსწავლემ (7 მსჯავრდებული, ხოლო 2 ბრალდებული), გამოცდები დაძლია 5-მა მსჯავრდებულმა და ორმა ბრალდებულმა მოსწავლემ.

2014 წლის ივლისში 2013-2014 სასწავლო წლის განმავლობაში VII-XI კლასის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის ექსტერნად დარეგისტრირდა N11 არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფი 29 არასრულწლოვანი მსჯავრდებული მოსწავლე. აღნიშნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 29 არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა. აქედან, 25-მა არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა გადალახა აღნიშნული გამოცდები.

2014 წლის ივნისში/ივლისში უზრუნველყოფილ იქნა #11 არასრულწლოვანთა სპეციალურ და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პატიმრების ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა. დარეგისტრირებული იყო 14 მსჯავრდებული/ბრალდებული მოსწავლე. აქედან, ერთმა უარი განაცხადა გამოცდებში მონაწილეობაზე, ხოლო მეორე

გათავისუფლდა, აქედან გამომდინარე, აღნიშნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 12 (7 მსჯავრდებული და 5 ბრალდებული) მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა მოსწავლემ. აღნიშნული გამოცდები გადალახეს და უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 4 პირი (აქედან 1 ბრალდებული, 1 არასრულწლოვანი მსჯავრდებული და 2 სრულწლოვანი მსჯავრდებული).

2014 წლის ნოემბერში გამოცხადდა კონკურსი ჰუმანიტარული მიმართულების პედაგოგის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნა ჰუმანიტარული მიმართულების პედაგოგი, რომელმაც სასწავლო პროცესი განახორციელა ქ. ქუთაისის N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეებისათვის.

ღონისძიება 8.5.4 თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მსჯავრდებულებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა

,,მსჯავრდებულთა ზოგადი განათლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შორის დადებული მემორანდუმის და აღნიშნულ მემორანდუმში 2014 წლის 1 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადდა ,,სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა" (დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის N141, N1254 ბრძანებებით) და მისი ერთ-ერთი ქვეპროგრამა - ,,მსჯავრდებულთა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, თავისუფლება შეზღუდული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობით მსჯავრდებული) პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა'', რომელიც ითვალისწინებს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით, მსჯავრდებულთათვის პროფესიული მომზადების პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

პროგრამის მიზანია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ასევე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სსიპ _ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებში აღრიცხვაზე მყოფი პირობით მსჯავრდებულების, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და თავისუფლება შეზღუდული მსჯავრდებულებისათვის პროფესიული მომზადების პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილ იქნა 100 000 ლარი მსჯავრდებულთა პროფესიული სწავლების მიზნით, რადგან სასჯელის მოხდის შემდეგ მათი სამოქალაქო საზოგადოებაში რეაბილიტაცია, ადაპტაცია, ინტეგრაცია და დასაქმება იქნეს უზრუნველყოფილი.

2014 წლის განმავლობაში მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში პროფესიული სწავლების კურსებში ჩართულ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა გაიზარდა 65%-ით. საანგარიშო პერიოდში პროფესიულ სწავლების კურსებში ჩართული იყო 177 არასრულწლოვანი (პროფესიული სწავლება - 134 არასრულწლოვანი, ხოლო სატრენინგო-კომპიუტერული კურსები - 43 არასრულწლოვანი).

ღონისძიება 8.5.5 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტიანად ორგანიზება

არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის დაწესებულებაში წამყვან როლს ასრულებს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისაკენ მიმართული პროგრამები, რათა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრა არასრულწლოვანის განვითარების პროცესის შეფერხების მიზეზი არ გახდეს. ამ მიზნით, არასრულწლოვანთა დაწესებულებებში დანერგილია ინდივიდუალური მიდგომის მექანიზმი. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შექმნისა და განხორციელების პროცესი მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის პრევენციისა და პატიმრობის ნეგატიური შედეგების თავიდან აცილებას. სასჯელის ინდივიდუალური გეგმა მიმართულია არასრულწლოვანის დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მისთვის განვითარების, განათლების, საჭირო უნარების ჩამოყალიბების, ფსიქო-სოციალური და სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობისაკენ.

იმისათვის, რომ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის გამოყენებით მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, პენიტენციურ სისტემაში არსებულ სხვა პროგრამებთან ერთად ხორციელდება სპეციფიური პროგრამები, რომელიც მორგებულია არასრულწლოვანთა საჭიროებებზე:

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის პროგრამა, "სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამის" ფარგლებში ხორციელდება #11 არასრუწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, N5 ქალთა პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა და პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომელიც გულისხმობს არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის განათლების სისტემაში არსებული სტანდარტისა და ეროვნული გეგმის შესაბამისი სასწავლო პროცესის განხორციელებას.

სურვილის შემთხვევაში არასრულწლოვანებს აქვთ საშუალება მოემზადონ და ჩააბარონ ექსტერნატის საატესტატო თუ ეროვნული გამოცდები;

ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამები:

- სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა არასრულწლოვნებთან;
- არტ-თერაპია;
- ბიბლიოთერაპია;
- "EQUIP" (პიროვნული უნარების განვითარება);
- ფსიქო განათლება;
- ინტელექტუალურ-შემეცნებითი ღონისძიებები - დაწესებულებაში არასრულწლოვანთა ინტერესიდან გამომდინარე ფუნქციონირებს მკითხველთა და დებატ-კლუბები;

სპორტული წრეები - არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოზარდებს აქვთ საშუალება ჩაერთონ რაგბის, ფეხბურთის, ჭადრაკის წრეში.

დაწესებულებაში მიმდინარე პროგრამები ხორციელდება, როგორც დაწესებულების სოციალური განყოფილების, ისე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ორგანიზებით. მნიშვნელოვან მხარდაჭერას ახორციელებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინიტრო. ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები:

- ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო ცენტრი „აფხაზეთი";
- ასოციაცია „ქალი და ბიზნესი";
- „წამების მსხვერპლთა დაცვისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი".

ღონისძიება 8.5.7 პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფა

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. ქუთაისის N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთისა და ქ. თბილისის N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები.

ქ. ქუთაისის N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთისა და ქ. თბილისის N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნებისთვის ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით და განათლების მიღების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა სპეციალური სასწავლო პროგრამა. აღნიშნულ დაწესებულებებში მომუშავე პედაგოგების დასაქმებას და მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2014 წლის

განმავლობაში სასწავლო პროცესს ახორციელებდა 5 პედაგოგი (ქ. ქუთაისის N2 დაწესებულებაში არსებობდა ჰუმანიტარული მიმართულების პედაგოგის ვაკანსია, აქედან გამომდინარე, 2 - პედაგოგი სწავლებას ახორციელებდა ქ. ქუთაისის N2 დაწესებულებაში, ხოლო 3 - ქ. თბილისის N8 დაწესებულებაში).

2014 წლის ნოემბრის თვეში ჰუმანიტარული მიმართულების პედაგოგის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგად, აყვანილ პედაგოგს დეკემბრის თვეში გაუფორმდა ხელშეკრულება, რომელმაც სასწავლო პროცესის განხორციელება დაიწყო ქ. ქუთაისის N2 დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვანი მოსწავლეებისათვის. სულ სასწავლო პროცესს ახორციელებდა 6 პედაგოგი. 3 ქ. თბილისის N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ხოლო 3 ქ. ქუთაისის N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. აღნიშნული დაწესებულებების სპეციფიკიდან და სამიზნე ჯგუფის წევრების განსხვავებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე (აღნიშნული დაწესებულება წარმოადგენს დროებითი მოთავსების განყოფილებას და დაწესებულებებში არასრულწლოვანთა მოთავსება ხდება მცირე დროით, რომლებსაც აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები), რიგ შემთხვევაში დგება კლას-კომპლექტის შექმნის საჭიროება. ასევე პედაგოგებს უწევთ თითოეულ მსჯავრდებულთან ინდივიდუალური მეცადინეობების ჩატარება.

ღონისძიება 8.5.9 რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმის დამტკიცება
საანგარიშო პერიოდში, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, შემუშავდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის ახალი მიმართულების - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2014 წლის 8 ივლისს.

მიზანი 8.6 პროფესიონალების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა საკითხებში

ღონისძიება 8.6.1 არასრულწლოვანებთან მოპყრობის სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე ტრენინგ მოდულების შემუშავება და პროფესიონალების (შსს თანამშრომლები, პროკურორები, მოსამართლეები, სოციალური მუშაკები, საზოგადოებრივი ადვოკატები, პრობაციის ოფიცრები, მანდატურები) გადამზადება/საერთო ტრენინგების ორგანიზება

- *შინაგან საქმეთა სამინისტრო*

2013 წელს შსს და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობით შემუშავდა 4 დღიანი ტრეინინგ–მოდული მოქმედი პოლიციელებისათვის საგანში – პედაგოგიკა–ფსიქოლოგია, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა

შესაბამისი სერტიფიკატი. 2014 წლის განმავლობაში ზემოაღნიშნული სწავლება გაიარა 260 თანამშრომელმა, ხოლო სერთიფიკატი მიიღო 164 თანამშრომელმა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- საერთაშორისო ორგანიზაციის World Vision International–ის ორგანიზებით ჩატარდა ტრეინინგების სერია ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარ–ჩვევების სწავლებაზე. გადამზადება გაიარა შსს 120 თანამშრომელმა;
- 2014 წლის 14-17 ოქტომბერს შსს-ს აკადემიაში ტრენინგი ჩატარდა არასრულწლოვანთა დანაშაულის თემაზე. სწავლებას ორგანიზებას უწევდა საფრანგეთის საელჩო საქართველოში. განიხილებოდა თემები: არასრულწლოვანი მსხვერპლის/სამართალდამრღვევის დაკითხვა (ბავშვის ინტელექტუალური განვითარება, მეტყველების განვითარების მთავარი ეტაპები, ბავშვთან კომუნიკაციის საშუალებები), ბავშვთან გასაუბრება (გასაუბრების სხვადასხვა ეტაპები), მეთოდოლოგია და ბავშვისგან ინფორმაციის მიღების პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპები. კურსს ესწრებოდა 18 თანამშრომელი;
- 2014 წლის 15–17 დეკემბერს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ორგანიზებით შსს აკადემიაში ჩატარდა ტრეინინგი თემაზე "არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები და ფსიქო–სოციალური ასპექტები". მომზადება გაიარა შსს 30 თანამშრომელმა.

- *მთავარი პროკურატურა*

2014 წელს გადამზადდა 60 პროკურორი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში (შიდა კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები); პედაგოგიკაში; ფსიქოლოგიაში; არასრულწლოვანი ბრალდებულის, მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის ფსიქოლოგიურ და საკანონმდებლო საკითხებში; განრიდება-მედიაციაში (საკითხები განაწილებული იყო ორი 3 დღიანი ტრენინგის ფარგლებში)

მთავარი პროკურატურის ყველა სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელმა (მენეჯერმა) გაიარა 3 დღიანი ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში (შიდა კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები, განრიდება/მედიაცია).

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული ყველა პროფესიონალისთვის ჩატარდა ერთობლივი რეგიონალური ტრენინგები. ტრენინგებში ჩართული იყო აღნიშნულ პროგრამაში მონაწილე კონკრეტულ რეგიონში მოქმედი ყველა პროფესიონალი (პროკურორები, სოციალური მუშაკები, მედიატორები). ერთობლივი ტრენინგების მიზანი იყო განრიდებისა და მედიაციის საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება და პროგრამაში ჩართული პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლება.

2014 წლის 30 დეკემბერს საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანების საფუძველზე, ქვეყნის მასშტაბით ყველა რაიონში გამოყოფილი იქნენ სპეციალიზებული (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში გადამზადებული) პროკურორები, რომლებიც 2015 წლის 1 იანვრიდან საპროცესო ზედამხედველობას უწევენ იმ სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებზეც არსებობს 18 წლამდე ასაკის პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი ან/და დაზარალებულად ცნობილია 18 წლამდე ასაკის პირი;

ღონისძიება 8.6.2 დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მუშაობაში ჩართულ პროფესიონალებისათვის ტრენინგების ორგანიზება

შსს აკადემია ახორციელებს შსს–ში მსახურობის მსურველთა მომზადებას. უბნის ინსპექტორთა და პატრულ ინსპექტორთა საბაზისო მომზადების კურსის კურიკულუმი ითვალისწინებს მსმენელთათვის თეორიული და ტაქტიკური საგნების სწავლებას. თეორიული სწავლების კურსი მოიცავს:

- ადამიანის უფლებებს;
- ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენციის ძირითად ასპექტებს;
- არასრულწლოვანთა მიმართებაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგულაციებს;
- ბავშვის განვითარების თავისებურებებს;
- არასრულწლოვანთა დაკითხვის ტექნიკას და სხვ.

მიზანი 8.7 საინფორმაციო სისტემის განვითარება

ღონისძიება 8.7.1 სისხლის სამართლის პროცესის არასრულწლოვან მონაწილეებთან დაკავშირებული საინფორმაციო სისტემის დახვეწა

შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტი, საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით უზრუნველყოფს შსს კომპეტენციას მიკუთვნებული სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვას, რაც გულისხმობს მონაწილე პირებზე სეგრეგირებული მონაცემების წარმოებას. არასრულწლოვანთა მიერ და არასრულწლოვანთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა წარმოებს განცალკევებით.

პროკურატურის სამსახურის ფარგლებში განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ინტეგრირებულია სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამასთან.

ღონისძიება 8.7.2 მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მომზადება

2014 წელს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები. მთავარი პროკურორის ბრძანებით განისაზღვრა პროკურორების მიერ მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველოსთვის სრულყოფილი და დეტალური სტატისტიკის მოწოდების

ვალდებულება (შემუშავდა სპეციალური ცხრილები). მიღებული ინფორმაციის მოცულობა და სპეციფიკა იძლევა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სხვადასხვა მიმართულებით გაანალიზების შესაძლებლობას, როგორიცაა: დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა ასაკი, დანაშაულის კატეგორია, ნასამართლობა, დამნაშავეთა ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე, აღკვეთის ღონისძიების ან სასჯელის სახეები.

ღონისძიება 8.7.3 მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით ანალიტიკური კვლევების მომზადება და გამოქვეყნება

გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით ჩატარდა არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებებისა და განრიდების პროგრამის კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა პრაქტიკაში არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენას. კვლევის პირველადი შედეგები საფუძვლად დაედო პროკურორთა გადამზადებას და აღნიშნული მიმართულებით 2015 წელს განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვას.

XI. იურიდიული განათლების რეფორმა

იურიდიული განათლების კომპონენტი ითვალისწინებს გამჭვირვალე სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული პროფესიის ხელმისაწვდომობას, მის განვითარებას, განათლების ხარისხის ამაღლებასა და განგრძობადი სწავლების სისტემის დანერგვას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის შესახებ“ შესაბამისად, სამართლის საქართველოში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), აკრედიტაცია განხორციელდა.

- ***აკრედიტაციის სტანდარტების და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების გადახედვა და შინაარსობრივი დახვეწა***

მიმდინარეობს აკრედიტაციის სტანდარტების განახლება. განახლებული სტანდარტები ორიენტირებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და პროგრამის მიერ მიღწეული შედეგების შეფასებაზე. აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტის განახლებასთან ერთად, მიმდინარეობს ***სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის*** გადახედვა. საანგარიშო პერიოდში დარგობრივი სტანდარტის განახლებისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს გათვალისწინებით, განისაზღვრება აკრედიტაციის სტანდარტის

მოთხოვნები საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

- *აკრედიტაციის პროცედურის ცვლილება*

მიმდინარეობს აკრედიტაციის პროცედურის ანალიზი და დახვეწა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და საგანმანთლებლო პროგრამების თვითშეფასების პროცესი გახდება კომპლექსური, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებას შესაძლებლობას მისცემს რეალურად შეაფასოს საკუთარი რესურსები. განახლებული პროცედურა ორიენტირებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და პროგრამით მიღწეული შედეგების შეფასებაზე.

- *აკრედიტაციის ექსპერტთა შემადგენლობის გადახალისება*

ამჟამად, შემუშავების პროცესშია აკრედიტაციის ექსპერტების შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი. აღნიშნული დოკუმენტი დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს დაუწესებს ექსპერტებს და ორიენტირებული იქნება მათ პროფესიულ განვითარებაზე. ასევე, აკრედიტაციის პროცესის გაუმჯობესების, გამოცდილების გაზიარებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ქართველ კოლეგებთან ერთად ჩაერთვებიან უცხოელი ექსპერტებიც. ცენტრმა დაიწყო საერთაშორისო ექსპერტების მოძიება და ბაზის ფორმირება. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრირებას.

XII. სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებულია 7929 განცხადება, კონსულტაციისათვის წერილობითი მიმართვა გააკეთა 3590 მოქალაქემ, ხოლო ელექტრონული ფოსტით - 426. დასაშვებობა 6555 განცხადებამ გაიარა, დაუშვებლად იქნა ცნობილი 1038 განცხადება.

მიზანი 10.1 საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება საქართველოს სახალხო დამცველის როლის, დამოუკიდებლობის და მანდატის გაძლიერებისთვის

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში 2009-2011 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაიზარდა საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილება და დამოუკიდებლობის გარანტიები (მათ შორის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქცია, *Amicus Curiae* უფლებამოსილება და ა.შ.). საქართველოს სახალხო დამცველის როლის შემდგომი გაძლიერებისთვის 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს ზედამხედველობა დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და

თანასწორობის უზრუნველყოფაზე („დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 (1) მუხლი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 (1^1) მუხლი).

2014 წელს “საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველს ყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს საქართველოს სახალხო დამცველის როლისა და უფლებამოსილების გაზრდის მიზნით შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს.

მიზანი 10.2 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა და მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ პრიორიტეტს რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვა წარმოადგენს. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე მყისიერი რეაგირების მექანიზმის შექმნის მიზნით აუცილებელია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების ან ადგილობრივი წარმომადგენლების რაოდენობის გაზრდა საქართველოს მასშტაბით.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე საქმეთა მართვის სისტემის გაუმჯობესება. აღნიშნული გულისხმობს აპარატის საქმიანობის გადასვლას დოკუმენტთა ელექტრონული მართვის სისტემაზე.

ღონისძიება 10.2.2 სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების, ადგილობრივი წარმომადგენლებისა და არსებულ რეგიონულ ოფისებში ადამიანური რესურსის გაზრდა

- *რეგიონული სამმართველო*

2014 წლის 1 მაისს სახალხო დამცველმა რეგიონული საქმიანობის გაძლიერების მიზნით, რიგით მეშვიდე ოფისი გახსნა. თელავის ოფისის ხელმძღვანელი 2014 წლის 29 აპრილს კონკურსის წესით შეირჩა.

რეგიონალური სამმართველოს კოორდინირებით, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ცნობიერების ამაღლების, სამოქალაქო ჩართულობისა და ეფექტური კომუნიკაციის მიზნით განხორციელდა სახალხო დამცველისა და მისი წარმომადგენლების ვიზიტები საქართველოს მასშტაბით შემდეგ ქალაქებში: ბათუმი, ქუთაისი, ამბროლაური, ცაგერი, ხაიში, მესტია, ჩარგალი, შატილი, ზესტაფონი, ლაფანყური, ვანი, ჭიათურა, ტყიბული,

ფოთი, ზუგდიდი, სამტრედია, ონი, თელავი, ლენტეხი, პანკისი, გორი, ქობულეთი, რუსთავი, პერევი, ლაგოდეხი, ახალქალაქი, მარნეული, წყალტუბო, ერგნეთი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ხულო. რეგიონალურმა სამმართველომ მოამზადა რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ 2014 წლის ანგარიში; რეგიონალურმა სამმართველომ 1589 განცხადება განიხილა.

- ***ადგილობრივი წარმომადგენლები/საკონტაქტო პირები***

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა, მნიშვნელოვანია რეგიონებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესაბამისი წარმომადგენლობის არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოიქმნება რიგი პრობლემები, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა რეგიონში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე მყისიერი რეაგირების მოხდენის შეუძლებლობა.

რეგიონებში საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლობის გაფართოების, ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგის, რეგიონისთვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, დონორი ორგანიზაციების დახმარებით მოხდა 4 ადგილობრივი წარმომადგენლის/საკონტაქტო პირის დაქირავება სამეგრელო ზემო-სვანეთში. ადგილობრივი წარმომადგენლები/საკონტაქტო პირები მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს სახალხო დამცველის ცენტრალურ და რეგიონალურ ოფისებთან.

ადგილობრივი წარმომადგენლების/საკონტაქტო პირების ძირითადი ფუნქციებია:

- რეგიონის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ;
- საქართველოს სახალხო დამცველის ცენტრალურ ოფისთან წინასწარი შეთანხმებით, უფლებადარღვეული მოქალაქეებისთვის ახსნა–განმარტებების ჩამორთმევა, მათი სათანადო წესით დამუშავება და სახალხო დამცველის ცენტრალური ოფისისთვის მიწოდება;
- გასვლითი ვიზიტები რაიონებში;
- რეგიონში ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის შესახებ სახალხო დამცველის თბილისის ოფისისთვის ინფორმაციის რეგულარული მიწოდება;
- რეგიონში სხვადასხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, შეხვედრებისთვის ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზება, საინფორმაციო მასალების გავრცელება;
- სახალხო დამცველის ცენტრალური ოფისისთვის რეგიონში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით სხვადასხვა რეკომენდაციების მიწოდება;
- რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების ადგილობრივ წარმომადგენლობებთან და მასმედიის საშუალებებთან თანამშრობლობა.

- *საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა*

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეიმუშავა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. სისტემაში ჩართულია აპარატის როგორც ცენტრალური, ისე რეგიონალური ოფისები. ოფისის ყოველდღიურ საქმიანობაში სისტემის ეფექტური დანერგვის მიზნით, თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგების კურსი. ამ დროისთვის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დოკუმენტბრუნვა ელექტრონული წესით მიმდინარეობს.

მიზანი 10.3 ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდა

ღონისძიება 10.3.1 ადამიანის უფლებათა დაცვის, საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ საგანმანათლებლო აქტივობების (ტრენინგები, სემინარები და სამუშაო შეხვედრების) ორგანიზება სამოქალაქო განათლების ცენტრების/ბიბლიოთეკების მეშვეობით

ყოველწლიურად საქართველოს სახალხო დამცველი და მისი აპარატი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს საგანმანათლებლო აქტივობებს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა მიმართულებებით. აღნიშნული აქტივობები საზოგადოების ფართო აუდიტორიას მოიცავს. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობები:

- გამოიცა საქართველოს სახალხო დამცველის 12 ორენოვანი საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც ასახავს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობას, აპარატში მომუშავე თანამშრომლების აქტივობას და სამომავლო გეგმებს, ადამიანის უფლებების სფეროში მსოფლიოში მიმდინარე მთავარ მოვლენებს. თითოეული საინფორმაციო ბიულეტინის გამოცემისას გაიმართა პრეს კონფერენცია.
- სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის ჩატარდა შემდეგი სასწავლო კურსები/სემინარები:
    - ადრეული ქორწინების შედეგად გამოწვეული პრობლემებისა და პრევენციის საკითხები;
    - საქართველოს მუსლიმების ორგანიზაციული განვითარების საკითხები;
    - ბავშვთა უფლებების დარღვევების საკითხები;
    - ხუდონჰესის მშენებლობის პრობლემატიკა;
    - რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების ახალ სამთავრობო დადგენილება;
    - ტოლერანტობის კულტურის საფუძვლები;
    - ტოლერანტობა და მრავალფეროვნება;
    - რეგიონალური შეხვედრები “უფლებებია - ჩემი ყვავილები”;

- გაეროს შშმ პირთა უფლებათა დაცვის 2006 წლის კონვენცია;
- მრავალფეროვნება და ადამიანის უფლებები;
- შშმ პირთა უფლებები;
- აბორტი - ნების თავისუფლება თუ სიცოცხლის უფლება;
- ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები;
- საქართველოს კონფლიქტები და მათი მოგვარების პოლიტიკა;
- გენდერული საკითხების გაშუქება და ჟურნალისტური ეთიკა.

- გაიმართა სახალხო დამცველის საჯარო დებატები შემდეგ თემებზე:
  - ✓ ხუდონჰესი: "სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტების" ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე;
  - ✓ "რეალური კონსტიტუციური კონტროლი-საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობა";
  - ✓ "ვის ეკისრება პასუხისმგებლობა შრომის უსაფრთხოებაზე?";
  - ✓ "ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში - ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?";
  - ✓ "გამოწვევები შემწყნარებლობის გზაზე";
  - ✓ "ქალთა მკვლელობები-ძალადობის ახალი ტენდენცია";
  - ✓ "ადამიანის უფლებები კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში: ხელისუფლების როლი და პასუხისმგებლობა";
  - ✓ "გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის განხორციელებისა და მონიტორინგის გამოწვევები";
  - ✓ „ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში".

ღონისძიება 10.3.2 სამოქალაქო განათლების, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, ადამიანის უფლებების სხვადასხვა საკითხების შესახებ სოციალური რეკლამების დამზადებისა და ეთერით გაშვების გაგრძელება

საანგარიშო პერიოდში მომზადდა შემდეგი სატელევიზიო კლიპები და დოკუმენტური ფილმები:

- ბავშვის უფლებათა ცენტრის სარეკლამო რგოლი;
- ანიმაციური კლიპი/სოციალური რეკლამა მომზადებული ბავშვთა უფლებათა ცენტრის მრჩეველთა ახალგაზრდული საბჭოს სცენარის მიხედვით;
- დისკრიმინაციის საფუძვლები;
- "ბენედიქტელ დედათა დახურული მონასტერი საქართველოში";
- "კაპუცინელების ორდენის დაბრუნება საქართველოში";
- "ქართველი ვაიშნავები";
- "ხსნის არმია საქართველოში".

ასევე გამოიცა შემდეგი პუბლიკაციები:

- 2013 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ;
- სტატიათა კრებული "ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა";
- 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშის მოკლე ვერსია ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- საინფორმაციო ბროშურა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის მიმართულებების შესახებ;
- სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ანალიზი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა (გოგონათა) უფლებების ჭრილში;
- სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი მოდელი;
- იაკობ გოგებაშვილი თანამედროვე პერსპექტივიდან;
- ანგარიში 2012 წლის 28 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან, ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ;
- 2014 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ.

მომზადდა შემდეგი კვლევები:

- მსჯავრდებულთა ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ;
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართალწარმოების პრაქტიკული სახელმძღვანელო;
- დანაშაულის საგნისა და იარაღის კონფისკაციის მიმართება საკუთრების უფლებასთან.

ღონისძიება 10.3.3 ახალგაზრდებისათვის ინტერნეტ-კონკურსის - „მე ომბუდსმენი" - ორგანიზება

2014 წლის განმავლობაში ჩატარდა სახალხო დამცველის შემდეგი კონკურსები:

- კონკურსი "მე-ომბუდსმენი 2014";
- ვიქტორინა "ეთნოსები და რელიგიები საქართველოში 2014";
- მედია კონკურსი "ტოლერანტობა და მრავალფეროვნება 2014";
- კონკურსი "ჟურნალისტები ქალთა უფლებებისათვის 2014";
- კონკურსი ჟურნალისტებისათვის "შშმ პირთა უფლებები".

2014 წლის 10 დეკემბერს თბილისის ორ უბანში (მეტრო სადგურების „რუსთაველი" და „ავლაბარი" მიმდებარე ტერიტორიაზე) ადამიანის უფლებათა კუთხეები მოეწყო. სახალხო დამცველმა და მისი აპარატის თანამშრომლებმა მსურველებს ადამიანის უფლებათა

მესიჯებით დატვირთული საინფორმაციო მასალა გადასცეს და ადამიანის უფლებათა დღის მნიშვნელობა აუხსნეს.

ადამიანის უფლებათა სფეროში სამოქალაქო განათლების გაზრდის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები მუდმივად მონაწილეობდნენ მედიის სხვადასხვა საშუალებებით გამართულ გადაცემებსა და თოქშოუებში.

მიზანი 10.4 სახალხო დამცველის აპარატის ინსტიტუციური მდგრადობის შენარჩუნება და გაძლიერება; თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება. ამ მიზნით, 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის ჩატარდა რამდენიმე ტრენინგ/სემინარი სხვადასხვა მიმართულებებით. კერძოდ:

- უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგი;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგი;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სისტემა;
- სამართალდამცავების მიერ სპეციალური აღჭურვილობის გამოყენება და სტამბოლის პროტოკოლი;
- პარიზის პრინციპები, ადამიანის უფლებათა მონიტორინგი, ჩართულობა საერთაშორისო მექანიზმების მუშაობაში, ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა: ამანის სემინარი;
- გენდერული ასპექტები და დაცვის მექანიზმები;
- გენდერი, სტერეოტიპები და თანასწორობა;
- ბავშვთა, შშმ პირთა, ეთნიკური უმცირესობების უფლებების გენდერული ასპექტები და დაცვა;
- ბავშვთა, ქალთა და შშმ პირთა ჯანდაცვის უფლებები;
- მედიატორებისა და ომბუდსმენების ინტერვენცია;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე;
- ბავშვთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო ინიციატივები, მიღწეული პროგრესი და გამოწვევები;
- რელიგიური გაერთიანებების უფლებები საქართველოში;
- დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი;
- არასრულწლოვანთა მონიტორინგის სახელმძღვანელო და ინსტრუმენტები.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, სასწავლო ვიზიტები განხორციელდა მექსიკაში, ესპანეთში, მალტაში, პოლონეთში, ჩეხეთსა და სერბეთში.

ღონისძიება 10.4.1 ტოლერანტობის ცენტრის და მასთან არსებული რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საბჭოების შემდგომი განვითარება

საანგარიშო პერიოდში ტოლერანტობის ცენტრი ახორციელებდა რელიგიური და ეროვნული უმცირესობების საბჭოების საქმიანობის მუდმივ კოორდინირება/მხარდაჭერას.

ცენტრმა განახორციელა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი.

ცენტრმა მოამზადა სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს: "მედიის განვითარების ფონდი", "საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" შორის თანამშრომლობის მემორანდუმი. რელიგიათა საბჭოს ანალიტიკური ჯგუფის წევრებმა განახორციელეს ვიზიტები ბათუმსა და ხულოში.

მომზადდა საჯარო განცხადებები მუსლიმთა წინააღმდეგ გამოვლენილი შეუწყნარებლობის ფაქტებისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.

სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ და რელიგიური უმცირესობათა საბჭოები შეხვდნენ ეუთოს უმაღლეს კომისარსა და საქართველოს პრეზიდენტს.

ცენტრმა მოამზადა ქართულ და ინგლისურ ენებზე შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში.

სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი და რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოები შეხვდნენ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს.

ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობისა და უმცირესობებთან დაკავშირებული სიახლეები მუდმივად შუქდებოდა ტოლერანტობის ცენტრის სამენოვანი ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tolerantoba.ge) საშუალებით.

ღონისძიება 10.4.2 . ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრის შემდგომი განვითარება

საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრმა განიხილა 410 განცხადება.

ბავშვის უფლებების ცენტრის აქტივობები

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი", მოწვევით:

- 2014 წლის 30 იანვარს შედგა შეხვედრა ორგანიზაციის ბაზაზე არსებული ლიდერთა სკოლისა და რეგიონული ახალგაზრდული პარლამენტის წევრებთან. საუბარი შეეხო თემში არსებულ პრობლემებს ბავშვის უფლებების დარღვევების კუთხით;
- 2014 წლის 31 იანვარს მასპინძელი ორგანიზაციის ოფისში შედგა შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა სოციალურად დაუცველი ოჯახის საქმის განხილვას, სადაც 9 წლის არასრულწლოვანი იზრდება. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს აღნიშნული ოჯახის დახმარების შესაძლებლობები და 9 წლის არასრულწლოვანის ცხოვრების სათანადო დონის უზრუნველყოფის გზები ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის გათვალისწინებით.

საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენელი მონაწილეობდა ორგანიზაცია ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის“ მიერ არასრულწლოვანთა დაწესებულების მონიტორინგის სახელმძღვანელოს შემუშავებაში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივითა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, 2014 წლის 3-11 ივნისს, საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საერთაშორისო ექსპერტი, ნორვეგიის ბავშვთა ომბუდსმენი 2004–2012 წლებში, რეიდარ ჰერმანი. ვიზიტის ამოცანას წარმოადგენდა ბავშვის უფლებების ცენტრის 2014–2016 წლების სამუშაო სტრატეგიის შემუშავება.

განხორციელდა მონიტორინგი 68 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებასა და საჯარო სკოლაში: ახმეტა, სამტრედია, ვანი, მესტია, თერჯოლა, კასისხევი, ქუთაისი, მცხეთა, თელავი, წყალტუბო, სიღნაღი, მარნეული, ზემო აჭარა, ბათუმი, ონი, თბილისი, ყაზბეგი, ამბროლაური.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა ორი სატელევიზიო კლიპი: საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის სარეკლამო კლიპი და ანიმაციური კლიპი - სოციალური რეკლამა საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მრჩეველთა ახალგაზრდული საბჭოს წევრების მიერ მომზადებული სცენარის მიხედვით.
განხორციელდა მონიტორინგი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში:
- არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულება;
- სასჯელაღსრულების N18, N12 , N8, N5 და N2 დაწესებულებები.

ბავშვთა მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები მოსწავლეებთან N182, N42, N133 და N161 საჯარო სკოლებში. ჩატარდა საბჭოს არჩევნები. საბჭომ აირჩია 11 ბავშვი თბილისის, რუსთავისა და ბათუმის საჯარო სკოლებიდან. არჩეულ იქნა საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოში ბავშვთა უფლებების კონვენციის განხორციელების თაობაზე მომზადდა კომენტარები გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის მე-4 პერიოდულ მოხსენებაზე წარსადგენად.

ცენტრმა ჩაატარა ბავშვთა სახლებში ტრენინგები ბავშვებისთვის ბავშვთა უფლებებში ევროსაბჭოს სატრენინგო მოდულის „კომპასიტოსა“ და იუნისეფის სატრენინგო მოდულის „ჩვენ გვაქვს უფლება დაცული ვიყოთ ძალადობისგან“ მიხედვით შემუშავებული მოდულით.

ღონისძიება 10.4.3 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის შემდგომი განვითარება

მიმდინარე წლის პირველი ნახევარში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრმა განიხილა 232 განცხადება.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის შესახებ 2006 წლის კონვენციის, მისი განხორციელებისა და მონიტორინგის თაობაზე პრეზენტაციისა და დისკუსიების ჩატარების მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი მიმდინარე წელს სამეგრელო-აჭარა-იმერეთი-ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის რეგიონებში შეხვდა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ცენტრის წარმომადგენლებმა განახორციელეს შემდეგი დაწესებულების მონიტორინგი:

- დუშეთის, მარტყოფის, სენაკის, ძევრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატები;
- თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი;
- მახინჯაურის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრი;
- სასჯელაღსრულების #6 დაწესებულება;
- სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის ააიპ “თაობათა კერა” და სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი “ქედელი”;
- ჩხოროწყუს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრი “ინვალიდთა ასოციაცია იმედი 3”;
- საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრი;
- მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისი;
- შპს “Sun Stone Medical” ფსიქიატრიული სტაციონარი.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში შემუშავებული მცირე მასშტაბიანი კვლევის „დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების (გოგონების) უფლებების განხორციელება“ პრეზენტაცია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრმა განახორციელა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობა საქართველოს მასშტაბით. მიმდინარე წლის 9

ივნისს გაიმართა ანგარიშის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობით ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში“ პრეზენტაცია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და პოლონეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების სისტემის იურიდიული, ფინანსური და ადმინისტრაციული საფუძვლის შექმნა“ ფარგლებში, 2014 წლის 23-27 ივნისს პოლონეთში დაგეგმილ სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა.

ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში შშმ პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის მექანიზმის თემებზე შექმნილ სამუშაო ჯგუფებში.

ჩატარდა სემინარი შსს აკადემიის მსმენელებისათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ.

ღონისძიება 10.4.4 მართლმსაჯულების დეპარტამენტის შემდგომი განვითარება

მართლმსაჯულების დეპარტამენტმა მოამზადა შემდეგი რაოდენობის რეკომენდაციები/წინადადებები:

- შრომის უფლება - 11;
- ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებების კანონიერება - 5;
- გამოხატვის თავისუფლება - 1;
- ინფორმაციის თავისუფლება - 3;
- გამოძიების დაწყება/ეფექტიანი გამოძიება - 15;
- ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით - 1;
- უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ან სასჯელის შეცვლის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით - 1;
- მიმოსვლის თავისუფლება -1;
- საყოველთაო დაზღვევის პროგრამით უზრუნველყოფა - 1;
- საკუთრების უფლება - 6;
- მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა - 3;
- სახელმწიფო მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობა - 5;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #7 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა სათანადო პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით - 1;
- საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით - 1;
- სოციალური უფლება - 2;

- სახალხო დამცველის წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა - 1;
- პირადი ხელშეუხებლობის უფლება -1.

საკონსტიტუციო სარჩელები

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, *საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია შემოწმების შედეგების მიხედვით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, ან თუ ნორმატიული აქტით ან მისი ცალკეული ნორმებით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.* აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა 4 საკონსტიტუციო სარჩელი შემდეგი მიმართულებით:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების სიტყვების “ან კანონიერ მფლობელობაში” არაკონსტიტუციურად ცნობა;
- “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის “ბ” ქვეპუნქტის სიტყვები “გამოძიების ქვეშ ან” არაკონსტიტუციურად ცნობა;
- “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 134 (4)-ე მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობა;
- “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის “ვ” ქვეპუნქტის პირველი წინადადების, მეორე წინადადების სიტყვები “აღნიშნული მიერთების შედეგად” და “ზ” ქვეპუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობა.

სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოში დროებითი ბინადრობის მოწმობის აღება და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით;
- მოქალაქე ბ.ლ.-ს ექსტრადიციის საკითხზე სამართალწარმოების განხორციელება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი რეგულაციების დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლების – წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის რეალიზაცია;
- საჯარო მოსამსახურე ო.ლ.-ს თანამდებობიდან გათავისუფლების საქმეზე: უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცული

მოქალაქის უფლება, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საკანონმდებლო წინადადებები

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს მომზადებული საკანონმდებლო წინადადებები:

- 2012 წლის 28 დეკემბრის "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე;
- კანონპროექტი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;
- დაუმთავრებელი კოოპერატიული ბინათმშენებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა შესახებ შესაბამის ნორმატიულ აქტებში მითითებულ პერიოდში ვალდებულების გასტუმრების ნორმატიული წესის შემუშავებისა და დადგენის თაობაზე;
- დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, რომელიც აწარმოებს გამოძიებას სამართალდამცავების მიერ სიცოცხლის მოსპობის, წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე;
- "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტი და პატიმრობის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი (*ფოტო და ვიდეო გადაღების უფლება პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის);*
- "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე (სახალხო დამცველის მოადგილეთა რაოდენობის გაზრდა);
- წინადადება უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების ან სასჯელის შეცვლის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- "პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე";
- უცხოელის საქართველოდან გაძევების, უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების, საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის, საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენისა და საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესებთან დაკავშირებით;
- "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტში, მე-12

მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტსა და “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 70-ე მუხლის პირველ პუნქტში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით;

- წინადადება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის შესახებ მინისტრის ბრძანების პროექტთან დაკავშირებით.

ღონისძიება 10.4.5 გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის შემდგომი განვითარება

2014 წლის პირველ ნახევარში გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა 167 განცხადება განიხილა. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა ვიზიტები #5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ქალ მსჯავრდებულთა საჭიროებების, მათთვის კონსულტაციის გაწევისა და საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი დახმარების გაწევის მიზნით.

ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ რეგულარულად ხორციელდება რეგიონალური საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველს გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა მიიღო მონაწილეობა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების სფეროში მოქმედ შემდეგ თემატურ სამუშაო ჯგუფებში:

- სამუშაო ჯგუფი სოციალური მუშაკებისათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე კონცეფციის შემუშავებისათვის;
- სამუშაო ჯგუფი მარტოხელა დედის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრაზე;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე უწყებათაშორისი კომისია;
- გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის ეროვნული სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი;
- სამუშაო ჯგუფი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე;

2014 წლის მარტში დასრულდა მუშაობა სპეციალურ ანგარიშზე დასაქმების ადგილზე ქალთა დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ.

2014 წლის 21 მარტიდან - 11 აპრილის ჩათვლით გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი სასწავლო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა შვედეთში, ქალაქ სტოკჰოლმში, სადაც შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სატრენინგო კურსი ,,ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“.

2014 წლის 7 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებს საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის თავის „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები“ წარუდგინა. შეხვედრაზე ასევე წარმოდგენილი იყო

სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის სტრატეგია და 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა.

2014 წლის 22-28 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბუდაპეშტში ადამიანის უფლებადაცვითი ინსტიტუტების აკადემიის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა.
გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის შესაძლებლობათა განვითარების მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით დეპარტამენტში მუშაობა დაიწყო კონსულტანტმა ქალთა უფლებებზე.

შემუშავდა სექსუალური შევიწროების პრევენციის შესახებ სახალხო დამცველის აპარატის პოლიტიკის დოკუმენტი.

განხორციელდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო დაწესებულებების (თავშესაფრების) მონიტორინგი თბილისში, ქუთაისსა და გორში.

წლის განმავლობაში მომზადდა ქალთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით 10 საჯარო განცხადება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის (უბნის ინსპექტორები) ჩატარდა 14 სასწავლო კურსი (რეგიონებში - 8, თბილისში - 6). ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისათვის - ერთი სასწავლო კურსი.

თანასწორობის დეპარტამენტი

თანასწორობის დეპარტამენტი შეიქმნა 2014 წლის 22 აგვიტოს “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

თანასწორობის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- საქართველოს სახალხო დამცველის ხელშეწყობა "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;
- საქართველოში თანასწორობის დაცვის სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგის განხორციელება;
- რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის

მიუხედავად, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის ხელშეწყობა;
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრაზე მონიტორინგის განხორციელება.

განისაზღვრა დეპარტამენტის ფინანსური უზრუნველყოფა: 356,155 ლარის ოდენობით და შეირჩა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და 2 სპეციალისტი. დეპარტამენტის ხელმძღვანელი მონაწილეობდა ქ.ბრიუსელში თანასწორობის სტრუქტურების ევროპული გაერთიანების (EQUINET) წლიურ გენერალურ შეხვედრაში.

ღონისძიება 10.4.6 სახალხო დამცველის ანალიტიკური დეპარტამენტის განვითარება

2014 წლის 1 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც დაკომპლექტდა შესაბამისი ადამიანური რესურსებით - 1 დეპარტამენტის უფროსი და 2 მთავარი სპეციალისტი. დეპარტამენტი ხელს უწყობს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოსა და სამუშაო ჯგუფებში საქართველოს სახალხო დამცველის მონაწილეობას.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის მიერ მომზადდა შემდეგი დოკუმენტები:
- პირადი ცხოვრების უფლების ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ჭრილში;
- გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი 2009 წლის მონაცემთა შენახვის რეგულაციების შესახებ და 2000 წლის საგამოძიებო ორგანოების უფლებამოსილების რეგულირების აქტების ანალიზი;
- სახალხო დამცველის მიერ გაფორმებული მემორანდუმების მონაცემთა ბაზა;
- საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში სახალხო დამცველის მონაწილეობის ანალიზი;
- სახალხო დამცველის 2014 წლის რეკომენდაციების, წინადადებების და მათზე მიღებული პასუხების მონაცემთა ბაზისა და მათი შესრულების ანალიზი;
- 3 საკანონმდებლო მიმოხილვა.

მიზანი 10.5 პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციონირება

2009 წელს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

აღნიშნული ფუნქციების შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა შექმნა პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების მონიტორინგს, რეაგირებას ახდენს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე და სპეციალური და წლიური ანგარიშების მეშვეობით საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას არსებულ ვითარებაზე. დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგი ინსტიტუციების მონიტორინგს:

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები;
- წინასწარი დაკავების იზოლატორები;
- ფსიქიატრიულ დაწესებულებები;
- მოხუცთა თავშესაფრები;
- ბავშვთა სახლები;
- სამხედრო ჰაუპტვახტები.

დეპარტამენტი შედგება იურისტებისა და მოწვეული ექსპერტებისგან, რომელთა არჩევაც კონკურსის წესით ხორციელდება.

- ***ვიზიტების ტიპოლოგია***
    - რეგულარული;
    - *Ad Hoc* (საგანგებო);
    - თემატური;

- ***განხორციელებული მონიტორინგის რაოდენობა***
    - პენიტენციალური დაწესებულებები - 24 ვიზიტი;
    - დროებითი მოთავსების იზოლატორები - 15 ვიზიტი;
    - პოლიციის სამმართველოები - 13 ვიზიტი;
    - მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლები - 44 ვიზიტი;
    - ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - 2 ვიზიტი;
    - ფსიქიკური ჯანმრთელობის ბათუმის საავადმყოფო - 1 ვიზიტი;
    - ინდივიდუალური ვიზიტები - 364;
    - მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი - 1;
    - მონახულებული პატიმრები - 3040.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადებულ2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში აგრეთვე აისახა პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა.

ასევე მომზადდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014 წელს განხორციელებული სამუშაოს ანგარიში. განხორციელდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში გაიმართა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია.

2014 წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმის თანამშრომლებისა და ექსპერტებისთვის სხვადასხვა ტრენინგები გაიმართა. განხორციელდა შეხვედრა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის წევრებთან, თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის საკითხთან დაკავშირებით. დეპარტამენტი ჩაერთო წამებასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში მოქმედ სამუშაო ჯგუფებში. შემუშავდა მონიტორინგის სპეციალური სახელმძღვანელო და განახლდა სამუშაო მეთოდოლოგია შემდეგი მიმართულებებით:

- მამაკაცთა დაწესებულების მონიტორინგი;
- ქალთა დაწესებულების მონიტორინგი;
- არასრულწლოვანთა დაწესებულების მონიტორინგი;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტების მონიტორინგი;
- პოლიციისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგი.

განხორციელდა საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სასწავლო ვიზიტი სერბეთისა და ჩეხეთის პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან; ასევე, ჩეხეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტი საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით, შეიქმნა პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედიან სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის მოადგილე, სახალხო დამცველის აპარატის სხვადასხვა დეპარტამენტებისა და ცენტრების ხელმძღვანელები, აკადემიური წრის წარმომადგენლები, წამების პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები. საკონსულტაციო საბჭოს შექმნის მიზანია წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა ვაკანსია პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის მკვლევარ-ანალიტიკოსის პოზიციაზე და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტების შესარჩევი კონკურსი.

გარდა ამისა, მოხდა ფუნქციების გადანაწილება პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტსა და მართლმსაჯულების დეპარტამენტს შორის. კერძოდ, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტს ჩამოშორდა ინდივიდუალური განცხადებები და გადაეცა მართლმსაჯულების დეპარტამენტს.

- *საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა შემდეგი სპეციალური ანგარიშები*

  - შშმ პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში;
  - ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის საოჯახო დაწესებულებებში;
  - სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები;
  - სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულების უფლებრივი მდგომარეობა;
  - ქალთა დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში;
  - საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიში 2012 წლის 28 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან, ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ;
  - სპეციალური საინფორმაციო ნარკვევი ადმინისტრაციულ საზღვარზე დაკავებებისა და პატიმართა მდგომარეობის შესახებ;
  - 2008–2013 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემულ რეკომენდაციათა შესრულების ანგარიში და ანალიტიკური კვლევა;
  - პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ანგარიში - 2014 წელი.

XIII. სისხლის სამართლის სისტემაში რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია

მიზანი 11.1 საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით

ღონისძიება 11.1 რისკისა და საჭიროების შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვა და განვითარება რისკ-ჯგუფების იდენტიფიცირებისთვის.

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ახალი სამუშაო ფორმები ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოში მომუშავე სხვადასხვა სპეციალისტებისთვის, კერძოდ:

- **სოციალური მუშაკებისთვის:** მომართვის ფორმა, შეფასების ფორმა, ინდივიდუალური მომსახურების გეგმის ფორმა, მონიტორინგის ფორმა, შემთხვევის დახურვის ფორმა, დასაქმებული ბენეფიციარის გაწეული სამუშაოს მონიტორინგის ფორმა;

- **ფსიქოლოგისთვის:** კონსულტირების ფორმა, შეფასების ფორმა, მონიტორინგის ფორმა;
- **იურისტისთვის:** კონსულტირების ფორმა, მონიტორინგის და მიწოდებული მომსახურების ჩანაწერის ფორმა.

აღნიშნული სამუშაო ფორმები დანერგილია ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს თბილისის, გორის, ქუთაისის, ზუგდიდის და ბათუმის ფილიალებში. ამასთან, შეიქმნა მულტიდისციპლინური გუნდის კონცეფცია, რისკის შეფასების სახელმძღვანელო დოკუმენტის და კითხვარის სამუშაო ვერსია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პილოტირების პროცესი. აგრეთვე შეიქმნა ბენეფიციარებისთვის მიწოდებული გარე მომსახურების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ განახლდა პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებულ, როგორც სრულწლოვან ასევე არასრულწლოვან პირთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების ფორმები. შეიქმნა ზიანის რისკის სკრინინგ ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პირობით მსჯავრდებულების სხვებისა და საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენების რისკის დონეს. ამასთან შემუშავდა მულტი დისციპლინური გუნდის კონცეფცია, შეხვედრის ჩანაწერის ფორმა და ფორმები სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის:

- **სოციალური მუშაკებისათვის:** ინდივიდუალური მომსახურების ჩანაწერის ფორმა, სასჯელის ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგისა და ზედამხედველობის ჩანაწერის ფორმა;
- **ფსიქოლოგებისათვის**: შეფასების ფორმა, კონსულტირების ფორმა მონიტორინგისა და ზედამხედველობის ჩანაწერის ფორმა.

შემუშავდა საქმის წარმოებისა და სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდების წესი. შემუშავებული ფორმების და ახალი საქმისწარმოების წესის პილოტირება ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე განხორციელდა პილოტირება სამ რეგიონში: რუსთავი, გორი, თბილისი (ქალები). პილოტირების პირველი ეტაპის დასრულებისთანავე შედეგების გაანალიზების საფუძველზე შეტანილი შესწორებების შემდეგ პილოტირების მეორე ეტაპი დაიწყო 21 პუნქტში საქართველოს მასშტაბით.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო მუშაობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ერთად კოორდინაციის სქემის, მომართვის, ოჯახის ინფორმირებისა და შეფასების ფორმების შემუშავებაზე.

- *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი*

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ფარგლებში დაიწყო არასრულწლოვანთა რისკის და საჭიროების შეფასების ფორმების გადახედვა და განახლება სასჯელაღსრულების

დეპარტამენტის არასრულწლოვანთა კოორდინატორის და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით.

ღონისძიება 11.2 ბენეფიციართა გამართული სარეგისტრაციო ბაზების ქონა და ერთიანი საძიებო პარამეტრების დამკვიდრება ბენეფიციართა რისკ-ჯგუფების და საჭიროებების მონაცემთა გენერირებისთვის

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ დასრულდა მონაცემთა ბაზის სამუშაო ვერსიის შემუშავება. შექმნილია ბიზნეს ანალიზის დოკუმენტი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული ბაზის ელექტრონული პროგრამის შექმნა. ბენეფიციართა მომსახურების პროგრამულმა უზრუნველყოფამ უნდა შეასრულოს შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

- ბენეფიციართა აღრიცხვა;
- ბენეფიციართა დამოკიდებულება გაწეული მომსახურებისადმი;
- კითხვარების მიხედვით შეფასების კრიტერიუმების გაანგარიშება;
- პროცესში მონაწილე სხვადასხვა რგოლებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
- ქეისში განხორციელებული ქმედებების ვიზირების სისტემა;
- სხვადასხვა დოკუმენტების გენერირება;
- სტატისტიკური ანალიზი.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელდა სისტემაში არსებული საინფორმაციო ბაზის დამუშავება. დამუშავდა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი ბენეფიციარის მონაცემები, რის შედეგადაც განხორციელდა თითოეული ბენეფიციარის პრობლემების კვლევა, მათი კლასიფიკაცია რისკების მიხედვით და განისაზღვრა საჭიროებათა ჩამონათვალი, საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველომ შეიმუშავა ბენეფიციარის საჭიროებაზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამები.

ღონისძიება 11.3 საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების მოკვლევა და ადაპტაცია ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

2014 წლის პირველ და მეორე კვარტალში დანაშაულის პრევენციის ცენტრმა მოახდინა მომსახურებების ბაზის სრული განახლება და პროცესი პერმანენტულად მიმდინარეობს. პირველ კვარტალში ბაზას დაემატა ინფორმაცია იმ მომსახურებების შესახებ, რომლებიც ევროკავშირის ფინანსური დახმარებით შეიქმნა. მეორე კვარტალში პრობაციის სააგენტოს დახმარებით განახლდა არსებული 7 რეგიონი და ასევე დაემატა 4 ახალი რეგიონი. ამ

ეტაპზე ბაზა მოიცავს საქართველოს 11 რეგიონის მომსახურებებს. გარდა ამისა შეიქმნა ბაზის განახლების გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინფორმაციის მოკრება და სისტემატიზაცია. მესამე და მეოთხე კვარტალში დაგეგმილია მთლიანი ბაზის სისტემური განახლება რაც მოიცავს, როგორც უშუალო ვიზიტებს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებში, ასევე სატელეფონო კავშირის საშუალებით ინფორმაციის მოკრებას.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ ასევე დაიწყო სავარაუდო პარტნიორი ორგანიზაციების გამოვლენა და მათთან სისტემური შეხვედრების წარმოება. ამ მიმართულებით ცენტრის მიერ შემუშავდა გეგმა.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო აქტიურად არის ჩართული ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პროცესში. 2014 წლის მაისში სამმართველომ მოიძია რეგიონული დაფარვით პირობით მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში მხარდამჭერი ორგანიზაციები და მიიღო მონაწილეობა საინფორმაციო ბაზის განახლების პროცესში, ასევე საინფორმაციო ბაზისადმი სპეციალისტთა ინფორმირებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესში. სამმართველოს რესურსით განახლდა ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობების განხორციელების საშუალებას მისცემს ბენეფიციარებს, მათ შორის არასრულწლოვნებს. სამმართველო თანამშრომლობს ნარკო-პრევენციისა და ანტიკრიზისულ ცენტრთან, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს ევროკავშირის მხარდაჭერით ბენეფიციართა საჭიროებებიდან გამომდინარე.

- *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი*

საანგარიშო პერიოდში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მომზადდა სატენდერო წინადადება ბაზარზე სახელებო-პროფესიული და საგანმანათლებლო ტრენინგ მომსახურების შესასყიდად მსჯავრდებულთათვის. წინასწარი ბაზრის მოკვლევა და შემდგომ ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისთვის სერვისის ხელმისაწვდომი შესყიდვა ხელს შეუწყობს სავარაუდო პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებას.

ღონისძიება 11.4 ხშირად მოთხოვნადი სერვისების ორგანიზაციის ბაზაზე დანერგვა

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბაზაზე შექმნილია სოციალური უნარების განვითარების, კომპიუტერული უნარების შემსწავლელი კურსი და აგრესიისა და კონფლიქტის მართვის ტრენინგ მოდული. ბენეფიციართა საჭიროებებიდან გამომდინარე

მიმდინარეობს სხვადასხვა ტრენინგ მოდულების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება დამოკიდებულების მქონე ბენეფიციართა და მათი ოჯახის წევრების კონსულტირებასა და გაძლიერებაზე. აგრეთვე იგეგმება ტრენინგ მოდულის შემუშავება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით, დანაშაულებრივი ქმედების გააზრებასა და საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი ქვეყანაში არსებული მომსახურებების, ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. ასევე, დაინერგა და მოქმედებს ბენეფიციარების საჭიროებებზე და მოთხოვნილებებზე მორგებული საგრანტო პროგრამები, როგორიცაა: სტაჟირება სხვადასხვა ორგანიზაციებში, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა კონსულტირებისა და დაფინანსების გზითა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

ბენეფიციართა საჭიროებების კვლევიდან და ხშირად მოთხოვნადი მომსახურებების ანალიზიდან გამომდინარე, სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს მიერ შემუშავებულია შიდა სარეაბილიტაციო მომსახურებები, სადაც გათვალისწინებულია ყველაზე ხშირად მოთხოვნადი მომსახურებები, მათ შორის: განათლების/სახელობო სწავლების, დასაქმებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარება, პროფორიენტაცია/პროფესიული გადამზადება, დამოკიდებულებების დაძლევა.

- *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი*

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი პატიმრებს სთავაზობს შემდეგი სახის შიდა მომსახურებებს: არტ-თერაპია, სასიცოცხლო უნარების (ე.წ. *Life-skills*) გაუმჯობესება, პროფორიენტაცია და მომზადება დასაქმებისათვის, ცხოვრების ჯანსაღი წესი. აღნიშნული პროგრამების მოთხოვნადობა გამოიკვეთა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. გაეროს ბავშვთა ფონდისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ზემოაღნიშნული პროგრამები დაინერგა N11, N8, N2 და N5 დაწესებულებებში. ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში გადამზადნენ არასრულწლოვნებთან მომუშავე თანამშრომლები.

ღონისძიება 11.5 საბაზისო სერვისების კოორდინირებული შექმნისა და მიწოდების უზრუნველყოფა

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

o 2014 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბენეფიციარები (განრიდებულები, ყოფილი პატიმრები და მათი ოჯახის წევრები) პროფესიული გადამზადების საბაზისო პაკეტს უსასყიდლოდ მიიღებენ;

- გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური დახმარებით, დანაშაულის პრევენციის ცენტრმა განახორციელა ტატუს მოშორების პროექტი, რომლის ფარგლებშიც 65 არასრულწლოვანი (ყოფილი პატიმარი და პრობაციონერი), თანამედროვე ლაზერული მოწყობილობის მეშვეობით განთავისუფლდა ტატუსგან;
- ცენტრის იურისტისა და პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით 246-მა ბენეფიციარმა მიიღო უფასო იურიდიული კონსულტაცია და გაეწია იურიდიული დახმარება;
- იუსტიციის სამინისტროს საგრანტო კონკურსის ფარგლებში 91-მა ყოფილმა პატიმარმა გაიარა სოციალური უნარების განვითარების ტრენინგ-კურსი;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, სხვადასხვა ტრენინგ-კურსებში რეგულარულად ხდება ყოფილი პატიმრების ჩართვა;

- ***სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო***

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველომ უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან შეთანხმების საფუძველზე, თბილისში, გორსა და ბათუმში პირობით მსჯავრდებულებს გაუწია ჩანაცვლებით თერაპიული, სარეაბილიტაციო და ანტიკრიზისული ცენტრის მომსახურებები. ასევე განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- სვირინგების მოცილების პროექტი, რომელშიც 30-ზე მეტმა პირობით მსჯავრდებულმა მიიღო მონაწილეობა;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების დეპარტამენტთან ერთად განხორციელდა დასაქმებისათვის საჭირო უნარებით აღჭურვის პროგრამა;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში ხორციელდება პირობით მსჯავრდებულთა პროფესიული გადამზადების პროგრამები.

აღსანიშნავია, რომ სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს ბავშვზე ზრუნვისა და მეურვეობის სააგენტოსთან საერთო ბენეფიციარებისათვის ეფექტიანი მომსახურების მიწოდების მიზნით.

- ***სასჯელაღსრულების დეპარტამენტი***

საანგარიშო პერიოდში სახელობო-პროფესიულ და საგანმანათლებლო გადამზადებაში ჩართული იყო 186 მსჯავრდებული, ხოლო ფსიქო-სოციალურ პროგრამაში 211 მსჯავრდებული.

ღონისძიება 11.6 სერვისების ხარისხის კონტროლი

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

2014 წლის განმავლობაში დანაშაულის პრევენციის ცენტრმა გააგრძელა მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში სრულწლოვან პირთათვის სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდების სტანდარტების შემუშავებასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიქმნა და ინერგება სერვისების ხარისხის კონტროლის მექანიზმი - მონიტორინგის ინსტრუმენტები, რომლის მეშვეობითაც მოხდება მომსახურებების ხარისხის კონტროლი. ეფექტურად ფუნქციონირებს **სოციალური მუშაკების საქმიანობის პროფესიული ზედამხედველობის** სისტემა;

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

საანგარიშო პერიოდში პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს აქტიური მონაწილეობით შეიქმნა **სარეაბილიტაციო მომსახურებების სტანდარტები.** სარეაბილიტაციო მომსახურებების სტანდარტებში გათვალისწინებულია მომსახურების მიწოდების ხარისხის საზომი ინდიკატორები. სისტემაში დანერგილია საქმისწარმოებისა და მომსახურებების მიწოდების ხარისხის კონტროლის ინსტრუმენტები ბენეფიციარებთან მომუშავე სპეციალისტების პროფესიული ზედამხედველობისა და ზედამხედველობის ინსტრუმენტების/ფორმების სახით. ასევე ხორციელდება პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და პრობაციის ოფიცერთა საქმიანობის ყოველთვიური/წლიური ზედამხედველობა.

- *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი*

საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე გატანილი და ერთხმად მოწონებული იქნა **სტანდარტები ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურების მიმწოდებელთათვის,** რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ან დევიაციური ქცევის მოზარდებთან. აღნიშნული სტანდარტებით იხელმძღვანელებენ სასჯელაღსრულების სისტემაში მომსახურების მიმწოდებლები.

ღონისძიება 11.7 კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა)

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო ორიენტირებულია სხვადასხვა სარეაბილიტაციო მომსახურებების ეფექტურობის

შესწავლაზე. ამ მიზნით განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში მომზადდა საქმისწარმოებისა და სასჯელის ინდივიდუალური გეგმის აღსრულების მონიტორინგის ინსტრუმენტები.

- *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი*

სასჯელაღსრულების დეპარტამენტში კვლევა არ დაგეგმილა.

ღონისძიება 11.8 სოციალური მეწარმეობის იდეის პოპულარიზაცია და კონცეფციის მომზადება

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

დანაშაულის პრევენციის ცენტრმა გაიმარჯვა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, რომელიც მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური საწარმოების განვითარებას. დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბაზაზე შექმნილ სოციალურ საწარმოში ყოფილი პატიმრები დასაქმდებიან როტაციის პრინციპის გათვალისწინებით, ჯამში 36 ბენეფიციარი.

გარდა ამისა, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესში სოციალური მეწარმეობის კომპონენტის განვითარების მიზნით, დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომელი ჩართული იყო ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ ჩამოყალიბებულ სამუშაო ჯგუფში. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა კანონპროექტი სოციალური მეწარმეობის შესახებ.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

პრობაციის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობს ევროკავშირის პროექტთან „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ სოციალური მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით კონცეფციის შემუშავებაზე.

ღონისძიება 11.9 სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევების ადვოკატირება შესაბამისი უწყებების მხრიდან

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

დანაშაულის პრევენციის ცენტრმა მოამზადა სოციალური მუშაკები სპეციფიკური საჭიროებების მქონე ადამიანების მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენისა და ეფექტიანი რეაგირების მიზნით.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო ხელს უწყობს დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენას, ასევე სპეციალისტთა შესაბამის მომზადებას დისკრიმინაციის შემთხვევების მართვის თვალსაზრისით. ამ მიზნით სამმართველო პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ევროკავშირის მხარდაჭერით ავითარებს სარეაბილიტაციო პროგრამას ,,მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობა'', რომლის ფარგლებშიც მომზადდება სატრენინგო მოდული ბენეფიციარებისათვის. აღნიშნული პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ჯანსაღი და ტოლერანტული დამოკიდებულებების განვითარებას პირობით მსჯავრდებულთა შორის.

- *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი*

ევროპის საბჭოს ორგანიზებით 2014 წლის თებერვლის თვეში დაიწყო სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა ტრენინგი თემაზე - „ჯანსაღი გარემოს შექმნა და დაავადებათა პრევენცია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში“. სხვა საკითხებთან ერთად პროგრამის შემადგენელი ნაწილია სხვადასხვა გადამდები დაავადებებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების არსებობის დროს ბენეფიციართა უფლებების დაცვა, კონფიდენციალობა და ამ ნიშნით დისკრიმინაციის პრევენცია. პატიმრებს ყველა დაწესებულებაში აქვთ საშუალება ისარგებლონ დახურული განცხადება/საჩივრის კონვერტით, რომელიც ამ წერილის კონფიდენციალურობის გარანტიაა. განცხადება/საჩივარი შესაძლო პრობლემის შესახებ, დალუქული ფორმით იგზავნება ადრესატთან 24 საათის განმავლობაში. შესაბამისად, ამ გზით მსჯავრდებულის ადვოკატირების პროცესი იწყება კონფიდენციალური წერილის მოხვედრისთანავე შესაბამის ორგანოში, როგორიცაა: სასჯელაღსრულების მონიტორინგის სამმართველო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, სახალხო დამცველის აპარატი და სხვ.

მიზანი 11.2 სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის

ღონისძიება 11.2.1 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული უწყებების მიერ წინამდებარე სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და აქტივობების საკუთარ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში ასახვა

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ შემუშავებულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ასახულია სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებების საერთო პოლიტიკის პრიორიტეტები.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ბენეფიციარის ჩართვა ხორციელდება პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისათვის შემუშავებული სარეაბილიტაციო სქემის მიხედვით.

- *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი*

მიმდინარეობს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შექმნა, რომელშიც ინტეგრირებული იქნება წინამდებარე სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ღონისძიება 11.2.2 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამის უწყებებში ინფრასტრუქტურის შექმნა

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

საანგარიშო პერიოდში რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, დანაშაულის პრევენციის ცენტრში მოხდა ბენეფიციარებთან შეხვედრის პრივატული გარემოს უზრუნველყოფა. ასევე გაიხსნა ახალი ოფისები გორში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში. დაგეგმილია ოფისების გახსნა თელავსა და ახალციხეში.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

საანგარიშო პერიოდში პრობაციის ეროვნულ სააგენტოში რამდენიმე ბიუროში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო პირობების გაუმჯობესება. თბილისის პრობაციის ბიუროში არსებული სარეაბილიტაციო გარემო გაუმჯობესებულია და იგეგმება ინფრასტრუქტურის სრულად მოწესრიგება - ბიურო 2014 წლის ბოლომდე იცვლის შენობას, სადაც დაგეგმილია სარეაბილიტაციო პროცესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნა.

ღონისძიება 11.2.3 სასჯელის აღსრულების და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართვა

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

დანაშაულის პრევენციის ცენტრში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში ჩართული არიან მაღალი კვალიფიკაციისა და პოზიციის შესაბამისი განათლების და გამოცდილების მქონე სპეციალისტები. დანაშაულის პრევენციის ცენტრში თანამშრომელთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით. ცენტრი მუდმივად ზრუნავს

სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე ხელს უწყობს სტუდენტების სტაჟირებას წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში.

2014 წლის განმავლობაში, თბილისსა და რეგიონებში ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესში ჩართული იყო 23 სოციალური მუშაკი, 1 ფსიქოლოგი, 1 იურისტი, 1 ინოვაციური პროექტების მენეჯერი და 1 კოორდინატორი.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და გამოცდილების მქონე პროფესიონალებით. ამჟამად პრობაციის სისტემაში რეგიონული დაფარვით 33 სოციალური მუშაკი და 11 ფსიქოლოგი მუშაობს. ამათგან უმრავლესობას მიღებული აქვს საუნივერსიტეტო განათლება ან გავლილი აქვს საუნივერსიტეტო/სასერტიფიკატო პროგრამა სოციალურ სამუშაოში (სამ სოციალურ მუშაკს აქვს გავლილი მხოლოდ საბაზისო ტრენინგები სოციალურ სამუშაოში); ფსიქოლოგები კი მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხის მქონენი არიან. რაც შეეხება პრობაციის ოფიცერს, პრობაციის ყველა ოფიცერი უმაღლესი განათლების მქონეა, ძირითადი ნაწილი კი იურისტია.

ამასთან, შემუშავებულია სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების სამუშაო აღწერილობები. თანამშრომელთა დაქირავებას პრობაციის ეროვნული სააგენტო ახორციელებს კონკურსის წესით საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს საბაზისო და კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგით. სააგენტო ხელს უწყობს სტუდენტების სტაჟირებას უწყებაში ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში.

- *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი*

სასჯელაღსრულების სიტემაში სოციალური მიმართულების ყველა პოზიციისთვის მუშავდება სამუშაოთა აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საანგარიშო პერიოდში 40 სოციალურ მუშაკს ჩაუტარდა ტრენინგი თემაზე: „სოციალური მუშაობა პენიტენციურ სისტემაში“. 24 სოციალური მუშაკი გადამზადდა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის და შესაბამისი ინსტრუმენტების პრაქტიკულ გამოყენებაზე სასჯელაღსრულების სისტემაში.

ღონისძიება 11.2.4 ორგანიზაციის ბაზაზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებისთვის პერსონალის გადამზადება

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩატარდა თემატური ტრენინგები სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგისთვის, ესენია:

- მოტივაციური ინტერვიუირება;
- დამოკიდებულების მქონე ბენეფიციარებთან მუშაობის სპეციფიკა;
- სტრესის მართვა;
- ფსიქო-განათლების ძირითადი პრინციპები;
- ოჯახური ძალადობა;
- ძალადობის მსხვერპლ, მოძალადე და წამების მსხვერპლ პირებთან მუშაობის სპეციფიკა;
- ფსიქო-აქტიური ნივთიერებების მოხმარების მახასიათებლები და მათი მოხმარების შედეგები.

ზემოაღნიშნული ტრენინგები ჩატარდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ევროკავშირისა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოში აქტიურად მიმდინარეობს სპეციალისტების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების შიდა გადამზადების პროცესი. სამმართველოს მიერ შექმნილი სარეაბილიტაციო პროგრამების უდიდესი ნაწილი სწორედ შიდა სარეაბილიტაციო მომსახურებებს მოიცავს. საანგარიშო პერიოდში სამმართველოს მიერ შეიქმნა 12 სატრენინგო მოდული, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც ექნებათ სპეციალისტებს ყველა რეგიონში. ამ ეტაპზე სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს თანამშრომლებისათვის ტრენინგი ჩატარდა შემდეგ თემებზე:

- ბრაზისა და სტრესის მართვა;
- კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
- დამოკიდებულების დაძლევა (საბაზისო კურის და ტრენერთა ტრენინგი);
- მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობა;
- კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის გამოყენება დამოკიდებულების მქონე პირებთან მუშაობისას;
- კრიზისში ინტერვენცია;
- ფსიქიკური პრობლემების იდენტიფიცირება;
- ოჯახის დინამიკა;
- ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების იდენტიფიცირება;

- მოტივაციური ინტერვიუირება;
- თვითმკვლელობის პრევენცია (მხოლოდ ტრენერთა ტრენინგი).

- *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი*

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გადამზადდა ყველა არასრულწლოვანთან მომუშავე ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი შემდეგი პროგრამების ჩასატარებლად, როგორიცაა: არტ-თერაპია, სასიცოცხლო უნარების (ე.წ. *Life-skills*) გაუმჯობესება, პროფორიენტაცია და მომზადება დასაქმებისთვის. ასევე, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) მონაწილეობით გადამზადდა იგივე მიზნობრივი ჯგუფი ტრენერთა ტრენინგში (ToT) - ცხოვრების ჯანსაღი წესი.

ღონისძიება 11.2.5 სამუშაოს მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად ერთიანი პროფესიული სტანდარტის/ეთიკის ნორმების შემუშავება და პროფესიული სუპერვიზიის სისტემის შექმნა

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში შემუშავდა დოკუმენტები, როგორიცაა: პროფესიული ზედამხედველობის სახელმძღვანელო, ასევე ხელშეკრულების, შეფასებისა და ზედამხედველობის ინდივიდუალური გეგმის სხვადასხვა ფორმები. სისტემატიურად მიმდინარეობს სოციალურ მუშაკთა ინდივიდუალური და ჯგუფური ზედამხედველობის სესიები.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ფარგლებში ფუნქციონირებს ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიზიის კომპონენტი. საქმის წარმოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შექმნილია ***თანასწორთა ინსპექტირების*** ინსტრუმენტი. იდენტიფიცირებულია ინსპექტორთა შემადგენლობა და მომზადებულია ინსპექტორთა გზამკვლევი.

- *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი*

სასჯელაღსრულების სისტემაში გრძელდება სასჯელაღსრულების ფსიქოლოგიური მიმართულების არაფორმალური ზედამხედველობა. ასევე, საანგარიშო პერიოდში სასჯელაღსრულების დეპარტამენტში დაქირავებულ იქნა არასრულწლოვანთა კოორდინატორი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სასჯელაღსრულების სისტემის არასრულწლოვნებთან მომუშავე სოციალური მუშაკების საქმიანობას.

მიზანი 11.3 სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად

ღონისძიება 11.3.1 რესოციალიზაცია რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის მუშაობა მიმდინარე საკითხებზე შეთანხმებისთვის

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის რამდენიმე შეხვედრა, სადაც მოხდა სისხლის სამართლის სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის განხილვა. ასევე, სამუშაო ჯგუფმა განიხილა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში სრულწლოვან პირთათვის სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდების სტანდარტი.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

პრობაციის ეროვნული სააგენტო აქტიურად მონაწილეობს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის თემაზე პერიოდულად გამართულ შეხვედრებში.

ღონისძიება 11.3.2 სარეაბილიტაციო ღონისძიებების ერთობლივად განხორციელება პარტნიორ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან ერთად

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

საანგარიშო პერიოდში დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ განხორციელდა სხვადასხვა პროექტები პარტნიორ უწყებებთან და კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. კერძოდ:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბენეფიციარები (განრიდებულები, ყოფილი პატიმრები და მათი ოჯახის წევრები), განათლების სამინსიტროს შემადგენლობაში შემავალ პროფესიული გადამზადების დაწესებულებებში უფასოდ გადიან პროფესიული გადამზადების სხვადასხვა კურსებს;
- თბილისის მერიასთან შედგა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ ყოფილ პატიმრებს, რეაბილიტაციის მიზნებიდან გამომდინარე, 2015 წლიდან გარკვეული ვადით დაურიგდებათ თბილისის მუნიციპალური ტრასპორტით უფასოდ მგზავრობის ბარათები. 2015 წლისთვის, მაქსიმალური ლიმიტი არის 500 ბენეფიციარი;

- რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში, დანაშაულის პრევენციის ცენტრი განსაკუთრებულად მჭიდროდ თანამშრომლობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან;
- დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და კურორტ საირმეს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე კურორტ „საირმეში“ ყოველთვიურად 10 დღით დაისვენებს პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული 4 ყოფილი პატიმარი. პირველი ნაკადი უკვე გაემგზავრა 2014 წლის დეკემბერში;
- საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციასთან თანამშრომლობით ყოფილ პატიმრებს მოუგვარდათ სტომატოლოგიური პრობლემები;
- იუსტიციის სამინისტროს რამდენიმე სსიპ-ში დასაქმდა 9 ბენეფიციარი;
- ყოფილ პატიმართა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დანაშაულის პრევენციის ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან;
- თანამშრომლობის კუთხით, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ევროკავშირის პროექტი - „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში", და საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა (UNICEF).

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ დანაშაულის პრევენციის ცენტრთან ერთად განახორციელა პროექტები: სვირინგების მოცილების პროექტი, სახალისო ფეხბურთი.

ღონისძიება 11.3.3 სასამართლოსთან, პროკურატურასთან და პოლიციასთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება მიმდინარე პრაქტიკის განხილვის მიზნით

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ახორციელებს მოლაპარაკებებს შესაბამის უწყებებთან ეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავების მიზნით.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

სანგარიშო პერიოდში განრიდებულთა შეფასების პროცედურების განახლების მიზნით პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ გამართა რამდენიმე შეხვედრა შესაბამის უწყებებთან, რის შედეგადაც მომზადდა ცვლილებები მარეგულირებელ საკანონმდებლო დოკუმენტებში.

ღონისძიება 11.3.4 სასჯელაღსრულების, პრობაციისა და პრევენციის ცენტრს შორის ბენეფიციართა გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის დანერგვა

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხორციელდება პატიმრებთან შეხვედრები გათავისუფლებამდე 1-3 თვით ადრე. შეხვედრის მიზანია დანაშაულის პრევენციის ცენტრის სარეაბილიტაციო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მათი პროგრამაში ნებაყოფლობით ჩართვა და ოჯახის წევრების გაძლიერება.

გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან მიმდინარეობს აქტიური მუშაობა პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა შესახებ სხვადასხვა დოკუმენტთა გაცვლის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულებთან შეხვედრების ეფექტიანი სისტემის დანერგვისა და სასჯელაღსრულების სისტემაში დანერგილ ტრენინგებში დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკების მონაწილეობის შესახებ. ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით იგეგმება შეხვედრები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალურ განყოფილებებთან.

- *სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო*

საანგარიშო პერიოდში პრობაციის ეროვნული სააგენტო სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან თანამშრომლობით მუშაობდა საკოორდინაციო რგოლის კონცეფციაზე და შეფასების ფორმებზე, რომლის მიხედვითაც გაიმართება გარდამავალი მენეჯმენტი სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან პირობით ვადამდე გათავისუფლებულ და პირობით მსჯავრდებულ პატიმართა საქმეებზე.

- *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი*

სანგარიშო პერიოდში დაიწყო პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარდამავალი მენეჯმენტის ამსახველი ქმედებების ინსტრუქციის მომზადება.

ღონისძიება 11.3.5 საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება (სოციალური კლიპები, კონკურსები, სოციალური მედიის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება)

- *სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი*

საანგარიშო პერიოდში დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ განახლდა საინფორმაციო ბუკლეტები და სარეკლამო პლაკატები. გაიხსნა ცენტრის ფილიალები გორში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში და გაშუქდა ადგილობრივ მედიასაშუალებებში. ასევე

წარმატებული ისტორიების შესახებ დაიბეჭდა სტატიები სხვადასხვა მედიასაშუალებაში; წარმატებულ ისტორიებს მიეძღვნა რამდენიმე ეთერი. გარდა ამისა, აქტიურად გაშუქდა პარტნიორი ორგანიზაციებისგან მოწოდებული სერვისები (ჯანდაცვა, განათლება, დასაქმება).

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში დანაშაულის პრევენციის ცენტრში ჩატარდა კონკურსი მედიის წარმომადგენლებისთვის. კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიამდე მედიისთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ შემაჯამებელი პრეზენტაცია გაიმართა.

კომპანია Geo-Co-ს ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა სარეკლამო კლიპი ,,ერთად ვიზრუნოთ ყოფილ პატიმარზე", რომელიც წამყვან ტელეარხებზე მრავალჯერადად გავიდა. ასევე მომზადდა 2014 წლის შემაჯამებელი ჟურნალი.

ღონისძიება 11.3.6 მიმდინარე საქმიანობის შესახებ მედიისთვის ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება

- ***სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი***

დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქმიანობის შესახებ მედია საშუალებებით ხორციელდება საზოგადოების სისტემატური ინფორმირება, ასევე სოციალური ქსელით სიახლეების გავრცელება.

ღონისძიება 11.3.7 ტრენინგი მედიის წარმომადგენელთათვის

- ***სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი***

დანაშაულის პრევენციის ცენტრში 2015 წლის ზაფხულში იგეგმება ტრენინგი მედიის წარმომადგენლებისთვის.

- ***სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო***

საანგარიშო პერიოდში პრობაციის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით 2-3 აგვისტოს ჩატარდა გასვლითი ტრენინგი მედიის წარმომადგენლებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიმდინარე საქმიანობის შესახებ მედიისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და ანგარიშის წარდგენას.